

917722981095006

საქართველოს-ლიტერატურული ჟურნალი

2023 წლის
თებერვალი

1134
2023

სტრიქი

ფასი 3 ლარი



2023
7
(315)

გურამ შორენაშვილი
ლიტერატურა სიგიჟის
საპირისპიროა

სარჩევი



პერსონა	1	დიმიტრის ცეკურასი გურამ დოჩანაშვილის “კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა” ან ლიტერატურა სიგიჟის საპირისპიროა ბერძნულიდან თარგმნეს ანინა გოგობიამ და სალომე გვენცაძემ
	5	თაკო წულაია დომენიკო, დამწყვედული გმირი
პროზა	9	ბესო ხვედელიძე ჩაკეტილი
	16	დიმიტრი ნიკლაური ხელისმომკიდე
პოეზია	23	თემურ ჩხეტიანი
	25	თაკო შუკაკიძე
ინტერვიუ	28	“პოეტი ირჩევს საგნების აღნიშვნის გარკვეულ ფორმებს ან გადაჭრით უარყოფს საგნობრივ სამყაროს” - ინტერვიუ მერიენ მურთან ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ
თარგმანი	37	ჩეზარე პავეზე პირველი სიყვარული იტალიურიდან თარგმნა ნათია აბრამიშვილმა
	46	ილია ჭანტურია მითების ნისლში გახვეული ძველი კოლხეთი

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

პრილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
ლექსო დორეული
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე, ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე, ზურაბ კვიციანი, ვასილ მალაფერიძე, ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი, ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე, ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე, ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

პრილი - დსასაქმენაპალი სინფონიათა

სულხან-საბა

პრილი - მზის შუში, რამეზა ღამდბარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

პრილი - თანამედროვე მართული ლიტერატურის მარნილი

ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@ariliimag.ge
ვებგვერდი: ariliimag.ge



გამოდის 1993 წლიდან

© ურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება "არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ურნალი გამოდის საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით



დიმიტრის ცეკურასი


გურამ დოჩანაშვილის "კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა"

92

ან

ლიტერატურა სიგიჟის საპირისპიროა

ბერძნულიდან თარგმნეს ანინა გოგობიამ და ხალომე გვენცაძემ



A

სანამ ჩვენს მთავარ თემას - გურამ დოჩანაშვილსა და მის ლიტერატურულ მარგალიტს, "კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" - შევეხებოდეთ, მსურს, ორიოდ სიტყვა ზოგადად ლიტერატურის შესახებ მოვახსენოთ. ორიოდ სიტყვა, რომელიც, შესაძლოა, ორიგინალურობით არ გამოირჩეოდეს, თუმცა, ვფიქრობ, შეძლებს უკვე ცნობილი ამბების შესხენებას.

დღევანდელ მსოფლიოში, ყოველმხრივ მშფოთვარე კაცობრიობისთვის, სავარაუდოდ, თავისთავად ცხადი ამბების შესხენება, ალბათ, უპირველესი მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს, თუ გვინდა, მშფოთვა ეტაპობრივად გარდაიქმნას სიმშვიდედ.

მაშ ასე: როგორც ცნობილია, სამყაროში არსებობს სიკეთე, მაგრამ არსებობს ბოროტებაც, არსებობს სილამაზე, მაგრამ არსებობს სიმპიხიჯეც, არსებობს სამართლიანობა, მაგრამ არსებობს უსამართლობაც და ა.შ. მთელი სამყარო მუდამ ამ, ძალიან ხშირად, ბუნდოვანი საპირისპირო ცნებების, ურთიერთსაწინააღმდეგო ძალების არქეტაპულ სანჯისზე იყო აგებული. ხელოვნების როლი, მისი ყველა გამოვლინებით - და ალბათ, უფრო მეტად ლიტერატურაში - თავიდანვე სხვა არაფერი იყო, თუ არა ამ წინააღმდეგობებზე დაკვირვება. არა მათი განსჯა, რადგან ხელოვნება, არსებითად, არ გასლავთ ზემოდან განმსჯელი, არამედ ხელოვნება ამ წინააღმდეგობებს აკვირდება და სიბრძნის მეშვეობით აღწერს მათ და ამგვარდ ქმნის ადამიანის სულის მარადიულ ძეგლს.

სიტყვა "სულს" (????) აქ მისი პლატონისეული მნიშვნელობით ვიყენებ, რომლის თანახმადაც მას მიენერება სხეული, ასევე გულისა და გონების ფუნქციაც, რომლებიც ერთად მოქმედებენ. ან, უფრო ზუსტად, ერთმანეთის პარალელულად და განუყოფლად თანაარსებობენ.

იმის გარდა, რაც თავისთავად იგულისხმება, რომ ლიტერატურას შესწევს ძალა, გააერთიანოს განსხვავებული კულტურები და განსხვავებული ადამიანები მთელ მსოფლიოში, დაახლოვოს - ან სცადოს დაახლოვოს - ერთმანეთთან დასავლეთი და აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი, მასკულინური და ფემინური, ზეციური და მიწური, მარცხენა და მარჯვენა, მსხვერპლი და მოძალადე, აზრი და მისი სრულიად საწინააღმდეგო და ა.შ., და ყველაფერ ამას ახერხებს მისი უნიკალური ინსტრუმენტის მეშვეობით, იმ შემთხვევაში, თუ როდესაც მუდმივად დროში განვითარებადი საჩუქრით, რომელიც ადამიანს ერგო წილად და რომელსაც ეწოდება ენა, ამ ყველაფრის გარდა, ლიტერატურა, ვფიქრობ, სიცივის საპირისპიროა.

სიცივის ან იმ მდგომარეობისა, რომელსაც ხშირად ზედაპირულად, ეწოდებოდა და განათლავთ სიცილად.

ვეცდები უფრო ნათლად გამოვხატო აზრი და ჰიპოთეზას ერთ ბერძნულ ტექსტზე დაყრდნობით გამოვიყენებ. ბერძნული ტექსტის მიხედვით არ არის ვაკვირნი ჩემს წარმომავლობასთან (მიუხედავად იმისა, რომ ყველა ჩვენგანის წარმომავლეთარებისთვის, იგი კვლავ რჩება სრულიად შემთხვევით მოვლენად), არამედ მას საკაცობრიო მნიშვნელობა აქვს ადამიანის ბუნებასა და იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას, რომლებიც ამ ტექსტში, ჩემი აზრით, უმაღლესი ფორმით გახლავთ წარმოჩენილი.

მოდი, გადავივით იმ ჰიპოთეზაზე, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდი.

დავუშვათ, რომ დღეს ინტერნეტიდან ვიგებთ ინფორმაციას, რომ ვიღაც კლავს მამას და საკუთარ დედაზე ქორწინდება, და არა მხოლოდ ქორწინდება, არამედ ოთხი შვილიც კი შეეძინება.

ვკონებ, ყველანი შევძრწუნდებით და ხმაძალდა ვიტყვივით ან ჩუმიად ვიფიქრებთ, რომ არა, არ შეიძლება მსგავსი რამ ხდებოდეს. საგარეულოდ, ასევე ყველა ერთად - აქტის გააზრებისა და გავიანთების გარეშე, აქვს დაუფიქრებლად, დავინყებთ ამ ადამიანს ვაკიცხვას და უარეს შემთხვევაში კი ვისურვებთ მის სიკვდილით დასჯას სამართლიანობის ნიშნად.

ასე ხდება "რეალურ ცხოვრებაში". ხოლო, როცა მსგავსი მოვლენის შესახებ ვკითხულობთ სოფოკლეს პოეზიაში, ჩვენში რაღაც შეიძლება, ჩვენში რაღაც შეიცვლება.

და რამდენადაც ისევ აღმფოთება იქნება ჩვე-

ნი პირველი რეაქცია, მიუხედავად ყველაფრისა, გავგინდებდა ეჭვი, რომ დიახ, ასეთი ამბები სრულებით შესაძლებელია მოხდეს. რაც ნიშნავს, რომ ჩვენი პირველი აღმოჩენება ადგილს დაუთმობს ამ სიცივის, ამ პარანოიულად მოვლენის გააზრების მცდელობას.

და ეს, ჩემი აზრით, წარმოადგენს ადამიანური ცივილიზაციისთვის უზარმაზარ ნაბიჯს, თუ, თქმა უნდა, შევთანხმდებით, რომ ადამიანური ცივილიზაცია ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, გაგებას, ანუ დაახლოების მცდელობას.

და რა მოხდა, რომ აზრი შევიცვალეთ?

განმსაზღვრელი როლი შეასრულა პოეტურმა ხერხმა, პოეტის ოსტატობამ, რომელიც არ შეშინდა, არ იმტოვდა აღენერა "სიცივე", არამედ ის დანახა, მიიღო და გარდაქმნა არა რაიმე "არასიცივედ", არამედ "კვლევის, ანუ ცოდნის მასალად", იმ სიტყვების მეშვეობით, რომლებიც გამოიყენა ამ საკითხზე ჩვენთან სასაუბროდ.

რაღაც ამგვარს ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ ლიტერატურა სიცივის საპირისპიროა, რომ ლიტერატურა ის ადგილია, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ხშირად იხრჩობა, იკვებება და არსებობს კიდევ გიჟური ამბების შიგნითაც და მეშვეობითაც, საბოლოოდ, გვაჩვენებს მათ არა იმიტომ, რომ ისინი სრულიად ლოგიკურ ამბებად მივიღოთ, არამედ გვაშაადებს იმისთვის რომ შეძლებდნენ ჩვენც შევეგვახოთ ამ ყველაფერს ჩვენი ცხოვრების განმავლობაში.

და როცა ლიტერატურის დიდაქტიკურ ფუნქციაზე ვსაუბრობ, ყოველთვის მხედველობაში მსგავსი რამ მაქვს - ზოგჯერ ლიტერატურა ადამიანს რაღაც შემადარსებელი წარმოსახავს; და, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად ეს ჩვენ გვაშინებს, ამით შესაძლებელი ხდება შემდგომში მსგავსი რამ თავიდან ავირიდოთ, რადგან ლიტერატურა ამ შემადარსებლის არსებობის შესახებ გავფრთხილებს.

და ლიტერატურა გავფრთხილებს არა უხეშად, არამედ იმ საუკეთესო საშუალების გამოყენებით რასაც დამუშავებული თხრობა ეწოდება. ლიტერატურა სამყაროს შესახებ "გადამასხვავებელი" და კალენდისკოპური თხრობა გახლავთ. და ამ თხრობას უამრავი ხერხი აქვს: ლექსის, რომანის, მოთხრობის, პიესის სახით.

წერის ყველა ფორმა სხვა არაფერია, თუ არა თხრობა.

არ დავგავიწყდეს ისიც, რომ ლიტერატურა ასევე პოლიტიკური აქტია მაშინაც კი, როდესაც ის არ საუბრობს რაიმე აშკარად პოლიტიკურზე დღევანდელი გაგებით.

ლიტერატურა პოლიტიკურ აქტს წარმოადგენს, რადგან არცერთი პერსონაჟი, არცერთი პირი, რაც არ უნდა მარტო იყოს ნაწარმოებში, საბოლოო ჯამში საკუთარ თავს არ ესაუბრება. ის ყოველთვის სხვას ელაპარაკება, სხვას მიმარ-

თავს, რათა სანატრელი ზიარება შედგეს. ლიტერატურაში, ისევე როგორც რეალურ ცხოვრებაში, არსებითად არ არსებობს მონოლოგი, მიუხედავად იმისა, რომ კლასიფიკაციის მიზნით, მრავალი ტექსტი ან ტექსტის ფრაგმენტი მონოლოგად ხასიათდება.

ამგვარად, სიტყვა, ლოგოსი გარდაიქმნება მონოლოგად, რომელსაც სურს, რომ აუცილებლად შესიმონონ. სასწრაფო მონოლოგად. თუ დავეთანხმებით აზრს, რომ ადამიანის მთავარ მახასიათებელს, მის განმასხვავებელ ნიშანს სხვა დანარჩენი არსებებისაგან, წარმოადგენს ლოგოსი, სიტყვა, მაშინ ლიტერატურა სხვა არაფერია, თუ არა ის ადვილი, სადაც ლოგოსი, ანუ ადამიანი, შეძლებს განუწყვეტელი განვითარდეს და მუდმივად განახლდეს.

B

ახლა კი მთავარ თემას დავუბრუნდეთ.

გურამ დოჩანაშვილის ნაწარმოები "კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" - ეს ლიტერატურისადმი მიძღვნილი ჰიმნია. თუმცა არა ისეთი ლიტერატურისადმი, რომელსაც მეტ-ნაკლებად ვგულისხმობთ, როცა წარმოვთქვამთ სიტყვას "ლიტერატურა", არამედ ლიტერატურისადმი, რომელიც ერთი უკიდურესად ზღვრული წერტილის შემდეგ იმდენად ავტონომიური, დამოუკიდებელი ხდება, რომ ეს უკვე აღარაა ლიტერატურა თავისთავად, არამედ ეს გახლავთ სხვა გზა, მთელი სამყაროს აღქმის განსხვავებული ხედვა, და შესაბამისად, თავად ადამიანის არსებობისაც.

"კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" არსობრივად პოლიტიკური ტექსტია. რატომ პოლიტიკური? ძალიან უბრალო მიზეზის, ორ განსხვავებული სამყაროს კონფლიქტის გამო - ერთი მხრივ, ე.წ. სახელმწიფო უწყების ხელმძღვანელი თავისი თანაშემწით, ხოლო, მეორე მხრივ, კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა, ასევე თავისი თანაშემწით, ასე რომ, ორი განსხვავებული იდეოლოგიის შეჯახების მოწმეები ვხვდებით. აქეთ - სახელმწიფოს ცივი და სწორხაზოვანი ლოგიკა, მოქალაქეებისთვის გამაბეზლებელი სტანდარტული და უსაზო კითხვარებით, და მეორე მხარეს - სამყაროს მრავალმრიაანი ანალიზი, რომელსაც ლიტერატურა გვთავაზობს.

ნაწარმოების ოთხი პერსონაჟი, ჩემი აზრით, არა ხასიათებს, არამედ ადამიანის ტიპებს წარმოადგენს. როცა ვიყენებთ სიტყვას "ხასიათი", ვგულისხმობთ ადამიანის ხასიათის თვისებების მრავალფეროვნებას. ამ ნაწარმოებში კი ოთხივე პერსონაჟს მხოლოდ თითო-თითო თვისება გააჩნია, რაც მათ სიმბოლოებად აქცევს, კონკრეტული სივრცისა და დროის მიღმა. პერსონაჟთა სწორედ ეს სიმბოლური განზომილება ანიჭებს ნა-

წარმოებს უკვდავებას. ყოველთვის და ყველგან იარსებებს ხელმძღვანელი და ყოველთვის და ყველგან იქნება ნიგნებში ჩაფლული ადამიანი. ყოველ დაბადებას თან ახლავს მისი ტყუპისცალი მტერი, წერს იორლოს ხიმონასი¹.

"კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" ის ნაწარმოებია, რომელიც მთელი არსებით ეწინააღმდეგება ყანობრივ კლასიფიკაციას და ამ თვალსაზრისით, წარმოადგენს სამაგალითო ნიმუშს იმისა, თუ როგორ ახერხებს მწერალი ამავე ნაწარმოებში ჩააქსოვოს ლიტერატურის სხვადასხვა ფენრი. ერთადერთი კლასიფიკაცია, რომელსაც ის შეიძლება დაექვემდებაროს, იქნებოდა "მითრობა თეატრისთვის". კითხულობ ამ მოთხრობას და ისე, რომ ვერც კი ხვდები, მოთხრობა შენ თვალწინ პიესად ცოცხლდება. მთხრობელის ტექსტი, ცოცხალი დიალოგები, მონათხრობი დიალოგები, რომლებიც კიდევ სხვა მონათხრობი ტექსტები გვხვდება, თხრობის სხვადასხვა ხერხის უამრავი მაგალითი. და ეს ყველაფერი ისე, რომ ერთი ნუთითაც არ იკარგება ყბადღებულ ტექსტის მთლიანობა. ესაა ტექსტი, რომელშიც სიტყვა მართლაც მდინარესავით მოედინება და ის უიშვიათესი შემთხვევა, როცა ეს გამოთქმა ზუსტად თავის ადგილზეა.

ამ ყველაფერთან ერთად, აქ გვაქვს ფრაზები, რომლებიც ფილოსოფიური აზრის კვინტესენციად შეიძლება მივიჩნიოთ. ასევე, ფრაზები, რომლებიც წმინდა პოეზიაა. და ხშირად, ეს ორი რამ ერთდროულად გვხვდება. "დაძინებამდე, არის ერთი რაღაც პატარა, გარდამავალი წამი, როცა საკუთარი თავი ყველამ ვიცით..."

"კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" ლიტერატურულ ნაწარმოებთან ერთად, ასევე ლიტერატურის შესახებ ტექსტია. არის ისეთი მონაკვეთები, რომლებიც თავისუფლად შეიძლება ლიტერატურის თეორიის სახელმძღვანელოში გამოვიყენოთ. ასევე, არის ჩანართები, რომლებიც ლინგვისტიკის გაკვეთილად გამოდგება, უფრო ზუსტად, ტექსტის ლინგვისტიკისა. "თქვენი გაკვირვება სამართლიანია, ეთანხმება რესპონდენტ - არის ქვეყნად სიტყვები, რომლებსაც სიტყვასა და ძალზედ ძნელია გვერდიგვერდ ყოფნა, ამ შემთხვევაშიც ასეა, სად კარგე და სად სიტყვა, მაინც არ არსებობს დედამინაზე ისეთი ორი სიტყვა, ოდესმე ერთმანეთს რომ არ შეეხამოს, ახლაც ასეა". მოთხრობის ენა მარტივი და რთულია ერთდროულად. სიმარტივედ ის არაორაზროვანი ლექსიკა მიმჩნია, რომელსაც დოჩანაშვილი იყენებს, ლექსიკა, რომელიც მკითხველს ეჭვს არ უტოვებს იმის თაობაზე, თუ რისი თქმა სურდა ავტორს. მისი რთული ენა კი, ძირითადად, მის გრძელ ფრაზებს და აბზაცებს უკავშირდება, რაც, თუმცა, არასდროს არის გაუგებარი ან შემანუბ-

¹ იორლოს ხიმონასი (1938 - 2000) - ცნობილი ბერძენი მწერალი, პროზაიკოსი.

ბელი. დოჩანაშვილის პროზაში ხშირად გვხვდება თანწყობილი წინადადებები, მისი თხრობის სახეობრივ სტრუქტურასთან ერთად და თავბრუდამხვევ ფუქტს ქმნის. ოღონდ სრულიად მონესრივნი თაბერუსხვევისა. ეს თავბრუსხვევა გამოწვეულია ავტორის სურვილით, **ყველაფრის თქმა მოასწროს**. მისი ორი, უკიდურესად საინტერესო ნეოლოგიზმი კი ("ჩამომალაბორანტეს", "გავაუმცროსმეციერთანამპრობლები"), რომლებსაც ტექსტში ვხვდებით, მინდა აღვნიშნო, რომ მთარგმნელისთვის ჭეშმარიტი გამოწვევაა.

"კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" **ნებისმიერი მკითხველისთვის განკუთვნილი ნაწარმოებია**; იმ ადამიანიდან დაწყებული, რომელსაც არაფერი ნაუკითხავს, გამოცდილი მკითხველი დამთავრებული. თავისუფლად შეიძლება ლიტერატურის საფუძვლები შესასწავლად მისი გამოყენება, ასევე, პროფესიულ ლიტერატურად შედარებითი ლინგვისტიკის შემსწავლელთათვის. აუცილებელი ნივთია შემოქმედებითი ნერვის სემინარებისთვის. მე პირადად, განზრახული მაქვს ბერძნულად გამოცემის შემდეგ, ის აუცილებლად ჩავართო ჩემს ლექციებში. სრულ აღვართოვანებას იწვევს, თუ როგორ მიიღწევა ეს ოქროს შუალედი მწერის მიერ. ჩემი მოხატულილება ისეთია, რომ მწერალმა ამას მიაღწია სწორედ იმიტომ, რომ **მსგავსი მიზანი არ დაუსახავს** და ეს სრულიად თავისთავად გამოვიდა, როგორც ყველაფერთან ნამდვილი და არა ყალბი.

"კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა", სხვა ყველაფერთან ერთად, **ინტერტექსტუალური** უმაღლესი ხარისხის ნიმუშია. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი მრავალდაც ასხენებს სხვადასხვა მწერალსა თუ ნაწარმოებს (ფლობერს, ტოლსტოის, სტენდალს, ლიოსას, კორტასარს), მხოლოდ ორ მათგანზე შეეჩერდება. პირველ რიგში, სერვანტესსა და "დონ კიხოტზე". ვფიქრობ, რომ ის ხერხი, რომლითაც დოჩანაშვილი გამოყოფს ამ მიგნს, არსობრივად, განსაკუთრებული პატივის მიცემაა პირველი "თანამედროვე რომანისათვის". ასევე, აქ არის ინტერტექსტუალურობის კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ არ მოიხსენიება, **ვეჭვობ**, რომ მთელ ნაწარმოებს მიჰყვება. საუბარი მაქვს მოთხრობაში **პლატონისგულ ექობე**, რომელიც ედება მის მოძღვრებას გრძნობად და გონებისმიერი სამყაროების შესახებ და იდეების თეორიას.

"კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" დღეს რომ გამოქვეყნებულიყო, შეიძლება დასმულიყო საკითხი ავტორის "უკიდურეს" პოზიციასთან დაკავშირებით, რომელიც ნაწარმოებში იძულებულია განათლების პროცესს ეხება. კარცერ-ლუქსები? ნუთუ შესაძლებელია კარცერ-ლუქსებზე ვისაუბროთ? იკითხავდა მავანი დღევანდელ "პოლიტკორექტულ" ეპოქაში. ეს საკითხი, რომლის პროვოცირებასაც იწვევს ნაწარმოები,

თავისთავად ცხადია, რომ დადებით ნიშნად მიმაჩნია, ვინაიდან ეს მოთხრობა თავად გახლავთ განათლების აუცილებელი ნაწილი. რამდენი ხელოვნური ინტელექტიც არ უნდა არსებობდეს, განათლების არსი ხომ ყოველთვის პუმანისტური იქნება. "ლიტერატურას შესაძლებლობა აქვს მეტი, ვიდრე ათასწიარ ლაბორატორიებსა და დანადგარებს". ხოლო **კითხვა**, რომელიც დოჩანაშვილის მიერ შემოთავაზებულია, როგორც ადამიანის განათლების ქვაკუთხედი, დავამატებდი, რომ ლიტერატურის ქვაკუთხედიცაა. ლიტერატურის ნერა ლიტერატურის განუწყვეტელი კითხვის გარეშე, მიმაჩნია, რომ შუულებელია.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც ამ ტექსტს ვკითხულობდი და ვიკვლევდი, ვცდილობდი რაიმე უარყოფითი დეტალი აღმოვჩინა. მე ვერ ვიპოვე ვერცერთი. **არისტოტელესული ოქროს შუალედი** ტექსტს თავიდან ბოლომდე გასდევს. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს არაფერი ზემდგომი, რისი თავიდან აცილებაც შეიძლებოდა, ასევე არ აკლია არაფერი, რისი დამატებაც საჭირო ინებოდა.

"კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" გახლავთ ნაწარმოები, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ "სევდიან" შემთხვევებს აღწერს (სევდიანი შემთხვევები გამოყვები შემთხვევებია), არ არის სევდიანი ნაწარმოები. ეს არ არის "ჩაკეტული და ინტროვერტული" ნაწარმოები. ეს არის ოპტიმისტური ტექსტი, რომელშიც **ამომძარავებელი ძალა აშკარად სიკეთის მხარესაა**.

მოთხრობის ბოლო სცენა უაღრესად კინემატოგრაფიულია. რომ შემეძლოს, ყველაფერს გაგაკეთებდი, რომ ეს ნაწარმოები ემირ კუსტურიცას ხელში მოხვედრილიყო. არ ძალმიძს ავსხსნა ლოგიკურად, თუ რატომ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ის იდეალური რეჟისორი იქნებოდა ამ ნაწარმოების ფილმად გადაღების შემთხვევაში.

მთავარ გმირს ყველა მიზეზი გააჩნია იმისთვის, რომ გაგიუღეს - თავის ფოტოატილიატი, თითქოს მტრულ, ჩინოვნიკურ გარემოშია ჩაკეტული, თავის თანამუშევართან, კლიმათან ერთად. მაგრამ ის არ გიჟდება, რადგან აქვს ლიტერატურა, რომელიც სიგეთის საპირისპიროა, ლიტერატურა - როგორც ნამალი, ხელოვნების განმკურნებელი ძალა.

ყველაფერი ზემოხსენებული, ვფიქრობ, უფლებას გვაძლევს დოჩანაშვილის ნაწარმოები **არ მივაკუთვნოთ მხოლოდ ქართულ ლიტერატურას**. ეს არის ქართულ ენაზე დაწერილი ნაწარმოები, ენაზე, რომლის შესახებაც საჯაროდ მინდა განავაცხადო და ვაღიარო, რომ შეყვარებული ვარ, ყველა აქედან გამომდინარე შედეგით, მაგრამ ეს არ არის მხოლოდ ქართული ლიტერატურის კუთვნილება. "კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა" მსოფლიო ლიტერატურას ეკუთვნის.

თაკო ნულაია

დომენიკო, დამწყვდეული გმირი



“სამოსელი პირველის” სიუჟეტი და დომენიკოს თავგადასავალი გმირის მოგზაურობის, მონომითის სტრუქტურას ემთხვევა. მშობლიური ადგილის დატოვება, ინიციაციის რთული და ხანგრძლივი რიტუალი (უამრავი დაბრკოლებით, შეხვედრით, განმორებით) და დაბრუნება – ყველაფერი ისეა, როგორც პეროიკულ თხრობაში უნდა იყოს.

კემპებელმა წიგნში “ათასსახოვანი გმირი” აღწერა ის ეტაპები, რომლებიც საერთოა სხვადასხვა მითოლოგიური ნარატივისთვის. ეტაპები, რომლებსაც უამრავი არქეტიპული გმირი გადის, რათა შეცვლილი და გარდასახული დაუბრუნდეს საწყის წერტილს. ასეთი დაბრუნება ზოგიერთი პერსონაჟისთვის იმდენად უსიამოვნოა, რამდენადაც პლატო-

ნის მღვიმეში ხელახალი ჩასვლა ერთხელ უკვე გათავისუფლებული ადამიანისთვის. ზოგიერთი პერსონაჟი კი, პირიქით, ამ დაბრუნებისკენ ისწრაფვის, რადგან სწორედ დაბრუნებაა მისი ნასვლის გამართლება.

დომენიკოც ასეთია, მისთვის აუცილებელია დაბრუნდეს, შეაჯამოს განვლილი გზა, ფათერაკები, რათა შეკრას წრე, გაახმოვანოს მარადიული კვლავ-დაბრუნების იდეა და დაიკავოს ლტოლვილის ადგილი მანამ, სანამ თვითონ გახდება სოფლისთვის “მამა”.

ვიდრე დომენიკო და სხვა პერსონაჟები მიიქცევენ ყურადღებას, მკითხველის მზერას მამა იპყრობს.

დომენიკოს მამას სიმბოლური მამის თვისებები

აქცეს, ის უფრო სოციალური და კულტურული ფენოქენია, ვიდრე მოკვდავი კაცი, რომელთანაც ბიოლოგიურადაა დაკავშირებული დომენიკო. მისი უსახელობაც იმას ამტკიცებს, რომ ინდივიდუალობისგან დაცლილი მამა უფრო მეტად სისტემაა, ტრადიციების უწყვეტი ჯაჭვი, თავისი აუხსნელი, შეუვალი წესრიგით, რომელიც თავის თავში მოიცავს მთელ სოფელს და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მასა და სოფელს შორის ზღვარი არცაა. ამიტომ, სოფლიდან გასვლა მამის სხეულისგან გამოყოფაა დომენიკოსთვის. გვეგვე კი (დომენიკოს ძმა) უფრო იმ ნაყოფს ჰგავს, რომელიც დაბადებას ვერ ახერხებს და მამის ნიაღვივე რჩება, როგორც განუვითარებელი ნაწილი, რომელმაც თეოლისგან დამოუკიდებელი, ადამიანური არსებობა ვერ დაიწყო.

სიმბოლური მამა სოფელშია და სოფელია, მაგრამ დომენიკოს, რაკი ჯერ ლამაზ-ქალაქში, შემდეგ კი კამორაში უნფეს ნასვლა, სჭირდება სხვა მამა. აქ ჩნდება წარმოსახვითი მამის ფიგურა, რომელსაც, არავინ იცის, რა მექანიზმებით, შეუძლია, დომენიკო უშორეს ქალაქებშიც კი გადაარჩინოს და ყოველგვარი უბედურებისგან იხსნას. დომენიკო ახალი, იდეალური მამის შენებას იწყებს, მამის, რომელიც ტყვე შემჩნეულ უფორმო ლაქდაც კი შეიძლება რედეციონდეს, თუკი ეს დომენიკოს დასჭირდება.

მიუხედავად ამისა, დომენიკოს ცხოვრებას, რეალურად, სხვა ადამიანები წარმართავენ და ორივე მამის ხატი უსარგებლოა. ადრე თუ აშაღვლებლად მეცენებოდა ის აზრი, რომ დომენიკო მამის რწმენამ გადაარჩინა, ახლა აშკარა მგონია, რომ ალექსანდროსა და მიჩინიოს გარეშე (ორი კაცი, რომლებმაც რეალური მამის ფუნქციები შეასრულა), დომენიკოს გულუბრყვილი რწმენა ბევრს ვერაფერს გააწყობდა.

სამაგიეროდ, რწმენაა ფუნდამენტი, რომელზეც სოფლისა და კანუდოსის საზოგადოებები დაშენებულია. ერთ შემთხვევაში, რწმენის ობიექტია ცაში დარჩენილი ნინაპარი (და მასთან კავშირის, საიქიო ცხოვრების რწმენა), მეორე შემთხვევაში კი ქვაკუთხედი თავისუფლების იდეა.

სოფლის მაცხოვრებლები ძალიან ჰგვანან იუნჯის მიერ აღწერილ პირველყოფილ ადამიანებს, რომლებიც "კონკრეტული ადათების მეშვეობით ცდილობენ კვლავ იქცნენ ნინაპარებად". სოფლის დღესასწაულის ერთმნიშვნელოვნად ახსნა რთული იქნება, მაგრამ როგორც უნდა განვმარტოთ, სააქაოსა და საიქიოს შორის კავშირები მაინც არსებობდა დარჩება. "გაუცნობიერებელი ინფიტიციონიზმი" მართული ხალხი ერთ ადამიანად, თავის რომელიც დაც ნინაპრად ქცევას ცდილობს, რათა ცაში, პირვანდელ წესრიგში დაბრუნდეს. ასეთ დროს ნებისმიერი ინდივიდუალური მახასიათებელი მხოლოდ ზედნაშენია, რომლისგანაც თავისუფლდება რიტუალის მონაწილე, რათა მასში დარჩეს ის, რაც კოლექტიურიცაა. ეს კოლექტიური კი მამისა და ნინაპრების რწმენაა.

სოფლისგან განსხვავებით, კანუდოსში გამკვეთრებულია ადამიანების ინდივიდუალური მახასია-

თებლები. სოფელში პიროვნება შეკუმშულია, აქ კი პირიქით, "მე" მთლიანად ფარავს "სხვების" უსახელოს. თუ სოფელში მცხოვრები ადამიანების ღირებულება მათი ერთიანობის ხარისხით იზომება და მთლიანობიდან ადამიანების გამოცალკევებას (და არამც მაინცდამაინც აუცილებელია), კანუდოსში ადამიანი ფარავს განსხვავებებით და საერთო იდეისთვის ბრძოლაც იმტოვება ღირებულად, რომ მებრძოლებს ერთმანეთთან საერთო მხოლოდ იდეა აქვთ (ზუსტი დიდი კანუდოსელი ერთმანეთისგან უკიდურესად განსხვავდება, მხოლოდ თავისუფლების რწმენა/სურვილი აქვთ ერთნაირად მძაფრი).

სოფელსა და კანუდოსს შორის მიმავალ გზაზე კი ორი ქალაქია გაშენებული. ლამაზ-ქალაქი და კამორა. სამოსელი პირველი კონტრასტების წიგნია: დოჩანაშვილი, ვფიქრობ, იმას აჩვენებს, რა განსხვავებას ორ ერთნაირს და არა სრულიად განსხვავებულების დიქტომიას. ამიტომაც ვანყვილებ კანუდოსსა და სოფელს და კამორასა და ლამაზ-ქალაქს.

კამორა ბოროტებაა. თუ ვნებიანი და საზიზღარი ბოროტების კონცეპტებს მივყვებით (სადაც საზიზღარი ბოროტება იდეოლოგიას ან ვინმეს ძალაუფლებას ემსახურება, ესე იგი, ადამიანის ვნებები და სურვილები კი არა, ქვეყნუდომული მორჩილება და ბოროტების ჩადენით სარგებლის მიღებას მისი მამობრავებელი ძალა), კიდევ უფრო საინტერესოა ის პატარა წერილი, რომელსაც დომენიკო ალექსანდროს ძმისგან იღებს: "პოლოკონიკოს, მიჩინიოს, კადიმასა და მისათანის რე უგეშინია - დიდი-დიდი მოკლან. მარშალ ბეტანკურს მოერიდე - შეიძლება წარგწყმინდოს". აქ იმ უშიზნი, თავისთავადი ბოროტების საფრთხე ჩანს, რომელსაც არ აქვს სარჩულად პირად სარგებლის მიღების სურვილი ან უბრალოდ მოვალეობის აღსრულების აუცილებლობა. ბეტანკური ბოროტია იმიტომ, რომ ბოროტია. ესაა კრისტალიზებული, მწინდა ბოროტება. არ უნდა დაგვაინწყდეს არც მერსედეს ბოსტონი. კომპარულია სურათი - როგორ ახრამუნებს ძვირფას თვლებს მარშალ ბეტანკურის თანამეცხედრე და ადამიანად განსხვავებული მოლოქე. უნდა ითქვას ისიც, რომ კამორაში მეორე სასარგებლო რჩევასაც იღებს დომენიკო მიჩინიოსგან - მიჩინიო მას უკრძალავს ჰალეს თქმას. რატომ? ამ კითხვას ფროიდი ასე უპასუხებდა: "თავდაპირველად სიტყვებს დათმობ, შემდეგ კი არსსაც". იქნებ არაზარი "თავდაპირველად" და "შემდეგ" არ არსებობს და ორივეს ერთდროულად თმობ? თუ ენა დაავადდება კამორათი, დომენიკოც დაიღუპება, რადგან ენა გზა, რომლითაც ბოროტებას ცნობიერებაში შედნევა შეუძლია. ამიტომაც ლაპარაკობენ თანაქალაქელებისგან განსხვავებულად ალექსანდრო, უგო, ანა-მარია, ოთო-ექიმი - ესე იგი, ისინი, ვინც ამოვარდნილები არიან იმ ქალაქების წესრიგიდან, რომლებშიც ცხოვრობენ; მათი ენა, გარდა კომუნიკაციის საშუალები-სა, ამბოხიცაა, იმ ადამიანების ნინააღმდეგ მიმართული, რომლებიც ერთნაირი, დასწავლებული ერთი ლაპარაკობენ და სულაც არაა აუცილებელი, რომ ეს ამბოხი გაცნობიერებული აქტი იყოს.



რა ხდება ამ დროს ლამაზ-ქალაქში? იდილიური სურათი, რომელიც თავიდან საკმაოდ მომხიბვლელად გამოიყურება, იდილიის ილუზიაა მხოლოდ. კამორას ნაკლოვანება იმთავითვე ცხადი და ხელშესახებია, მაგრამ არც ლამაზ-ქალაქის ზედაპირულობა, სიყალბე, ფუჟე ურთიერთობები, ფასადური ადამიანები და მათი ლოზუნგებად ქცეული, შინაარსისგან დაცლილი ფრაზებია ნაკლებად საშიში. ლამაზ-ქალაქი, რაც უნდა მხიარულად მოგვეჩვენოს, მაინც ფიტულეებით საგესე სცენაა, სადაც მოძრავი ნიღბების მიღმა ვერცერთ ცოცხალ სახეს ვერ აღმოაჩენთ.

ამიტომაც ლამაზ-ქალაქი და კამორა კარგი/ცუდის ოპოზიცია კი არაა, ერთი "ცუდი" მედლის ორი "ცუდი" მხარეა.

კვლავ მონომიითის სტრუქტურას თუ დავუბრუნდებით, უნდა ვახსენოთ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი - მენტორი. სამოსელი პირველის მთავარი მენტორი, ჩემი აზრით, მიჩინია. კემბელის დახასიათებული მენტორი თითქმის ზუსტად ასახავს მიჩინოს როლს ტექსტში, რადგან იგი სიბრძნის, ძალის, ცოდნის, კოლექტიური გამოცდილებების გან-

სხეულებია, ხიდადაა გადებული ჩვეულებრივსა და არაჩვეულებრივს შორის, უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე პრაქტიკული რჩევების მიცემა და უნივერსალურ ქვამარიტებზეც ელაპარაკება დომენიკოს. მენტორის თვისებაა ისიც, რომ გმირის ბუნებას უნდა ხედავდეს, მაშინაც კი, როცა ეს ბუნება თავად გმირისთვისაა დაფარული. მენტორივე უნდა იყოს მორალური კომპასი და ამზადებდეს გმირს უცნობი თავგადასავლებისთვის. ყველა ამ ფუნქციას მიჩინო პირნათლად ასრულებს.

მეორე მენტორი კი (ნაკლები ძალაუფლებით, მაგრამ მაინც) ალექსანდროა. ამავე დროს, მიჩინო და ალექსანდრო, თავის მხრივ, როგორც უკვე ხსენებული ქალაქები, ერთმანეთის ბინარულ ოპოზიცებს წარმოადგენენ. ოღონდ, ქალაქებისგან განსხვავებით, მათ მიმართ ავტორიც და მკითხველიც კეთილგანწყობილია. ამგვარად, მათი ქცევა არსით იდენტურია, ოღონდ შებრუნებულია იმ ადგილების შესაბამისად, სადაც ცხოვრობენ. ორივე მათგანი ერთი შეკითხვის ორი პასუხია და ერთი პრობლემის ორი გამოსავალი.

ხოლო ის, ვინც სვამს კითხვას, დომენიკოა.

ოლონდ დომენიკო ვერაფერს უნდა ხვდებოდეს დიდხანს, რათა მკითხველი მიხედვს. დომენიკომ არ უნდა დატოვოს დრაპკანი სოფელში, მკითხველმა დრაპკანის დატოვების აუცილებლობა რომ გააცნობიეროს. დომენიკოს გყი უნდა ეგონოს ალექსანდრო, მკითხველმა მასში ჭკვიანი რომ ამოიცნოს. დომენიკომ ყველაზე გვიან უნდა ამოხსნას ყველა საიდუმლო (როგორც ბარტი ნერს, "იმის ყურება, რომ ვიღაც რაღაცას ვერ ხედავს, საუკეთესო საშუალებაა იმის შესამჩნევად, რასაც ეს ადამიანი ვერ ხედავს"). დომენიკოს სისულელესთან მიხედვით გულუბრყვილობა, მისი გამოყვადელობა და არცოდნა საუკეთესო გზაა მისგან რადიკალურად განსხვავებულმა მკითხველის შესაქმნელად.

ის, ვინც სვამს კითხვას, მაინც მეტისმეტად არასრული განსაზღვრებაა დომენიკოსთვის. უფრო ზუსტად, დომენიკო ცარიელი გვერდია, ამერსაუც არ შეუძლია, საკუთარი თავი თავად დაწეროს, ამიტომაც მისი პიროვნება მხოლოდ ინტერაქციით, რეალობასა და სხვა ადამიანებთან პირდაპირი შეხებით, წინააღმდეგობებითა და დაპირისპირებებით ინერება. ჩემთვის დომენიკო არც წიგნის და არც საკუთარი ცხოვრების მთავარი გმირი არ არის. ჩემი აზრით, მას მკითხველთან უფრო მეტი აქვს საერთო, ვიდრე პროტაგონისტის სახესთან. რადგან, როგორც მკითხველი, ისიც მინებებულია თხრობის დინებას, თითქმის არ იღებს განწყვეტილებას დამოუკიდებლად და, ძირითადად, დამკვირვებლისა და განმცდელის პასიური როლით ემპათიზდება. ტექსტის დასასრულამდე, მასში ჯერ კიდევ არაფერია თვითნაბადი, ყველაფერი მხოლოდ გარე გემოზიანებლებზე ინსტინქტურად გაცემული პასუხებია. ამიტომაც როცა სთვლში ბრუნდება, ის სწავლობს იმას, როგორ უნდა დაინყოს სწავლა. კირკეგორი "სატანაჯველის სახარებაში" ნერს, რომ სატანაჯველი ხშირად გარედან მოდის, მაგრამ სწავლა იწყება მხოლოდ მაშინ, როცა სატანაჯველი შიგნიდანაა. დომენიკომ სატანაჯველი გარედან - შიგნით მაშინ მოექცევა, როცა ღორების მწყემსი გახდება, როცა გარემო ვედარაფერს შესთავაზებს ისეთ, რასაც მისი ყურადღების მიპყრობა შეუძლებელი და იძულებული იქნება, შიგნით, საკუთარ თავში ჩაბრუნდეს, დაინყოს თვითნაბადი და წარსულის შეფასება. მაგრამ საკუთარი თავისკენ შერხის მიპყრობა არ მაშის დატოვება და სახეტილოდ წასვლა მხოლოდ ზოგიერთებს შეუძლიათ. ლტოლვილი დომენიკომი წასვლის სურვილს კი არ აღძრავს, უკვე არსებულ სურვილს ამძაფრებს. დომენიკოს ბავშვობაში ერთი თამაში უყვარს, სახელად "სადღაცინად დაბრუნება", რაც სხვა არაფერია, თუ არა ნამდვილი დაბრუნების რეპტიცია, ათასჯერ გავლილი მანამ, სანამ მართლა სადღაცინად დაბრუნება არ მოუწევს. ასე რომ, ლტოლვილის ამბავი აქ უპრობლემო ექსპოზიცია კი არა, წინასწარმეტყველებაა.

უკვე ვთქვი, დომენიკო მაინცდამაინც მთავარი გმირი არ მგონია-მეთქი, მაგრამ ეს მხოლოდ დასასრულამდე. ის, რაც დომენიკომ ყველაზე მომ-

ხიბვლილია, მისი არარსებობაა, უფრო სწორად, ჯერ არ არსებობა, ამიტომ სამოსელი პირველი უძღვები ძის ამბავზე მეტად, მთავარი გმირის დაბადების ამბავი მაგონია. კემპბელი გმირის გზას ასე აჯამებს - "საშვილოსნოს სამარხიდან სამარხის საშვილოსნომდე". მისივე თქმით, ადამიანი დაუმთავრებელი არსებაა, მოუმზადებელი სამყაროსთან შესახვედრად. სწორედ დაბადებულსა და შესვედრის სურათია ტექსტში ჩემთვის ყველაზე შთაბეჭდავი - ანუ როგორ იწვის სამოსელი პირველი. სანამ ყველა პერსონაჟი და ამბავი კვამლად მიდის ცისკენ, ხვდები, რომ ყველაფერი, რაც ამ წუთამდე მოხდა, საბოლოოდ, დომენიკოს ბიოგრაფიად იქცა, დომენიკოს, როგორც ახლად დაბადებული გმირის ბიოგრაფიად. ამბის მოყოლა მისი ახსნის მცდელობაცაა, მეტიც, ხანდახან ამბის არსებობა იწყება არა მაშინ, როცა ხდება, არამედ მაშინ, როცა მის მოყოლას იწყებ. "არ არსებობს სიცოცხლე ნარატივში და ნარატივის გავლით განცდილი ხელახალი დაბადების მიღმა" (არენდტი). ყველა ქალაქი, სახლი, ადამიანი და ისტორია ხელახლა იზიდავს იმ ცეცხლის შუქზე, რომელზეც იწვის სიტყვა (სამოსელი პირველი) და ესაა ნამდვილი დაბადება, რომელიც გმირის მოგზაურობის დასასრულს ემთხვევა. სიტყვა უნდა ითქვას, სამოსელი პირველი უნდა დაიწვას, რათა თავისი ფუნქცია შეასრულოს. გმირის მოგზაურობა მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს შემდგარ მოგზაურობად, თუკი მისი მემატიალები გამოჩნდებიან.

ამის მიუხედავად, ჯერ კიდევ ვერ ვპასუხობ ჩემთვის მთავარ კითხვას - მამასთან საუბრის შემდეგ, მარადახალი მინდარის პირას მჯდარი დომენიკო როგორი ტონით ამბობს უკანასკნელ სიტყვებს. გულდანყვებილი? იმედგაცრუებული? იქნებ გაცივრებული? და რა ემოციითაც უნდა ამბობდეს, რითაა ეს ემოცია გამოწვეული?

თუ ადამიანი ჯამია იმ ამბებისა, რომლებიც თავს გადახდა, მაშინ დომენიკო მოგზაურობასაც ამიტომ იწყებს - საკუთარი, უნიკალური ამბების საძებნელად; მოგზაურობს, რათა გმირად და თავისივე თავის ავტორად იქცეს. მაგრამ ამ მოგზაურობის ბოლოს ხომ არ აღმოაჩენს, რომ მის ამბავში ახალი არაფერია? რომ მისი ამბავი სინამდვილეში მისი არც არის? "ნუთუ ყოველივე ეს" იმედგაცრუება ხომ არაა, რომელიც იმის გაცნობიერებაში გამოიწვია, რომ თურმე უზილავი, ტელეოლოგიური წესრიგის ნაწილი ყოფილა და მის ძალისხმევას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს?

ხომ შეიძლება, დომენიკო შეცდომილი შვილი კი არა, მუდმივად განმეორებად სიუჟეტში გამოკეტილი პერსონაჟი იყოს, რომელმაც სრულიად შემთხვევით აღმოაჩინა, რომ თვითონ კი არ წარმართავდა თავის ცხოვრებას, არამედ მას წარმართავდა ცხოვრება და ამ ცხოვრების შემადგენელი ამბები? თუ ასეა, დომენიკო არქეტაიპების სამყაროში დამწყვედი უიდელო გმირია, რომელსაც იყენებს ამბავი, რომელსაც უნდა, რომ, ვინ იცის, უკვე მერამდენედ მოხდეს.

ბესო ხვედელიძე

ჩაკეტილი



ეს კლასტროფობიული შარი ალექსას მოეპოვებოდა: ალექსამ შთაბერა მაცოცხლებელი სული და გაამატერიალურა. მისი იყო ინიციატივა, იქითკენ გააფრენის სურვილი და გზის მართვის სადავე. ამ კინოს მთავარი რეჟისორიც იმთავითვე ის აღმოჩნდა, ხოლო მთავარი შემსრულებელი კი აგერ - მე. სიზმარს ჰგავდა ყველაფერი, თან წინასწარ ჩანყობილ კინო-სიზმარს!.. რომ ვიხსენებ, ისიც კი მგონია ხოლმე, რომ ეს ყველაფერი ჩემი მოგონილია, მაგრამ ასე მხოლოდ წამიერად მგონია, იმიტომ, რომ სინამდვილეში მართლა ისე იყო ყველაფერი, როგორც ვყვები... ალექსა რომ არა, რა ჯანდაბა მიხდოდა მინსკში?.. ისე, ფირმა ტურისტად, ასე თბილისიდან როგორც ჩანდა, კიდევ არა უშავდა, ანუ რომელ წარბეზბაგართიანებულ კავკაზიდან მე ვგავარ, პრობლემები შემქმნოდა გარეთ, იქაურ ქუჩასა თუ გამზირზე... თან ყოველმხრივ გადარეულ ალექსასთან ერთად სულ სხვა წინასწარშეუღენითი სიანცე იქნებოდა - ერთგვარი ცხოვრებისეული გამოცდა-გაკვეთილ-თავგადასავალივით... სულ ასე არ იყო, რო?

იღვა 2011. როგორც კი მსხვილი ფულადი პრემია მარჯუნეს წერაში და ხელში თანხა ქეზად დამაჭერინეს, ადრე რომ იცოდა, ზუსტად ისე - გამოწყენებელი ვამპირ-წურბელასავით შემომაჯდა კისერზე:

- თბილისში რა გინდა ამხელა მაყუთით, იუსუფ?! დიდი-დიდი, ლილოს ბაზრობაზე, ოთხი წყვილი თურქული ტუფლი იყიდო!..

- პირდაპირობა არა სძაგს უფელსა!

- რა პირდაპირობა, ტოტო?

- ანუ პირდაპირ შობე, რა ჯანდაბა გინდა? რა ლილოდან მივლი?!

- რა და: წამო რა, მაგ ფულით ბელარუსში, ორი კვირით, ბესლან... ან მეტით! სადამდეც გვეყოფა! მაგ მაყუთით არც გამდიდრდები და ვერც კბილებს ჩაისვამ, ამიტომ სჯობს ისევე ბოლომდე გააფრინო და ერთიანად შეირგო ჭუჭყიან კუბიურათა ზემაციური მადლი! თან ვაშლატამა წამებშიც გავიშლივინებთ!

- ეროვნული ტყემალი და ქლიავი ამოვიდა ყელში?

- ჭანჭურვიც! თან შენ იმ შენს ძველ რადიაციულ რომანს დაასრულე...!

- ეგ მე უფრო ვიცი - რას, სად და როდის დავასრულე!..

- ბიჯო, მუტაცია დაიწყო თან იქ! არ გეყურება?

- მერე, შიში არ არი, ალექს?

- რა შიში, სოზარ! მიგელაც იქაა!

- მიგელა ვინდა ჩემის კირაკოზია?

- ძველი, თახსირი კადრია, ადგილობრივი!.. ბა-

ითი აქვს ქალაქის ცენტრში. მგონი ოროთახიანი. კონტაქტები - ოხრად. თან იცის, რა სადაა? ფულიც არ დაგვეხარჯება ბევრი... კაცია - პოლიტიკონომია! ერთი-ორი კვირა ისე დაგვიტოვებს! დაავლებულია ჩემგან. ერთხელ მაგარ ცემა-ტყეპას ავარი-დე თბილისში... ბევრს კი ყბედობს, მაგრამ დაბალი დონის არტ-სირია, სამაგეოროდ, ყველას იცნობს... კოხტადაც დავიხმართ, რაშიც საჭირო იქნება!

- მიგელ-ვაბრიელილა გვაკლდა ამ ტანჯულ ხალხს! უმაგისოდ ვერა?

- იქაა და... თან თანხის ეკონომიაა! არ გეხმის? თან შენც დანერ, სვემიონ, იმ შენ რამეებს! მე არ შეგიშლი ხელს მელნის ხარჯვაში.

- და ეს ბელარუსი რა ამოჩემებაა? აქ ალექსა მხოლოდ ორიოდ წამით ჩაფიქრდა და მერე ცალი თვალის მოჭუტვით ამომხედა.

- რუსეთში არ გვიშებენ...
- მერე რა? ქვეყანა დაილია?

- რუსულის შეტი არცერთი ენა არ ვიცი, ჟორიკ! გიტლერ კაპუტ ვიცი კიდე და ობლადი ობლად!

- ბელარუსული უნდა ვისწავლოთ სასწრაფოდ!
- ბელარუსებიც სუ გამორუსდნენ, არკადი! სომხურად ვიცი კიდეც - "ფუფ ტურ არარატ!"... რა ვაკეთო სხვაგან? სირიით ვიარო, ფოტოები ვიღო და არქიტექტურაზე ვანძრო? მაგარი მახატია გეეთები, შურა! თან მიგელა დაგვხვდება. უცებ გავაგებინებ! თეთრი, შოლტვით გოგოები მომენტარა. აქ ვილაც ბანძი შახტიორები ჩამოდიან სულ... და თან... - შეყოვნდა აქ ალექსა.

- რა თან?
- მუტანტი გყავს გაუფიქლი, ვარლამ?

- მუტანტი-შმუტანტი არ ვიცი მე...
- შანსი გაქვს!.. საქსოფონზეც უკარავს... სევე-ანებს!

- ვინა, მუტანტი?
- მუტანტი კი არა, მიგელა, შეჩემა!

* * *

ჩავგრინდით თუ არა, ალექსამ ტყაყტი ამოისხა, ყურში ვერცხლისფერი საყურე გაიჭრა და თავზე ხინკალა ქუდი მოირგო. მე ისეც არა მიჭირდა - ნითელ ველვეტოვან ქურთუკში, ცისფერი ჯინსებით და თავზე თოვლიანი ქათქათა "ნიკოლსონით" პრინციპულ, მიზანდასახულ და ჰედანტ სკანდინავს ჩამოვგავდი, ჩემი აზრით.

- ვილაც ნესიერ დანიელს გაეხარ, პრებენ! - შე-მომხედა ალექსამ ცერად, აეროპორტიდან ცენტრისკენ მიმავალ გზაზე.

- დანიელ დეფოს?
- ძანაც ნუ ავივარდება!..

- შენ კიდეც ცხოვრებაზე გაბიროტებულ ბერძენს...
- იცოდე, ყველაფერს ვიმახსოვრებ, აკირა!

- და მერე რატომ დადიან დანიელი და ბერძენი მისსკიში ერთად?

ალექსა დაფიქრდა. მერე ვირეშმაკულად გამომხედა.

- ალბათ ჩემპიონთა ლიგის ფინალია, რომეო: ოლიმპიაკოსი-ბრონდიუ! ზავია წინასწარი. იქამდე ერთად ვიბარიგებთ იაკუბ კოლასის მოედანზე

ზანგებში. თამაშის მერე ვიჩხუბებთ!

- არ ვარა!
- რა არ ვარა, მალხაზ?

- ჯერ ერთი, რომ მინსკი ლიგის ფინალი სიზმარია! მეორეც კიდეც - გაჭირდა სხვანაირი ფინალი?

- ვინ მოიგებს რო?
- პენალტებით - "ბრონდიუ".

* * *

იმავ საღამოს მივაკითხეთ და რალაცნაირი, იოლად წასაკითხი ყალბი ხალისით მიგვიღო ალექსას იმ ძველმა ნაცნობმა, აშკარად მხოლოდ დიპლომით რეჟისორმა, თავისთან, არადა, ხელში საქსოფონით კი გამოგვეგება და ტუში ჩაბრუნა.

ალექსამ ზღურბლზევე მოწინებით წარუდგინა ჩემი თავი:

- უკვე ცნობილი და მაინც პერსპექტიული ქართველი მწერალი!.. წინა ინკარნაციებში: ატლანტიდის მოლუსკი, კოლო ცეცე, ელდარის ნაძვი, ბასილ ეზოსმოდღარი, ბედრუფის სმეტანა, კამილ კორო, იულიუს ფუჩიკი, სტილინის მაიმინცვალი, მამალა ახმედოვი... გავაგრძელო?

- შთამბეჭდავია, მაგრამ მე არ მწამს რეინკარნაციები და ეგეთი მეტაფიზიკური მისტიკოსობის! - ცივად ჩამომართვა სველი ხელი მიგელ დაბნეულმა. - მე ათეისტი ვარ და მე მჯერა იმის, რასაც ვხვდავ, ვეხებ, მესმის, ვაგემოვნებ და... მზეხუთ შემახსენე, ალექს? - გადახედა ალექსას.

- კოკაინს ჯერ არ იყნოსავ, მიგელიტო?... და ავივარდინა ალექსამ მხიარულად.

- ეგ რეინკარნაციას არ გამოირიცხავს, პატივცემული! - ჯიუტად დავიცავი ინკარნაცია.

შევედით ბინაში და დავსხედით. ცოტა ხანს სიჩუმე იდგა ბუზის გაფრენის გარეშე. მერე ალექსამ მიგელას რალაცნაირი, შეთქმული, კრიმინალური ლიმილით გახედა.

- ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს?
- ოთახი ორი კოიტი და ყველაფრით, ოღონდ აბაზანა-ტუალეტი საერთოდ და აქეთაა...

- დაასხი მაშინ, მიგელ! - შეავლოვანა იქვე ალექსამ მიგელა და მანაც სამზარეულოდან სასტუმრო ოთახში სამიტრინაი "სმინროვი" გამოიტანა. ჩვენც ამოვლავით ქართული ნუგბარ-სპირტიანობებით და, შესაბამისად, მყის მოიქოქა ალკოპოლიზმისა და ყირაზე დგომის გრანდიოზული კვირეული, რომელმაც, სინამდვილეში, ორ კვირაზე მეტხანს გასტანა.

სახელმწიფო გათბობით გაცხელებულ ბინაში ნელზევით შიშვლები და ქვემოთ საცურაო ტრუსებში მომდიან დაღამებამდე ვუსხედით დაბალ ტაბლას და ნაირ-ნაირი ჭურჭლიდან შლეგებივით ვნთქვდით მაღალგრადუსიან ალკოპოლს. თან მიგელა საქსოფონზე ხანგამოშვებით უკრავდა ყველაფერს ძველს - ციგნურებთან დაწყებულ - უახლეს-ბლატნოებით დამთავრებული. არ დაგვიტოვებია ბინაში ლარნაკი და საფერფლე, სამარედი და ყავადანი, საიდანაც არ დაგვეკლია და არ არსებობდა მალე ბინაში სკამი, რომელზე შემდგარებსაც არ შეგვესვა სასულიერო სადღერძელები. ვილაც

უცხოებზე მიმოდინდნენ ძღვენებით, ძირითადად ღამასზე, მოკლევადიანი გოგოები, მაგრამ არ მახსოვს კარგად არც გოგოები და არც ძღვენთა რაობა... კარგად კი არა, საერთოდ არაფერი არ მახსოვს. ერთი მახსოვს სახელი მიშელი, ბევრჯერ რო მორდებოდა და მეც "ბიტლზების" "მიშელის" ღი-დაგვოკა ორი გურჯი ყურუმსადი:

სინამდვილეში მიშელი (მაღე აიხსნა ჯადო-კროსორდი - მიგელას მიგელას თურქე მარტო ალექსა ეხებად, შესაბამისად - მეც) რალც მავ-თერი ნაზ ბუნდოვანობას იღებდა ადგილობრივ "ბელარუსფოლმში", ერთმანეთში ჰქონდა გადახე-ლილი მითოსი, ეროსი, რელიგიური მისტერიები, კომუნისმი, პოლიტიკა - და ეს ყველაფერი გულის-გამანერილებელი პათეტიკური ყიყინით... კვირაში ერთხელ გვეძახდა ასე მწარედ გამოიყვინებულებს კინოსტუდიაში და ნაწყვეტებს ვაგანახებდა. ყოველ სცენას სქოლოსავით კომენტარებით ვვიხსნიდა, ხელეების არტისტული ქნევით, თუ რისი თქმა სურ-და მისით და რას გულისხმობდა. ეგეთი ყოვლად გაუგებარი ბოღვითი მთქმანება რა ყაიდის ადამი-ანს შეიძლება და მოსვლიდა თავში - ვერაფრით ვხედებოდი.

- კაცი-სკოლოზი! - შეარქვა ალექსამ მიგელას. მიგელა საერთოდ გაგნებაში არ იყო, რისი გა-დაღება სურდა, საკუთრივ სცენარს ვადალების დროს, ხელდახელ იგონებდა და მორსმჭერტელის იერთი წამდაუნუმ ცვლიდა. ჰოდა, დაატორიალებე-და მერე აქეთ-იქით ვადამლებ ჯგუფს და მათ შო-რის ჩვენც, ძირითადად რალაც მიმონგრეულ, მი-ტოვებულ და ვადაგასულ, ანუ ავარიულ ქალაქა-ვი შენებებში.

- მიგელ, რას ანევი ამ სქოლოებით, ახსენი ერთი! - ველარ მოვუთმინე მორიკი უაზრო ნაწყვე-ტის ყურების შემდეგ და ბახუსის ოხშივარი ნატან-ჯი ამირანივით მივაორთქლე.

- სადა? - ყანა იყო გაუმარგლავი და იუმორნაკ-ლული. იგივ წარმატებით შეეძლო მაცას დარდი-მანდი მცხობელი გამოსულიყო, მაგრამ - არა და არა!

- არა! კინო - ეს სულ სხვა პრიატული ინტიმი! დიხ! კინო ჩემი ავთენტური სამყაროა! - უყვარდა მიგელას გაპრანჭყა.

ალექსა, ამის გაგონებაზე, ურუმრად მასტურ-ბორების იმიტაციას აკეთებდა მარჯვნივ ხელით, დასამშვიდებლად თვალს განდობივით მიკრავ-და. მოკლედ, მიგელა ჩემს თვალში იმ ყოვლად ძონ-ძი შე-კლასის ძალად-რეჟისორების კატეგორიას მიკუთვნებოდა, ფილმისთვის სცენარის დანერა მესახარისხოვან საქმედ რომ მიანიხიდა, ანუ ამ პირ-კეთის სამუშაოს მუდამ თავად თაობენ. შესაბამი-სად, ყველა მათი ნაცოდვილარი უნიჭობა, როგორც ნუსი, ვადალების შემდეგ სალდაც საკუჭნაოთა სა-კუჭნაოს სულ ბოლო თაროზე ნახულობის სამუდამო სანავნს და მისი ერთხელ ნახვის სურვილიც კი აღარავის უჩნდება, ავტორის თამაღობით.

- ხომ გენიალურია? - ცმუკავა სამონტაჟო ეკ-რანთან მჯდომი მიგელა და კიდევ უფრო იბერებო-და. - არა, რა! ვიცი, რა! ვიცი ეს საქმე და სხვა რა ვქნა?.. რაპათლუხუმის ბიხნესში ხომ არ წავაღ?..

სულ ცოტად დაგაკვლდა, შიშველი ხელებით რომ არ დაეხარჩვით.

* * *

კარგად შევაზახულებულზე, ჩვენი დუეტის ზე-აქტიურობით გადამწვარმა და ფერმიხილმა მიგე-ლამ, თავად მომიჩხრკა ცალკე ბინა შორ რაიონში. წამითაც არ მიფიქრია, რომ თავიდან მიშორებდნენ ან ჩვენს (ჩემი და ალექსას) თავდადებულ ტანდემს შლიდნენ. მართო ყოფნა უკვე მეც საშინლად მენატ-რებოდა... ჰოდა, ვაზახულის ერთ უახლოეს მზიან შაბაის, მიგელა ალექსასთან პადრუქით მიმევა სა-ქირაველები ბინის სანახავად. ორითახიანი, უშვოი სადგომი მეოთხე სართულზე დაგვიხვდა - ლოჯით.

- მასებისთვის ნაკლებად ცნობილი მწერალი სა-ქართველოდანი... - ასე თამამად ვაცნო ჩემი თავი ბინის მეპატრონე დედაკაცს მიგელამ. - ჩვენი რე-აქტორის აფეთქებაზე წერს სამგანზომილებიან, რა-დაცვიულ რომანს...

- მუტაციაზე ხომ, აღფრედ? - ჩააკვება ალექ-სამ ჩემთვის შეკრულის ხშირად.

- აღფრედი გქვიათ? - აიტაცა მაშინვე დედა-კაცმა.

- არა, ბესარიონი!
- აბა, აღფრედიო?
- ალექსი ბავშვობიდან ნობელს ელის ჩემგან!
- მე - ვალია ვარ!

ვალია იქნებოდა ასე სამოცამდე. თავიდან სა-ზიზლარი ეჭვის თვალთ კი მიყურებდა, ასე სმის-გან სახედასიებულს, მაგრამ წინასწარ ვადახდილ-მა მსხვილმა ქირამ უტეც დაამშვიდა და ბინის გასა-ღებიც ნაყიდი მტრის სახით გამომიჩნოდა.

- მე რაიონში გავდივარ ამ უქმეებზე!.. თუ რამე პრობლემა შეიქნა - ავერ ჩემი ტელეფონის ნომე-რი!.. იმედი, ბევრს არ სვამთ და სახლში არ ენე-ვით... დებოშესაც არ ანეყო!

- ქალბატონო, მე და მკაცრი ვეგანური დიეტა უდიდესი ნათესავები ვართ! - შევცინე თვალებ-ში მხიარულად. - თან სქელი რომანი მაქვს დასამ-თავრებელი!.. საწერი უამრავი ქართულად! რა მე-დებოშება? ძირითადად სახლში ვიქნები გამოკეტი-ლი. ამ ქალაქში პირველად ვარ და ამ ორი პიროტი-ვის იქით საერთოდ არავის ვიცნობ!

- მეორე ვასალები მე მაქვს! გაგაკონტროლებთ, იცოდეთ! - დამანახა ვალია-დედაკაცმა ბინის გასა-ღების დუბლიკატი და კარი მკაცრად გადაჯახუნა.

- ბურთი და მოვლანი შენზეა გადმოფორმებუ-ლი, პარმენ! - დამკრა მხარზე ხელი ალექსამ.

- ისევ ოლიმპიკაოს-ბრონდბიუ? - თვალის მო-ჭუტვით ვაგვიხვდა მე.

- ჩვერ დღეს რამდენიმე დღით ვვაზავთ, ბეს!.. ივან კუპალას ტებეთან! - ჩაეჩარა აქ მიგელა.

- ივანე მომიკითხე ტებეთანად! - თქვი მე. - ანეკსები ხომ მიგაკეფთ?

- რა ანეკები?.. კინო-ვადალებები გვაქვს და-გეგმილი.

დმერთო! იქნებ მხრით ან ნიხლით გამამტვრევინო... მაგრამ რომ არ იმტვრევა ეს ზე-სირობა, რა ვუყო? არა, აქ მართლა არავინ მოვა! სამი-ოთხი დღე არავინ დარეკავს, არაფერ მოვა... დამტვრევს საუთარი თავის იმედად! აი, ყველაფერის თავი! ზუსტად ესაა სწორედ თავი და თავი! ბელარუსის დედაქალაქის ნაქირავები ბინის ტუალეტში დატყვევებული საქართველოს მოქალაქე ითხოვს გადაუდებლად დახმარებას!!! ლუკაშენკო ხარ თუ ვინც ხართ გარეთ, უფროსობა! რა ბინებს ამწენებთ? რად უნდა ვანა-ტუალეტს ბრონირებული კარი მინსკში?! რა ვუყო? რა გატყდა ეგეთი! გადატყრიალდი, შენი დედაც!... რამე რკინა მისივ ეგდოს... ვინტებს დავხსნიდი... ეს რა შარში ვარ, უფალო! ჩემი კაი!

* * *

სისზრები უფრო ცხადები გახდნენ... უფრო ზუსტად კი, არც ვიცი, რა დავარქვა იმას, რასაც ვხედავ. თვალებს რომ ვხუჭავ, მაშინვე, ნამის მუხაყედში, სულ რაღაც ნაირ-ნაირ სიტუაციებში ვყოფ თავს. პირველი თვალისუჭვისას, როგორც ვიღაც მაღალმა და ხმელმა მამაკაცმა, შევალე მაღალი, თეთრი კარი და ვრცელ, მაღალჭერიან თოხაში აღმოვჩნდი. შორეულ კედელთან მჭარა სახაითან მაგიდას ორნი უხსდნენ, წინ დაჭერილი პური და ძხევი, აგრეთვე თევზ-დანა-ჩანგალი ეწყობ. კარის ჭრილობზე ჩემკენ გამოიხედეს და გველურად გაიღიმეს. მერე ერთ-ერთმა შინაურულად დამიყვირა:

- რა წესია ამდენი დავგინება, არიონჩიკ?! გავენდით შენს ლოდინში! ასეთი რა ჩავარდი იმ შენ უბორნიამში?!

გრევე ძირს დავიხედე და მაშინდა გავიპოვო, რომ ხელში თოკის ჩანთა მეჭირა, რომლიდანაც არყის სამ გაუხსნელ ბოთლს ამოვიღე თავი. უცებ ამ ყველაფრის ისე გულწრფელად შემეშინდა, რომ უკან გადავხედდი, თოხიდან ნაბჯივ გამოვდგი, ზღურბლს სწრაფად გამოვცდი, ის თეთრი, მაღალი კარი გამოვიკეტე და თვალი გავახილე.

ისევ კანოვსავით აბაზანის ნიჟარაში ვეგდე ობოლი ნიჩაბივით.

* * *

კბილის სალათისფერ პასტას ოთხად დაკეცილი ტუალეტის რულონის ნაჭერს ზემოდან ვუსვამ, ძლივს ვღებავ, გაჭირვებით ვყავაპვ და ხვრებით ვაკოვლებ ონკანიდან ცხელ წყალს. პირში სუ კვივის გემო მაქვს სამაგიეროდ. მძინავს აბაზანაში, მის ფარდა-ცელოფანში გახვეულს.

მეორე დღის საღამომდე თითქმის მთლიანად შემოიჭამა ტუალეტის ქაღალდი. ისეც მესამედი რულონი იყო მხოლოდ თავიდანვე. თან ისეთი ხარისხის - წყალს რომ დაასხამ და მაშინვე დნება თოვლივით. თხელი ანუ.

სხეული მომისუსტდა, გონებაც აცა-ბაცად მუშაობს. ხანდახან, ბოლო იმედად, ისიც მგონია, რომ უბრალოდ ჩემივე პალუცინაში ვარ და ოდენიმე თაისით ვამოვალ... ვფსან ჩვეულბრძოლებზე ჩვეულებრივად, კაუჭშიც გავცივარ ალაგ-ალაგ, მაგრამ რათ გინდა - მესამე დღე სრულდება, რაც ასე უმატრონოდ და მართლა ობლად ვარ გამოკეტლი. და-

უძლურებული ძლივს ვდგები ნიჟარიდან ფეხზე. მე-შინია, უცებ კოორდინაცია არ დავკარგო და ავსრი-ალდე. მესაჭმელიც აღარაფერია. პირსახოცის ხაოს მოგლეჯავ ცი ვცადე ჩემი დარჩენილი 22 კბილით, მაგრამ არ გამომივდა. ასეთ საქმეს 33 კბილიც არ ეყოფა. რა ვენა? წყალი კი მაქვს თუბილით: ციციც და ცხელიც! შხაპს ვივლებ და უძლურ მუშტს ისევ ვაფელს ვურტყამ. მერე აბაზანაში ვემე-ვები და შხაპის ქვეშ თვალს ვხუჭავ. ვცდილობ, ძილისკენ წავიდე.

იქ ამჯერად უკვე ძონძებში გახვეული წვეროსანი ინდო-ბერიკაცი ვარ და ვიღაც შავგვრემანი პრინცი მოვლული ხმლით მიქნევს ხმალს. სხლაპ!!! და მერე ყვიროს:
- მამააააა!!!

მაშინვე გულგახეთქილი ვიხილები. თავი ადგილზე. ნიჟარად უნიტაზისკენ ძლივს გადავიდვი, ვჯდები და ფიქრების კორიანტილში ვხვდები. უნდა ვივარჯიშო. მაინც რამდენ ხანს გავეჭაჩავ წყლის ამარა? აი, ხომ დღივტებ ასე ცნობილი ადამიანები, თუ შომილობენ?.. უნდა გავინძრე და გავცოცხლდე. უნიტაზზე მჯდომს რული მერევა, მაგრამ ადამიანური ძილისკენ მაინც ვერადრით ვიდრეიკები - დახატულ თვალებში უკვე სადღაც, ვრცელ ყვავილბან მდელიში გდვივარ გულაღმა ხელებ-გაშლილი და ხელისგულებიდან შინდის წვენი მდის. ირაველი ჭრიჭინები ჭრიჭინებენ რაღაცას ტ-ზე. არადა, თან ვიცი, რომ უნიტაზზე ვზივარ და თან მდელიზეც რომ ვარ, ანუ ორივე ერთდროულად რომაა, გვეც ვიცი. ისევ ორმაგი სტანდარტები და ორმაგი ზაფანგი.

ალექსა და მიგელა მინიმუმ მეორედ მოსვლამდე არ მოვლენ. რომც მოვიდნენ - რა ხეირი?.. დარეკავენ, დააკუუნებენ და წავლენ. ოფიკრებენ, სადმეა ნაჩანაღბაბული. ანუ სასამ მე არ გავალ კონტაქტზე, დამიკრებენ. ოფიკრებენ, რომ უმაგაიოდაც მშვენივრად ვარ. უნდა დავუდარაჯდე. თვალებს ვაგულ, ყვავილებიანი მდელიდან ისევ აქ ვყოფ თავს. უნიტაზზე მჯდომი შულის ნუკრივით სვედიაანად აყვურებ კარის ოქროსფერ სახელოვს. მერე წყალს მდელიზე დაჭერთი ხმაურით ვრეცხავ. არ ვიცი, მერამდენე დღეა აბაზანაში ვარ გამოკეტლი. ხაზები არ გამიკეთებია კედელზე. დამეოწყდა. ასე უიმედოდ. სულ მარტო. უცხო ქალაქში. სხვა ქვეყანაში. ლუკაშენკო, მიდი, ძმარად, გააღე შენი ქვეყნის ერთ-ერთი კარი! სიმსიმ! ფეხზე ამდგარს ციციანთვლებივით მანათობელი ორმებში ამდგირან თვალებში. სარკეს ვუახლოვდები. მაგრად გავმხდარავარ... სამი დღე ცარიელ წყალზე ასე ძალადობრივად ყოფნა - საზარელი სასჯელია. ისევ თავს ვითვალვებ. აღარც მახსოვს, როგორი ვიყავი. ალბათ, უფრო სავსე და ფერხორციანი. ასეთი რომ დავგრუნდე თბილისში, კარს არ გამოივლებს ბებიჩემი - ელაზოკიდან მეტყვის: ბესიკო ბელორუსიაშია, შვილიკო! - ლოყებს ხომ არ გამოვბერავ ან ღიპს, რომ მიცნოს?.. რო გავალ გართ აქედან - ყოველდღე ერთი სუფრა სალა და პილმენები უნდა ვჭამო. და იქნებ ბინის პატრონი ადრე მოვიდეს... მეორე გასალები ხომ დამანახა?.. გააკონტროლებო!.. კარზე ნაზად ვაბაგუნებ თავს. მერე ძირს მიმიმდე ვემ-



ვები და ხორკლიანი მეტლახის უჯრედებს ზიზლით დაყურებ. ისინი პასუხად თითქოს მორაობას იწყებენ და ერთმანეთში ირევიან...

* * *

რინგო გამოკეტილობის მესამე დღის საღამოს გავიციანი. რინგო მე დავარქვ, "ბიტლზების" პახ-მელიაზე, დაშვებული საცეცების და ნალვლიანი მზერის გამო. ისე - ტანმორჩილი ტარაკანია - შავი და ბუსუსებიანი. ალაგ ციმციმებს კიდევ. ნიჟარის უკნიდან გამოძვრალმა ადგილი შინაურივით მოათვალიერა, საცეცები ფრთხილად მიმოაშერა ანტიენებით და კარს დაბლა ჭროლით გაძვრა. მაშინვე კარს ვეცი და დავეჯაჯგურე.

- აეეე! მიშველეთ!!! ალექს! მიშელ, შე ბელარუსო პიდარასტო! ნიონია ვალია! მთავრობა!!! მილიცია!!! - ვიღრიალე, თუკი ამას ღრიალი ერქვა. ვინ უნდა მომშველდებოდა? ბინაში მხოლოდ მე და რინგო ვიყავით და ალბათ იქით ბუზებიც, და კიდევ რაღაც უჩინარი მწერები და მლოღავებიც. პირადად მე, აქ, რინგოს გარდა, არავინ შემომფეთებია. თავზე ხელისგულები სასონარკვეთილმა შემოვიჭდა და ღანვზე ცრემლი ჩამომიგორდა. რინგო, ჩემდა ბედად და რომელიღაც უფლის ნებით, მალევე გამოჩნდა. უკან შემომძვრალმა ისე მოსინჯა სორცე საცეცები და ის იყო, ნიჟარისკენ აძრომა დააპირა, რომ ჩემს ხელისგულში ამოჩნდა. მაშინვე კბილის ჩოქოსისთვის განკუთვნილ პლასტმასის გამჭვრივალ ქილაში ჩავაგდე და ქილას რეზინის ფლოსტი დავახურე. "ეს მარტო არ იქნება!.." - გამიღვლა იმედინად და ოდნავ ხასიათმორბილებულმა რინგოს ქილაში რამდენიმე წვეთი სუფთა წყალი ჩავუსხი. ის წვეთებს მოუსინჯავად და ხარბად დაენწავა. მალევე შეისრუტა. მერე საცეცები ამოძრავა და ქილის კედლებს მიაღო. "სხვებიც მოვინდე..." - ვიგუმანე მალევე და ნიჟარის უკან ხელი მოვაფათურე. სინესტეტი შემხვდა. დახურულ უნიტაზზე გადავჯექი და ისე დაველოდე. იქამდე გავიხსენე, თუ როგორ იზომოდნენ ადამიანები ძალღებს, კატებს, ქათმებს. მწუ-მწუ, ფის-ფის, ნიაჟ-ნიაჟით რომ ვერავის ვერაფერი გავაგონე, ენა სასაზე ავიჭირე და "ცს"-ს მაგვარი ბგერა გამოვეცი. ეს იყო და ვერიკა - სხვა ტარაკანებიც გამოჩნდნენ - წესით, ამის ახლობლები. სამინ იყვნენ. საცეცებს ფრთხილად ამოძრავებდნენ და სივრცეს სწავლობდნენ. ალბათ შინიშუსვლელ რინგოს ეძებდნენ. ალბათ მეც შემინიშეს. ერთი-ორი-სამი... რინგოს ახეხე. ის ქილაში ამოძრავებდა საცეცებს და აშკარად შევლას თხოვდა. უკვე ჩემი ჯერი იყო.

სულ მალე ყველანი რინგოს გვერდით ეყარნენ პლასტმასის ქილაში. უტვც გამოუყვანეს ნივთა წყლის წვეთები. ქილას ხანდახან ვხდიდი ფლოსტს, რომ სასუნთქი ჰაერი მიმეცა შიგნით მომწყვედული ტარაკანებისათვის. "ცს" კიდევ - ტარაკანების დამახება ყოფილა.

ისე, ტარაკანი თუ იჭმება?.. როცა არაფერი, ალბათ საკუთარი თავიც იჭმება. ფლოსტების ღრღნაზე უნდა გადავიდე. მოკაუჭუკო რეზინია. ძნელად იჭრის კბილი. ოდნავ თუ მოაფხვნი. მეტი აბახანაში არაფერია. კიდევ, ცელოფნის ტენტი-ჩამოსაფარე-

ბელია... მოიცა, შენამდევ მოვალ, ჩემო საბანო! ქილაში მომწყვედული ტარაკანები დავიზებარე. რინგოს გარდა, სამნი არაა. ოთხივე ერთი ჯიშის თუ ჯურისაა, ოღონდ, როგორც ჩემთვის ჩინებები ან კორელები, ზუსტად ვერ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ძალიან თუ დაუკვირდები ადამიანი, სხვათა კია მაინც. ფერები გრადიენტიშა. ერთი წაუყავისფრებს, მეორე მთლად ზანგურადლა გადახრილი. საცეცები ყველას ბეგრი აქვს. მათით არიან აკრული ქილის შიდა კედლებზე. დროგამოშებით წყალს ვუწვეთებ. ჯერ საცეცებით ამოწმებენ. მერე უახლოვდებიან წვეთს. ვხედავ, როგორ აირეკლებიან წვეთში სათითაოდ. კბილებით უკვე ფლოსტის ყუას ვერღნი და ისე შეეყურებ. ნელ-ნელა გიმახსოვრებ და გამოვარჩევ... ნელ-ნელა ვატყობ, რომ ყოველი მათგანი იშვიათი პიროვნული თვისებითაა შემკული. ქილაში მომწყვედვის რიგითობის მიხედვით, მე მათ სახელები მივეცი:

რინგო, ჯონი, პოლი, ჯორჯი... რინგო სხვებზე სხარტია. ჯონი და პოლი ტყუპებით, ანუ ჩაის ორი კოვზით გვანან ერთმანეთს. ორივე - ზარმაცია, მაგრამ ნიჭიერი. ჯორჯი - უბრალოდ ლამაზი გენისოსია! ჩანვეთეულ წყალს ძაან მალე აქრობდა. წყალი მაინც გვაქვს ოხრად მეც და მათაც... გენაცვალე, ლუკაშენკო, წყალკანალში რა უნდა ვქნა?.. აღარც მეძინება... შიმშილისგან სუ აჩმა-ხინკალ-ხაჭაპურები მელანდება აქა-იქ და ყურცი უტხი ხმებით მევსება. რა ხდება? ან ეს რა მესის?... ბოლო ძალებით მივაყურადე. ტარაკანები თითქოს ერთმანეთში ლაპარაკობდნენ. უფრო რომ მივაყურადე, მივხვდი, რომ ეს სიმღერა იყო:

Here come-u! flat-top he come grooving up slowly
He got ju-ju eyeballs he's one holy roller
He got hair down to his knee
Got to be a joker he just do what he please

He wear no shoeshine he got toe-jam football
He got monkey finger he shoot coca-cola
He say "I know you, you know me"
One thing I can tell you is you got to be free
Come together right now over me
(Beatles. Come together)

- თქვენ ხომ არ უბერავთ? - ავლელი აქ ძალიან პატრიოტულია. - ჯორჯიან ფუტბოლიკა სადაა? ან შუშანიკა? თავიდან იმდერეთ წესიერად! და იმათაც დამიჯერეს. ჭკუიდან ვიშლებოდა. მით უმეტეს, რომ მალე კიდევ ერთი ტარაკანი გამოჩნდა. ისიც რაღაცას თუ ვილაცას ეძებდა, ისე ჯვარდინად აცეცებდა საცეცებს. დაჭერილი ქილაში ჩავუვდე ლეგენდარულ ოთხეულს, ის კიდევ საცეცებით მაშინვე ყელში ეძვერა ჯონს და არ დაინდო. სხვა რა გზა იყო - იქვე მარკად მოინათლა. ჩემპენად.

* * *

მეთოხე დღეს რაღაც ხმა იყო შემოსასვლელიდან. აღარ მჯეროდა აღარც ღმერთის, არც ეშმა-

კის, არც მსოფლიო კატაკლიზმების და მასონების! ბინის კარის გაღების ხმა! ვილაც ფეხაკრეფით შე- მოვიდა, ისე, რომ კარი არ მიუკეტავს. ჯერ დიდ ოთახში გავიდა... მერე სამზარეულოში. სმენა ისე დაბინძურდა - საჰაერო მილიდან იშვიათი, დარადი- აციებული ჩიტი რო გადაიფრენდა, იმის ფრთების ფათქუნი მესმოდა. აგერ მოდის! ეს თუ შენ ხარ - ჩემი ვალაია, მე შენ თანამტყუბერედ გაგიხალო, წმინ- და ვალია!

აბაზანის კარი სახელურის ერთი ჩამონევით გა- ილო. მართლაც - ვალიას ხელში ჩემი ნაწერებიდან ერთ-ერთი თაბახის ფურცელი გაკვირვებულ ან- გელოზივით ეჭირა.

ერთიანად შეშტარს და ეგრევე გახეივებულს რა დახვდა შიგნით?

სანახევროდ შეჭმული ფლოსტია და ხელში ტარაკნებიანი ქილით, გასავათებამდე გამხდარი და შემოღობილი შიშველი მდგმური, რომელიც ვალიას მუხლებზე უჩოქებს და ხელს სთხოვს...

- ეს რა არი?! აქ რა ხდება?! ო, ბოჟე! - მომესმა ნისლეულიდან მისი ნივინარევი კითხვა და მაშინ- ვე ტარაკნებიან-ფლოსტიანად გავითიშე.

* * *

აზრზე რომ მოვედი, იმავე ნაქირავებში, გახა- მტყულ საწოლში ვინეკი. სასთუმალთან ალექსა მეჯე- და მამა ტერეზივით.

- მობრუნდი, კიაზო? - შემეკითხა უდარდელად.
- საიდან?... რა ხდება?
- რა მიიღე ეგეთი, შე ლეღოვ? პატრონმა ისტე- რიკაში დარეკა...
- სად?

- კიდევ კაი, ახალი ჩამოსულები ვიყავით. მი- ლიცისი გამოძახებას აპირებდა... სუ გაფრინე?!

- ალექს!... თქვენ რო ნახვედით...
- ჩუ!... და კრინტი!... გადადევართ აქედან!... ქალ- მა - მომაშორეთ თავიდან ეგ მანიაკი - ნარკომანიო! მწერალი კი არა - ზის და რალაც იეროგლიფები გა- მოყავს ფურცლებზეო!
- რაო?

- ეტყობა, შენი ქართულად ნაჯღაბნი მოხვდა თვალში!

- ო, ენავ ჩემო, ქართული ენავ!
- აეცვი!
- ალექს, ოთხი დღე ტულეტში ვიყავი ჩაკეტი- ლი! რა ნარკომანი?
- გითხარი მე შენ, მუქი ზანგებისგან არაფერი იყოდ-მეთქი!
- ვინ მუქი ზანგები? რატომ არ გჯერა?
- ტარაკნები რად გინდოდა?!
- ეგეინ, რავი... იწებ შემეჭამა!..
- ტარაკნები?
- ჰო!
- შეეჭამა?!

- ყველაფერი გადავძოვე... რეზინის ფლოსტი ვერ მოვლევ კარგად! კარმაც გაჭედა, ალექს! სქე- ლი იყო. ვერ გამოვამტკრიე... ოთხი დღე შიგნით ვი- ყავი... ტულეტის ქალბლს ვჭამდი.

- დავიჯერებ, კი! აეცვი-მეთქი!
- ტარაკნები რა უყავი?

- დასასვენებლად გავუშვი ესენტუკებში. "გადარჩებოდნენ", - გავიფიქრე ჩემთვის. - ის ქალი სადაა?

- დღეს თორმეტამდე უნდა დავუცალოთ ბინა. გასაღებს ტილოს ქვეშ დავუტოვებთ. რამდენ კითხვას სვამ? ადე! ნავედით!

- მუტანტები?
- სარკემო ჩაიხედე-მეთქი!

და ჩვენც ნავედით ზღაზვნით. ნავედით და ისევე მიშელ-მიგელას შევესახლდით. უკვე - საქართვე- ლოში მაღიზანებულამდე. თეთრ რუსთა შარიაანაა დე- დაქალაქის ცენტრმა კი ისევე ძველებურად ჩაგვიკ- რა გულიმ აღდგენილი დუეტი - დაღევა, ამბავი, წრიალო.

მე და ალექსა გარეთ თუ გავდიოდით, დავქრო- დით ძირითადად მეტროთი. ალექსა ადგილობრივ რძისფერ გოგონებს თვალს უკრავდა და თავისი "ობ- ლადი-ობლადათი" უტიფრად, თუმცა მათთვის არა- გამაღიზანებულამდე კერავდა. მე ყველაფრისმოდ- ნე ფარისეველივით ვიღიმებოდი და ნელა ვაფახუ- რებდი გაკეამულულ თვალებს.

მილიცია ჩვენკენ თითქმის არ იყურებოდა. ერთს შეგვაველებდნენ პაგონებიან მზერას ირიბად და მა- შინვე უხერხული მშუშნით იმზარებოდნენ სადლაც, კიდევ უფრო განზე, ანუ ისე ფერადად ვიყავით გაზ- მანულები, ეჭვადაც არავინ იღებდა ჩვეს კავკასი- ელობას, არადა, სულ პანტა-პუნტით, ჩვენ თვალ- ნინ აჩერებდნენ, საბუთებს უმიონებდნენ, ხვეტ- დნენ, ყრიდნენ, იჭერდნენ შავგერემან და მუქსამო- სიან მგზავრებს. იყო მერე დიდი ხვენწა-მუღარა, პასპორტების ფრიალი, გაქაჩვები და ვაი-უშველე- ბელი.

ჩვენი სულ სხვა სუნი ავგდიოდა: ალექსას საყურე მფარველობდა, მე - "ბრონ- ბლიუ".

ჩემი ოთხდღიანი გამოკეტვის, ანუ სააბაზანო- ში ჩარჩენის მაინც არავის სჯეროდა და ჩემს მონა- ყოლს ცალკებად კი არა, სულაც ყბების გარეშე უს- მენდნენ, უფრო ხშირად კი საერთოდ არ უსმენ- დნენ. მერე მეც მომებზრდა ეს ლაყაფი და ფეხებზე დავვიკიდე... მაინც ზომ დანვრილებით მასსოვდა ყვე- ლაფერი... თან ისე, რომ აქედან ვერასდროს ველა- რაფერი ველარ წაშლიდა.

მიგელას იმ დებოლმა კინომ რომელიც ევრო- პულ ფესტივალზე გრან-პრი მოხსნა და პრემია მი- ილო. ალექსა საქართველოში ჩამოსვლისთანავე კი- დევი ერობლ დაუბრუნდა თავის მეცხრედ გამოკე- ბულ ცოლ მილანს.


ბოლოს რომ დარეკა, კიდევ ერთხელ შევეცადე, შემესხნებინა ჩემი ბულორუსული ოთხდღიანი ტყვე- ობის ამბავი. იმან ისე აბუჩად ამიგდოსავით და კი- დევე უარესიც - იმიტომ, რომ ისეთი მკითხა, საერ- თოდ უკანასკნელ გონებასუსტ ტარაკნად მაქცია:

- კაი. მაგრამ თუ ვერ გამოდიოდი, ნყალი რა- ტომ არ ჩაუშვი ქვემოთ?

ტარაკნებს იმის მერე სულ სხვანაირად აღვიქ- ვამ, ვუყურებ და ვექცევი. რალაცნაირად - ახლობ- ლები გახდნენ ჩემთვის. სხვანაირად ახლობლები. აი, ძალიან ჩემებზე ჩემები. მე ვიყო "ზიტლზების" პროდიუსერი.

დიმიტრი ნიკლაური

ხელისმომკიდე



1.

ნამდვილი პოეტი მეჯლისზეც სევდიანია. სიტყვაძუნწობით მუდმივ შთაგონებაში მყოფს ჰგავს. წერას რომ შეწყვეტს, ფიქრს განაგრძობს, მაგრამ სათქმელს სრულყოფილებამდე მაინც ვერ ხევს. ციცქნა ლექსებს მზის გულზე თხზავს, გეგონება მნათობები კარნახობენო, უგრძეს პოემებს კი ხეივნის ჩრდილში, რახან ხანგრძლივ სიცხეს ვერ ჰგუობს. გზაჯვარედინი ციგნს აგონებს, ფართო ქუჩები მნიშვნელოვან სტრიქონებს, ხოლო ვინ-რო ჩიხები უმნიშვნელოს. მონოტონურ შრომას აზროვნებას არჩენს, მაგრამ რადგან ფიქრები არ ჩანს, უსაქმურად მიიჩნევენ. ღამე მშფოთვარე სიზმრები ტანჯავს, თანაც ყველა ძილგამფრთხალმა მის ფანჯრებთან უნდა ჩაიაროს და ცხოვრება უშვერი სიტყვებით შეამკოს. ეს ძირს გართხმულთა ჩვევაა. ნატანჯი კაცი ხომ ათასგვარი ოხრობით დაფარულ მღვრიე ფსკერს იმ ქმედებით შეიგრძნობს, დაშვებას რომ წყვეტს და წმინდანადაც რომ შერაცხონ, ფრესკად ფსკერზე გამოსახვენ.

იგი ხშირი სტუმარია ბიბლიოთეკის, რომლის გასწვრივაც ცხოველთა ბაზარი მდებარეობს, ზოო. მალაზიებითა და ვეტ. აფთიაქებით წარმოდგენილი. უეკირს, იქ რომ გაცილებით მეტი ხალხი ტრიალებს, ვიდრე სამკითხველოში იყრის თავს, სადაც მსოფლიო სიბრძნის საგანძური ინახება. წიგნის

მოლოდინში ფანჯარაში იყურება. შენობის სახურავზე განთავსებული ანტენები ეშმაკის რქებით გაშვებულა, თითქოს თვითონ მიმალულან, რქებს კი ვერაფერი მოუხერხესო. ძალიან თუ დაუგვიანეს, კეკლუც თანამშრომელს დაადგება თავზე, თამბო სადაფის სამაგრი რომ უციმციმებს. შეკითხვავს, რა გნებავთო, ლამის დასჭექოს, ალაზნის ლოქო და ციკანი, რა მენდომებო, მაგრამ ხელს წიგნისკენ იშვერს, როგორც იქნა რომ აღირსევ და გადაფურცვლით ისეთ შრიალს ატეხს, თითქოს ფოთოლნარში ქარი შეჭრილიყოს. მისთვის საინტერესო თარიღთან ყოვნდება, სიტყვებს მუყაითად ჩაჰკირკიტებს. დიდხანს და ყოყმანით ირჯება, გეგონება, საკუთაჟში იქექებაო. სათვალის მიწებს რუხი ჩვრით აპრიობდავს, ტექსტს კი თვალს არ აპირებს. ჰაერში მტკვრივ შესამჩნევია. მცირე ნაწილაკები შუშაბანდიდან შემოჭრილ სხივებში თაბაშირისფრად ციმციმებს. ცოტა ხნით შეისვენებს და ირვლივ მიმოიხედავს. სამკითხველოს გრძელ მაგიდას ჭრილი გააქვს. ზედ სქემები აწვია ფერადი ილუსტრაციებით. დიდრონი შეკვრები სქელ ტომებს მოიცავს. განსახილველი თემა გარდასულ ეპოქას ეხება. იმ პერიოდის დეტალებში გარკვევა სურს, რათა გამონაკონი ნამდვილს დაამსგავსოს, მერე ჯადოსნურ სიტყვებს უხმობს, ქარავანივით განლაგოს, ნააზრვეი დააქუცმაცოს და თითოეულ მათგანს საპალნედ აჰკიდოს.

ბიბლიოთეკის დაკეტვამდე იქ დაჰყოფს. გარეთ რომ გამოვა, მდინარის ნაპირს ჩაუყვება. შესაძლოა მონეტასაც დასწვდეს, ლამპიონის შუქზე რომ გაიღვლებს. ხურდა ფულს ყოველთვის ალაღბედზე სიარულისას პოულობს. რახან ნაყოფილიად იმუშავა, თავს დაღვევის ნებას რთავს. ამისთვის ნაპოვნი არ ეყოფა და დამატება მოუწევს. მდინარის გასწვრივ დინჯი მოხუცები სეირნობენ ზაზონით. საღამოს ჰაერს ხარბად სუნთქავენ დაბმულევიბული ფილტვებით. ჟანგბადით იმედარ ულუფებს ხველებით ნთქავენ, გაუთავებელი ოხვრა კი ჭრიჭინებს ამსგავსებთ, ჭომაზეზრებლად რომ კუთხვენ გაღმა-გამოღმა, მალევის მიუღ გაყვებაზე, თითქოს მწერები მდინარის ყურისნამლები ხმაურის გამოჯავრებას ცდილობენო. პოეტის გზას ზაზონით განაგრძობს, გეგონავს, იმდენხან უნდა იაროს, სანამ საკუთარ თავს არ გადააწყდებ. თან სევდიან მეფეზე ფიქრობს, მთვარის შუქზე მშობლიურ სამეფოს რომ ემშვიდობება.

მერე ამინდი ფუჭდება. ბრჭყვილა ვარსკვლავები ორბიტიდან წყდება და სივრცეში იჩხვება, თითქოს ხელოსნები გვირგვინის თვლებს ქანჩით აძრობენო. მალე იმდენად ცოტა ვარსკვლავილა ჭიატებს, გეგონება, სიმდიდრის სიკვრში განძით სასვე ტომრების ჩააბრჭყვებისას მცირე ნაწილი ძირს დაბნეოდა და შლამში ნარჩენებს გაებრწყინოს. ზეცა გახსნილ კარიერს ჰგავს, ზედ ფერული რომ დასტრიალებს. ცა პერიოდულობით ნათდება. ელვას გრვეინვა ისე მოსდევს, თითქოს ჯერ უღამაზესი ცოლი აღებდეს ჭიშკარს, შინ შესულმა ვეება ჭალი სასწრაფოდ რომ ააბრდღვიალოს, უკან კი მიმეჩ ჩემოდნებით დატვირთული ქმარი ზანტად მოჰყვებოდეს, ბედზე მომჩივანი და ბუზუნა, მეუღლის გაბრაზებას მების დაცემად რომ აღიქვამს. ამიტომაც გაუთავებელ წუნუნსა და ჩივილს ჯავრის მშვიდობიან გამხელად მიიჩნევს და შუბლზე წურწურით ჩამოსულ ოფლის სანიაღვრე ჭებთან იმშრალებს.

პოეტი მანამ შეასწრებს ლუდხანაში, სადაც ყოველი ჩქამისა და ბეგრის დამხშობი მუსიკა ჩაურთავთ, სანამ ცივი წვიმა კოკისპირულში გადაიზრდება. სცენაზე შუქი ითიშება და ელექტრომექანიკოსის სტვენით უხმობენ, ფაზას ისეთი მონღომებით რომ უტრიალებს, თითქოს პოეტი ხვეწსო ფრაზას. სინათლის აღდგენა მივრავს სახეებს მაშხალასავით გაანათებს. პოეტი, თავისი შუბლილი მზერთა, ნაპრალს შეფარებულ კაცს ჰგავს, გადადარებას რომ აღარ უტყვის, გეგონება, სამუდამოდ აქ უნდა დასახლებესო. უცებ ზღურბლზე ძველ მეგობარს შენიშნავს, მეტსახელად ლოთს, საუაჭრო დახლთან რომ მუშაობს, სასმელების ზაზრობაზე. დაღვევას იქ დამაჩვიესო, იმართლებს თავს, მაგრამ სკოლაშიც ლოთს ექახდენ. იგი მონღომებით იფერთხავს სანვიმარს და მბრწყინავი წვეთები ციმციმით ცვივა იატაკზე. პოეტს ლუდხანაში მისი გამორჩენა შეეცხადებინა, იგივე იქნებოდა, აეროპორტის თავზე თვითმფრინავის დანახვა ვაკვირებოდა.

2.

- გამარჯობა! - ისეთი მონინებით მიესალმა ლოთი, თითქოს გენერალს გადაჰპროდეს.

- ლოთობას ვერ შეეშვი? - ჰკითხა პოეტმა. თუმცა ლოთი ნასვამი არ იყო. აშკარად გამოსწორების გზას ადგა. სასმლის შესვლის ოსტატეს საკუთარ თავზე ბეურს არაფერი ჰქონდა სათქმელი, პოეტი კი ისედაც არაფერს იტყოდა, თავისი ამბები ლეგენდებს რომ მიანდო, საუკეთესო შემოსავლებს.

- ლოთს ვინც მეძახის, თვითონ ჩემზე მეტსა სვამს! - საყვედურით აღნიშნა ლოთმა.

- იქნებ მეც? - ნიშნისმოგებით მიუგო პოეტმა, ალალი მზერა კამათში გამარჯვებულ მოდავეს რომ მიუგავდა.

- შენ სხვა ცხოვრება გაქვს. განწყობას ჩივილით არ შეგბალავა და წარმატებით დატკებები. ჩემი გრძობები კი დამზაფერულია, როგორც სისვდილის სიახლოვეს ჩავლა. სიმშვიდე კარგა ხნის წინ დავეკარგე. სადაც არაფერი მესაქმებოდა, ხათრმა მომახვედრა.

- თავს ნუ იმართლებ! ალკოჰოლს ეტანებოდე, ეს ისე შეუძლია, რომ შემოიღოთან თანხმობაში ცხოვრობდე, დღის წესრიგს ის გიდგენდეს. სცადე მაინც, ათასი წამალია გამოგონილი!

- წამალს საკუთარი სიმწარე ვერ დაუძღვია, კაცს რას ახეიროებს, თუმცა საქმე გადავიფიო, რაც არ უნდა იყოს, დილიდან გემძვ. კარგია, რომ განახე!

- რამე მოხდა?

- უბრალო ადამიანებს მოაზროვნეებზე ზრუნვა გემართებს, მაგრამ ამისთვის ჯერ ხომ უნდა მოგაგნოთ. ეს კი ლაბირინთში შეღწევის ტოლფასია. ძველ საქმეს ხართ შეტეხილებული. განა აღდგენა ექოთა ყურისგვლია. სტრეიტონა სიღრმეში ჩანვდომა ფსკერის მოხილვას ჰგავს, რითმა კი უმთავრეს მიგნებად მიგაჩნიათ. კაპტოპრილის ნაცვლად კარტოფილი ჩავცხმით. ჩემისთანებისთვის სად გავალთ. რჩევა რომ შემქმდოს, განა ყურს დამიგდებთ! - ენად გაიკრიფა ლოთი.

- ვინ გიძღოს, მირჩიე!

- რეალბოში ფანტაზიის არევით ასლის ნაცვლად ილუსტრაციას ვიღებთ. წერა გარკვეულ წესრიგს უგლისხმობს, მსგავსად სმისა, ღრეობაში რომ არ გადაიზარდოს და სადღვერძელოები ფუტურ სიტყვებად არ იქცეს. სჯობს არ დანერო, ვიდრე ნაშლა მოგინოს, - ლოთმა პოეტი ისე მრავალმნიშვნელოვნად დამოძღვრა, თითქოს ბეერი ეფიქროს, - თუმცა ამის სათქმელად არ მოვესულვარ. სიკვილი-სიცოცხლის საკითხზე მოგაკითხებ!

- ამოდერლე, რა განუხებს?

- გვერდში დგომა მჭირდება, მაგრამ ჯერ საქმელი შევესტოოთ. ხომ იცო, სამყაროს მამოდრავებელი ძალა შიმშილის გრძნობაა. მსოფლიო სვედის ფუნდამენტურ მიზეზზე დროული ზრუნვა გემართებს. დილით სამშენებლო ნაგავს ვაკვირ-



დებოდი. დინგით მიმდგარი ღორი ღორღშიც საკვებს ჩიჩქნიდა. გლახაკები ურნებში ელემენტარულ საკვებს დაეძებდნენ... - მეტი მაგალითის მოყვანა ვეღარ მოასწრო, რადგან მიმტანი დაადგათ თავზე. ლოთმა ჯიქურ მიხაზა, რა გაქეთო, თითქოს მენიუს თავის ნებით თუ არ გაამხელდა, დააფქვევინებდა. ამისთვის ბევრი მეთოდი გააჩნდა. მერე ლუდი და ქაბაბი შეუკვეთა, და კიდევ ერთი ბოთლი არაყი. დახლის თავზე განჯინა დაემარგებინათ, რომელსაც ხელით ვერ სწვებოდა და წკირით აღებდა. არყები იქ ელაგა. ერთი ბოთლი ჩამოიღო და სამზარეულოში გავიდა შეკვეთის მოსაგვარებლად.

- მინდა, რომ ჩემი ხელისმომკიდე იყო! - თავისი გულისთქმა მიკიბ-მოკიბვის გარეშე აღმოთქვა ლოთმა, თუმცა კონკრეტულად არავინ უხსენებია. მერე ერთხანს გაჩუქდა და სხვა თემები მიმოიხილა. მშობლებსაც გადასწვდა, მკაცრად გვზრდიდნენ და არა დროის შესაბამისადო.

- იქნებ სწორედ მაგ სიმკაცრემ განაპირობა, იმ წლებს ცოცხალი რომ ვადავურჩიო?! პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალული კალაოტში გვაქცევდნენ, როცა ნაპირიდან გადავდიოდით. თუ იცინოდნენ, გულითადად და თუ ტიროდნენ, გულამოსკვნი. პედაგოგებზეც იგივე ითქმის. დამქაშებვით დაგვეყვებოდნენ, თითქოს ჩვენი დარაზმვით ერთიანი ლაშქრის შექმნა გადაენწყვიტათ. ახლა კი მარტონი დავრჩით ჩვენივე უზადრუკობის ამარა!

ერთხანს ორივენი მოგონებებმა წაიღო. ძველი ამბები გაახსენდათ.

- დღევანდელ დღეს ვშობილვარ! - პათეტიკურად წარმოთქვა ლოთმა - მაგრამ არ აღვნიშნავ. ისეთი ბებერი ვარ, დაბადების დღის სუფრა რომ გავშალო, ტორტზე ძვირი სანთლები დამიჯდება!

- აი, ხომ გაშალე!

- ეს რა სუფრაა, ცოლს რომ მოვიყვან, სუფრას იქ განახებ! - აღუთქვა მტკიცედ.

- ბებერი ვარო, დაგიჩემებია, დაოჯახება კი განვიზრახავს! - გაეღივა პოეტს.

- მირჩევნია, ბებერს ვვაძვე, ვიდრე გოგონებმა ახალგაზრდად აღმიქვან და ცდუნდნენ!

- რამხელა ჰუმანიზმია! - გადაიხარხარა პოეტმა, თითქოს მის საქციელს აღეფრთოვანებინოს.

- ცხოვრება ისედაც ათასგვარ საფიქრალს აღძრავს. რა საჭიროა ზედმეტი ფუფუნება. სიამტკბილობის აყოლა საზრუნავის მატებას გულისხმობს. ყოველი ათავლა ცვლილებით იწყება და ცხოვრებასთან თანხმობას არღვევს. შენ ამას ძნელად შეიძენებ, რადგან ბუნებამ იღუმალი ნიჭით დაგაჯილდოვა. ყველა პირობა შეგქმნა გაზულუტებისთვის. თავმდაბლობას რის ვაი-ვაგლაბით თუ შეინარჩუნებ. არადა, რაღაც პერიოდი მარტო დარჩენა სჯობს საკუთარ თავში გასარკვევად! - მერე ერთხანს რღაცის გახსენებას შეცადა ლოთი, მაგრამ მესხიერების სიღრმეებში

ხელის ფათური მღვრიე ფსკერზე ნივთის ამაძებნას ჰგავდა და ხელი ჩაიქნია.

- მაინც რას გულისხმობ?

- ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ქალი ნარსულში დარჩა!

- თუ ქალზე ფიქრობ, ასაკს ნულარ უჩივი! - ურჩია პოეტმა - მაინც ვინ არის, ვიცნობ?

- როგორ არ იცნობ! მარიშა, ჩვენი კლასელი ყოველთვის მთელი არსებით რომ მიყვარდა. სხვახალს სრულყოფილ ცხოვრებას ეყრასდროს შევძლებდი!

- მარიშა ხომ დიდი ხნის წინ გათხოვდა?!

- ჰო, იმდენად დიდი ხნის წინ, რომ უკვე დიდი ხანია დაქვრივდა კიდევ. ხელი მინდა ვთხოვო და თანხმობის შეთხვევაში ჯვარსაც დაეინერთ. ასეთია ჩემი გეგმა, რომელიც მარტომ მოვიფიქრე, რას იტყვი?

- რა ვთხარა. იმდენად გენიალური გეგმაა, მაშინვე მიგხვდი, მარტომ რომ მოიფიქრე! ყოველ შემთხვევაში შენ ვერცდელი მიგულს!

სანამ ლოთი პოეტს თავისი სიყვარულის შესახებ უამბობდა, გარეთ სატიკია მძინვარებდა, თითქოს მის მონათხრობს შესაბამის ფონს უქმნისო. სამყარო აქვე იყო, ფანჯრებს გადაღმა, შემოგარენის პირქუშ კონტურებს დაბნობდა და ქარიშხლის ხმაური რომ არა, მგლების ყმულოც გაისმებოდა. ტოტები ღვარცოფს წყველასავით იგერიებდნენ. ტყვიისფერმა ღრუბლებმა ვარსკვლავები გადაფარა, თითქოსი ჩანთლები ჩააქრესო სულის შებერვით. უკანასკნელი შემოკვრის ხმაც მიიღია გაზზარულ სივრცეში და გონგის თევშივით ბრტყელი მთვარეც გაქრა. დეკორაციები ნიღოს დაქეძილმა ფთილემმა დარჩაღილეს. ისედაც არ ჩანდნენ, სიზნულემ კი სულ მთლად დარია ხელი. ლამპიონებით დანინჯკლული გზა ბუნდოვანად კრთოდა, თითქოს მიდამო რუხი შალითით შეფუთესო. მაგრამ ზღუდეთა საიდუმლო გნიასი დიდხანს ვერ გასტანდა. წვიმასთან ერთად დარდას და სანუხარს მოიხებდა და ამომავალი მზის ფონზე მოუყვავე საზიდრებთ გაქედილ უდაბნოს მიაშურებდა, მომიჯნავე სილის ბორცვებითა და ყვივით ნახტებთ წარმოდგენილს. მკაცრ ცხოვრებას ხომ იმისთვის ირჩევენ, თავი მარტობას რომ მიუძღვნან, სავალი ლამპით გაინათონ, მუქმუშინი ჩირაღდნით, ზუსტად იმდენ სინათლეს რომ დააფრქვევს, გზა როგორმე რომ გაიკვლიონ და არც მტრის ყურადღებას იქცევდნენ. ქარი ბუმბერაზ ხეებს ატოკებდა, თითქოს კამათში უნდა აიყოლიოსო. ვეება თავები, რისხვის მწყურთი გამოშხატეული, ცხრათავიან დევებსა ჰგავდნენ, ჯველ ბორცვებს კი თვალსაჩინო მავალითად მიაჩნდათ, რომელთა მაჯისცმაც ხეებში გაისმოდა, როგორც ლაყბობით დაღლილი ზღვის ნაპირთან შეხლსას, კლდეები წინ რომ აღსდგომოდნენ, თქვენი ძალაუფლება აქეთ აღარ ვრცელდებოდა. ნაფულთობდ ქვეული ქაფი უსასირობას გამოხატავდა, როგორც შუქურას მუქარა მდგომარეობს უმისობაში, რომლის მნიშვნე-

ლობას წყვილიაღში ხვდებიან, ჩრდილში შეყუყუ-
ლი საგნების შეხმატკბილების მიზეზი რომ გამ-
ხდარა.

ლუდანიდან როდის-როდის გამოვიდნენ. წვი-
მას გადაეღო. გუბები ვარსკვლავებს ირეკლავ-
და და სპეც. ეფექტებისთვის შექმნილ დეკორა-
ციებს დამსგავსებოდა. კიბესთან გლახასა გადა-
ეჩენნენ, მონყალელებს ბრძანების კილოთი რომ
ითხოვდა, მაგრამ კლახელებს აღარაფერი დარ-
ჩენოდათ და მხოლოდ სიტყვიერად თანაუგრძნეს.
ის კი იმდენად ლატაკი გახლდათ, სისასტიკე აღარ
ძალუდა და მხოლოდ ამოიხვრით შემოიფარგლა:

- რა კარგ დროს ვეკვები, ცხოვრება მაინც
აღარ ღირს! - ხენმით ჩაიქნია ხელი და მათ უტიფ-
რად მიჩნეულ სახეებს საყვედურით გახედა, თქვენ-
და გელოდით და, როგორც ჩანს, ამაოდო. მეტი
არაფერი უთქვამს. ტანჯვა ხომ სამხილებლადაა
და გოლიათიც იმიტომ გმინავს, ხეირიანად ტი-
რილიც რომ არ ძალუძს. მათხოვისის უხეშ შესა-
მოსილს გამოხარშვაც არ უშვებოდა, მან კი მხო-
ლოდ ჩამოეფრთხა და ნაცრისფერი შენობისკენ
გასწია. თუმცა მისმა ნათქვამმა სხვა პერსპექტი-
ვებით გულანთებულ ლოთს განწყობა ვერ შეუც-
ვალა. დიად ბედნიერებისკენ სწრაფვა თურმე
უილაგ ბერკეტებს ეფუძნება და სანამ პოეტს
დღისათვის შეხედდრის ადგილს დაუთქვამდა, აღ-
ტკბებით ჩასჩურჩულა:

- ჩემიტი ნავალით, თურმე ისეთი ლამაზი ყო-
ფილა, პრადას პირლიამ უნდა უყურო!

3.

გამთენისის სიცივემ ფოთლები შეათროლა.
მღვრიე ტბორი ჭავლებად აალიცილიცა. ტალახის
ზვისს ნუხანდელმა ნანქიმარმა ერთგვარი ბზინ-
ვარება შესძინა. ლოთი პოეტს მიუახლოვდა, ხე-
ლი ჩამოართვა და შესჩივლა:

- ცულად მეძინა, ხილვებმა არ მომასვენეს!
- რამე გესზმრა?

- კაცეჭამიების ბუნავი, რომელსაც გვერდით
ჩაუვარე და ცოცხალი მხოლოდ იმ მიზეზით გა-
დავრჩი, ურჩხულებს ღრმად რომ ჩასძინებოდათ.
ადამიანებს ჩემი დანახვა ძალიან გაუყვირდათ,
კაცეჭამიები მულამ ფხიზლობენო. მათზე მამა-
ციდ მიმიჩნია, ანდა თსულაც მათ მოგზავნილად.
როგო ვადარჩიო, მხრებს იჩრქუნენ. მე ხომ ბუ-
ნავის არსებობა არც კი ვუნყოფი. რას უნდა ნიშ-
ნავდეს ნეტაც?

- არაფერს! კოშმარები ძილმა გახარჯა, რეა-
ლობა სიამეს მოგვენს! - დაამშვიდა პოეტმა.

ავტოგავზალზე ბლომად ხალხი ირეოდა. ისი-
ნი თავყრილობებით გადაქანცვას ნაჩვევნი იყვნენ
და აღტყინებულ ხმედა ყურს არ უგდებდნენ. იმა-
თი კი უყვირდათ, ინფლაციის იმიართ დიდ ინტე-
რესს რომ იჩრქუნენ. ვალუტის გადამცვლელ პუნ-
ქტებთან რომ ტრიალებდნენ, ინდუსტრიის მსა-
ხურებთან კი ისე დაეუძღვრებინათ, ღონე სულ-
მითად გამოსცლოდათ, ტალა თავის შემადგე-
ნელ ნაწილად რომ აღვიქვამს და ნაპირს შეგა-

ხეთქებს. სამყაროს უკიდევანობა მზად ანის,
გშთანთქას. ამ დროს კი ფულის უბადრუკ ნიშნებს
ჩაფრენილხარ, ვითომ გამოსავალი გეპოვოს.

ლოთმა ჯიხურში თავიგული იყიდა და ეჭვით
დახედა, ვაითუ გზაში დაჭკნესო. თუმცა ყვევი-
ლები შეფერილობით ყოჩაღად გამოიყურებოდ-
ნენ. დანიშნულების ადგილს ავტობუსი მალე მი-
ადგებოდა. სოფელი ისე ახლო იყო ქალაქთან, მი-
სი ზოგიერთი ფუნაიცი კი უფრო შორს დაებრე-
ობდა. აქეთ არც ეწვიმა. მტკრიან ორღობებში
საარსებო მოთხოვნების დამღვეით გაღუული ადა-
მიანები ტრიალებდნენ. სამოსელიც მკრთალად
უზინავდათ, სიტხეს რომ გაეხუნებინა. ამ ოწი-
ზე დაოსებული ქილყავებიც უღონოდ ყაწყაშებ-
დნენ. ფოთლები ყვოდა, ნაყოფი კი მკვახე იყო.

გზაჯვარედინის მერხზე მათ წინ მიმავალი კა-
ცი ჩამოეჭდა და ფიტრებს მიეცა. თურმე ერთი ავ-
ტობუსით ემგზავრათ, მაგრამ ერთმანეთი არ შე-
უნიშნავთ.

- ზიბერ! შენ ხარ?! რა ქარმა გადმოგადგო? -
შეიცხადა ლოთმა, თითქოს თვითონ სულ ატლავ-
ხებული ჰქონოდა იქაურობა.

ზიბერა შეკრთა და მოსულებს შეაჩერდა.
- მამ, დაბრუნდი? მე კი ქალაქში მგონიხარ! -
თქვა პოეტმა.

- ღმერთმა დამიფაროს, ძლივს გავაღწიე აქე-
დან! - ყოყმანით გაასავსავა ხელები ზიბერამ და
ისინი ერთად რომ დანიახა, სახეზე გაკვირვება
აღებეჭდა. - რა სხებვა? რამ შეგყარათ? კლასის
შეკრება გვაქვს?

- ვინდა დავრჩით, რომ შევიკრიბოთ? - ხელი
ჩაიქნია პოეტმა.

- მართლაც! - დანაღვლიანდა ზიბერა.
- მაინც რა გავჭირვებია, აქ რომ ჩამომჯდარ-
ხარ? - ჩააცვივდა ლოთი.

- დიდი ხანია არ ვყოფილვარ! აქეთ ბიძაშვი-
ლები ცხოვრობენ, ენით მამიდაშვილები, - მხრე-
ბი აიჩნა ზიბერამ - ვერ გადამინყვეტია, პირვე-
ლად ვის მივაკითხო. ხომ იცო, არაფერი იმღლება
და ჯერ იქ რომ მივიდე, ამათ ეწყინებათ, აქ კი,
იმათ!

- ნეტა შენ, მოგცლია! - ყველა შემულილი ერ-
თად რამ შეგვევარა ამ სოფელში, დანაღვლიან-
და ლოთი. უბანში, სადაც ისინი იზრდებოდნენ,
მომჭირნობა ჩვევად ჰქონდათ. თუ ვინმეს რაიმე
ზედმეტი გააჩნდა, მხოლოდ დანაზოგის ხარჯზე.
მალაზიის დახლებზე თითო-ოროლა დასახელე-
ბის პროდუქტი თუ ელაგა, ისიც ორიოდ. ვინრო
ეზობები ღობის ნაცვლად ხეშემ ხეებს გაემიჯნათ
დაღენილი ვარჯებითა და ტოტებით. წარსულს
ისე ჩავარა, როგორც მძვინვარე ქარიშხალს, აწ-
მყო კი წყნარ დაისის დამგვანებოდა. ფერები ერ-
თმანეთს ერწყმოდნენ და მათ იღუმალ ერობობას
ფოთლების შრიალი ახმოვანებდა. აქა-იქ გვირი-
ლა გაივლებდა თეთრად, თითქოს ქაფი მოაფ-
რქვიესო.

მერე მათ გზა განაგრძეს და როცა ჩაფიქრე-
ბული ზიბერა თვალს მიეფარა, მარმისას ეზოც გა-

მოჩნდა. ოჯახის სტუმართმოყვარეობა ბალის ხე-
ებიდან იწყებოდა, ტოტემი ღობეს რომ გადაჰ-
ყრდნობოდნენ და ნაყოფის უმეტესობა გზაზე
ცვიოდა. მხოლოდ ერთი ხე იდგა განმარტებით,
გაპავეებული მერქნით გახმობა რომ დაეწყო, ლო-
გინად ჩაჯვრდნო სწავლით გამოიყვარებოდა,
ფრინველთა გლობასაც მოღუშული რომ უხმენს
და ყვავილას ჩხავილად აღიქვამს. ეზოს სიმყუდ-
როვეს სხვადასხვა ზომის ძელით შეკონინებული
ღობე ქმნიდა, თითქოს სიმარტოვე მოესაზღვრათ.
რძისფრად შეღებილი მესრები თვლებს ჰგავდა,
ხოლო ფანჯრები შემუშებულ ძვლებს, ცრემლი
დიდი ხნის წინ რომ შემორობდა. ხეებს შორის გაბ-
მულ ჰამაკში უცნობი ქალი ნებიერება, ზეაპრო-
ბილი თვალმღები ტოტებს უხსენებოდა და ზო-
გან შემჭვარი ფოთლების ხილვას დაემუხრე-
ბინა. სტუმრების დანახვაზე ფეხზე წამოიჭრა და
დღონჯშემორტყმული ჩადგა ზღურბლითან. ზოგა-
და, პარმაცლები სევედიან ხალხს ეკუთვნის, მაგ-
რამ იგი წინკართან ისე მრისხანედ აიტუზა, თით-
ქოს მათ შემოსასვებად საშვი უნდა დაეშვათ, რო-
გორც საპასუხისმგებლო დანსებალელებშია მი-
ღებული. მოსულები ერთხანს დუმდნენ, მაგრამ
ორღობეში ყურყუტი მოჰპებრდა და სიწუმე და-
არღვიეს:

- თქვენ სტუმრად ხართ?
- მე აქ ვცხოვრობ!
- სახლი მარიშამ მოგყიდათ?
- ბანკმა, რომელშიც მარიშას ვალი დაედო და
ჩამორთვეს! - გაუშხილა ქალმა, რახან დაასკვნა,
რომ არაფერს ედავებოდნენ.
- თვითონ მარიშა სადღაა?
- ქალაქში გადავიდა ქირით მოხუცებულ დე-
დასთან ერთად. მეცამეტე ქარხნის კერძო დასახ-
ლებსათან, ქონხახებში!
- ზუსტ მისამართს ვერ გვეტყვი?
- ერთხელ კი ვარ ნამყოფი საბუთების თაობა-
ზე. მახსოვს, ბოლო გაჩერებაზე ჩამოვედით, ნაც-
რისფერ ბანერებთან. ავტობუსის ნომერი აღარ
მახსოვს. რაღაც დაფხავებული ტრანსპორტი იყო,
ძველი ეპოქის ნაშთი, უკომფორტო!
- კომფორტული ტრანსპორტი ისაა, რომელ-
საც სახლთან მივყავართ! - შთაგონებით თქვა პო-
ეტმა.

ლოთმა ქალს ყვავილები შეაჩერა, თითქოს მის-
თვის ყვიდა. რომ გაბრუნდნენ, გზაჯვარედინზე
ზიბერა აღარ დახვდნენ. ეტყობა, რაღაც გადაწყვე-
ტილება მაინც მიეღო. უკან იგივე ავტობუსს გა-
მოჰყვენენ, გზაში კი ხმა არ გაუღიათ. მხოლოდ
ერთხელ მიმართა პოეტმა, როგორ ფიქრობ, ზი-
ბერა ჯერ ვის მიადგებოდაო.

- რა ვიცი, ჯანდაბას მაგისი თავი! - უპასუხა
ლოთმა, უხასიათობა ამკარად რომ დასჩემებო-
და.

შუადღისას უკვე მეცამეტე ქარხანასთან იდ-
გნენ და მარიშას სახლს კითხვა-კითხვით ეძებ-
დნენ. ზედ მოედანზე მდებარე მოპირკეთებული
შენობა ისე ნატიფად გამოიყურებოდა, გეგონება

ოდესღაც ქალაქის ცენტრისკენ მიმავალ დიდოს-
ტატთა გუნდს, მონინავე არქიტექტორთა თან-
ხლებით, გეზი ეცვალობდა და აქეთ შემოველით
ყოველივე თლიანობაში კომპარულს დასახლებას
ჰგავდა, განლაგებას იწინიხნს რომ ვერ გაუგებ-
დი. პირქუშად აღმართული რუხი კორპუსები ხე-
ობას ქმნიდნენ. მცხოვრებნიც ხეობლებს ჰგავ-
დნენ, დამ-დამობით ჭოჭების ჭარბობს რომ უფ-
დებდნენ ყურს, როგორც უსიერი ტყის თანმდე-
ხმებს. კერძო სახლები კორპუსთა ჩრდილში მო-
ყურებულებიყვნენ. კედლები აღიზისა რომ ჰქონდა,
ამას დიდი ანალიზი არ სჭირდებოდა. სანახებზე
ეტყობოდა, აქაურები ჭვავით რომ იკვებებოდნენ
სამეურნეო აღჭურვილობაც ხისა ექნებოდათ. თა-
ვიანთ ხევერს ოვრით გამოხატავდნენ და წი-
ლად კაპიკებით გამოკვება რგებოდათ. სადღე-
სასწაულო კერძად წინიბურას მიიჩნევდნენ, გე-
გონება საზვიმო ტორტი ყოფილიყოს. ასეთ დღე-
ებში თავს უფლებას აძლევდნენ, ქვაბიდან ჩვეუ-
ლებრივც მეტი ულუფა გადაეღობა. აქაურებს
სხვებს ეკუთვნოდა. წარსული ნისლებს დაენტქა,
მომავალი კი დახმულ წინკარს დამსგავსებოდა.
მარიშა თავს უცხოვდ იგრძნობდა. მისი ახალი ისა-
ლი სასაფლაოს გასწვრივ აღმოჩნდა. აქ ჩაველი-
სას მღვდელი შენიშნეს, ერთ-ერთ საფლავზე სა-
ცეცხლურს რომ აკმევდა და გარდაცვლილთა სუ-
ლებს იხსენიებდა. ძველი დიალექტით წარმოთ-
ქმულ ლოცვის სიტყვებს საკმევლის სურნელს
დაჰკრავდა. სასულიერო პირი ცეცხლის დარაჯს
ჰგავდა, ხოლო, დაუნერული კანონის თანახმად,
ვინც ცეცხლს ყარაულობდა, არ უნდა ჩასძინებო-
და. დაქანცული მზეთით მიდმეგრს ჭვრეტდა, გე-
გონება, საიქიოს დანახვას ცდილობსო. ლოცვით
გარდასულ სულებს ესარჩლებოდა, რადგან
მკვდრისთვის ცოცხალიც მკვდარია, ხოლო
ცოცხლისთვის მკვდარიც ცოცხალი. მესაფლავე-
ნიც გაფაციცებით უხმენდნენ. მცირეოდენი ღვან-
ლი ხომ მათაც გააჩნდათ. უხემი ხელებით გისო-
სებს დაჰყრდნობოდნენ, თითქოს საყოველთაო
აღდგომის უამბი დამდგარიყო და დაზაფრულნი
წამომხტარიყვნენ საკუთარი საფლავებიდან. აკა-
ციის წვრილ ტოტებში ბელურების ჟღერტული
გაისმოდა, როგორც ქონდრისკაცთა გლოვა გო-
ლიათის დაკრძალვისას. ყრუ ბგერები მინდგენი
მოსაზღვრულ სივრცეს ეფინებოდა, გეგონება
თვალსაწიერს მგლებს ხროვა შესევიაო და უმატ-
როვო ძაღლებს ყვავა დაკარგული მოდგმის უსა-
სოო ყმობი გამოხატავდა. მტკვრიან შარაზე ძრო-
ხები ძოვდნენ და ჩრდილს მხოლოდ იმისთვის
ეძებდნენ, განგაშის გარეშე რომ ეცოხნათ. ხის
სამჭექლო სიმყუდროვეს მოეცვა. ხეების მიღმა
კი, ბაზიზეთი გაპობილი ციდან სინათლე მოჩქეფ-
და, თითქოს ზეთი იღვრებოდა უყარათოდ.

სახლში მხოლოდ დედამისი დახვდნენ. ოთახის
სიღრმეში შანდალს მისჯდებოდა, გეგონება სით-
ბოს ეფიცება, ცივი ძვლები რომ გაითბოსო.
აღარც სურვილთა აყოლა შეეძლო, აღარც გამარ-
ჯვების ყოფინით აღტყინება. მიზნისკენ სწრაფ-

ვას ქარაშოტივით ჩაველო, საუბარი ჩურჩულად ჰქცეოდა და თუ ვინმე მოუხმობდა, ისეთი შეგონება შეიპყრობდა, თითქოს საყელოზე მოქაჩეს და კუთხეში მიყუყულს სცენისკენ უბიძგესო. ასეთი თავმდაბლობა ღირსეულ წინაპართა გამოიხსობით გაჩნდა, ჯიბეგრობას მოჯამაგირებმა რომ არჩიეს და საქმეს ჩოჩვა-ჩოჩვით აჯახირებდნენ, ხოლო სიბერის ბაქანზე მდგრამა ზედმინეებით იცოდა, შემდეგი გაჩერება რომ სიკვდილი იყო. სახეზე ორივე ეცნობოდა, მაგრამ მათი ვინაობა ვერაფრით გაიხსენა. როცა აუხსნეს, მარიშას სანახავად მოსულიყვნენ, დოქით ღვინო გამოიტანა და თევშები დასანყო. მერე გახტურაზე ჩაიღინა შემოდგა, სტუმრები სუამებზე დასხა და გულითადად სთხოვა, დალოდებოდნენ. მარიშა მალე გამოჩნდებოა, ალუთქვა და საათის დახედა. ლოთმა მეგობარი გარეთ გაიხმო. მიზეზად თქვა, პაპიროს მონეეთო, სინამდვილეში არცერთი არ ეწეოდა. აქ მონეეთო, ნება დართო მარიშას დედამ, მაგრამ იუარეს.

- იქნებ არც ღირდეს მარიშას დალოდება, აბა, რა თავში სახელეად ვჭირდები. ცხოვრება ისედაც ვაუთავებელი მითქმა-მოთქმაა. ჭორებს დაუყრიანი! - განედო მეგობარს.

- შენაა, დილანდელივით სიხმარს მიყვები? სანამ გზას არ დაადგები, ცხოვრება დაუგეგმავად მიმდინარეობს. მომავალს ხაზგასმით ვინ გეტყვის. გზის გაკვლევა რიფებში მიმდინარეობს, ხანხავებს კი რა გამოივს. მაგრამ შენი ხომ უნდა სცადო. რახან მოვედით, ბოლომდე ვიყოთ! - აკადემიურად დარაიბა პოეტმა, უმნიშვნელოდ არაფერს რომ არ თვლიდა და არც დაუდევრად გადაწყვეტდა რამეს, საზრუნავებს რომც ემატა. - ხედავთ, სახლი რას გვიავებს! - ჩიფჩივით შესჩივლა დედაბერმა შემოსულებს, - თანაც ჩვენ არცაა. ფული რომ გვჭონდეს, შევისყიდდით, ძირს არ ახვასებს. ქირას ჩემი პენსიაც ჰყოფნის, მარიშას ხელფასი კი პროდუქტებსა და ნამლებში მიგვდის. ეჰ, სოფელი მაინც გვიკობდა. შეჩვეული ვიყავით!

მერე იქიდან ნამოსვლის ამბავი უამბო, ქონება ბანკმა აღგვიწერაო.

- ბევრი არაფერი გავგანჩნდა, მაგრამ ყოველი წრილმანი აღუქსხეს. მეზობელ კაცს უხმეს მონეედ, კვირაში ექვსი დღე გრძელ რელსებს მახუთით რომ პოხავდა. რისთვის დაიბარეს, ვერც ხედებოდა. ჩვენ გამოსარწმუნებას არც გაიოვიქმებდა, თუმცა ცნობისნადილი კი აღსძვროდა. როცა ხანიდნენ, სიხარულს ვეღარ მალავდა. მხოლოდ ყალიბ შფოთი გამოხატა. ეგონა, ერთად გაგვაქანებდნენ სასამართლოში. იმ შენობაში ადრე ყოფილა ნამყოფი. მარმარილოს კიბეები ცის საფეხურებს ჰგავსო, თქვა. ზედ ვარსკვლავ-გოგონებში მოხდენილი მიხვრა-მოხვრით ადი-ჩაღიანო. ისეთი თვალწარმტაცნი არიანო, მათ მიერ გამოცხადებულ სასჯელსაც კი, რაოდენ მკაცრიც არ უნდა იყოს, ნეტარ ღიმილს შეეკავებებდიო. მოკლედ, ენად გაიკრიფა, მარიშას კი თვალს არ

აშორებდა.

ამაზე ლოთმა კომბეი შეკრა, თუმცა დედაბრის ყურისაგან განავიწრო.

- ბინა კი დავკარგეთ, მაგრამ ღვთის სიმართლეში ევევი არასოდეს შემიტანია. ეშმაკი რაც უფრო ღრმა უფსკრულში ჩავვიძახებ, მით უფრო ძვირფას მარგალიტს ვიპოვით ღვთისკენ განვდილი ხელებით!

როცა გაჩუმდა, ლოთმა იქაურობას მოაველო თვალი. ჭერი მართლაც სავალალო მდგომარეობაში იყო. ეტყობა წვიმის დროს ნასვრეტებიდან წყალი ბევრგან ჩამოდოდა დაბზარული კრამიტების მიზეზით. აბლაბუდებით მოხატული სხენი ჭადრაკის დაფას ჰგავდა გადახვეტილი ფიგურებით. მისაღები ტლანქად და უგემოვნოდ მოენწყით. ვასწვრივ რუხი კომოდი იდგა, რომლის სიმძიმეზე ხშირი ხოხიალით გადაჩახაპნილი პარკეტიც მეტყველებდა. გრძელი დერეფანი ეზოს ემიჯნებოდა. გაჭიმულ თოკზე აუკრფავი სარეცხი გუშინდელ წვიმას გაეჟღინთა. გრძელი ტილოები ტომსიკვებით ეკიდა, თითქოს შიგნით რალაცები ჩაენწყით. ეტყობა დედა-შვილი სიდუხჭირეს იმდენად გაებუჩავებინა, მის დაძლევაზე აღარც ფიქრობდნენ. დილაობით ხილფაფით გადიოდნენ იოლას და ჩაის ნაყენს აყოლებდნენ. ახალგაზრდას ხელი ჩაეჩნია, მოხუცს კი გულმავიწყობა დასჩენებოდა, რაც გამოყრუებულ სახლში მოსახყენ ცხოვრებას განეპირობებინა. ხის ძელს მომცრო ნაჭდევები აჩნდა, თითქოს ლეკვებს დაელრლათ კბილებს ასალესად, მაგრამ ყველა მხოლოდ მეზობელი ეზოებიდან მოისმოდა. ეზო-კარი სევდას მოეცვა, რომელსაც მარიშას გამოჩენა თუ გაფანტავდა. სამკერვალო ქალაქის მეორე მხარეს ყოფილა. როდის როდის წინკართან ხმაური გაიოფნა და ფეხზე წამოდგნენ. თუცებ მარიშა გამოჩნდა, მოულოდნელობისაგან უკლები რომ აენთო და სახეზე სიხარული აღებუქდა.

- როგორ გამახიარდა თქვენი დანახვა! - გავაცხვია ორივეს.

- ჩვენც გავვიხარდა! - თქვა პოეტმა და ლოთზე მიუთითა, - ამას განსაკუთრებით! მაგრამ ლოთი ხმას არ იღებდა, თავი მკაცრად ჩაქექინდა და იატაკს ჩასრუებოდა.

- ჩვენებიდან არავინ გინახავთ? - მხიარულად განავიწრო მარიშამ.

- ზიბერა ვნახეთ, ნათესავების სანახავად მიიჩქარებოდა. გული ამოვარდნას ჰქონდა!

მარიშა კიდევ რალაცის კითხვას აპირებდა, მაგრამ ლოთმა შეაწყვეტინა.

- მარიშა! ჩვენ აქ საქმეზე მოვედით!

- რა საქმეზე?

- მინდოდა მეთქვა, ძველებურად რომ მიყვარხარ!

გაგონილზე დედაბერმა ყურები ცქციტა, მარიშამ კი კისკისი მორთო.

- ბავშვობის გრძნობამ აღარ გაგიარა?

- ის, რაც მარადიულია, როგორ გამივილიდა?! - რა სერიოზული ხარ!

- ამაზე სერიოზული არასდროს ვყოფილვარ!
 - არ შეეშა! - ჩურჩულით ნააქება სასიღდე-
 რომ, საქმის ასეთ შემობრუნებას რომ არ ელოდა,
 - დააძაღე, თორემ დარჩება ჩემსავით მარტო!

- ეს დედაჩემის ნაქონი ბეჭედი! - თქვა ლოთ-
 მა და ვიბიდან ოქროს რგოლი ამოაძვრინა. ფერ-
 ზე ეტყობოდა, ბაჯალო რომ იყო. ბეჭედი რა-
 ტომდაც მარიშას დედას მიანოდა, სასიძოს გულ-
 ნრფელობაში რომ დარწმუნებულიყო. პოეტმა
 დრო იხელთა და ვანზე გადავა:

- მიოლაპარაკეთ! მითუმეტეს, რომ ამ კაცს
 ლოთის მხოლოდ სახელი დარჩა, თორემ თვითონ
 სიფხიზლის ნიმუშია, მე კი მანამ მღვდელს ვნა-
 ხავ. აქეთობას რომ მოვდიოდით, იქ შეენიშნე, -
 ხელი ფანჯრისკენ გაიშვირა, - გულითადი ვინმე
 ჩანს!

მობუცმა ბეჭედი მარიშას გადასცა და თავმა-
 ლი შეისწორა, მღვდელთან მეც ნამოვალე. პარ-
 მალთანაც არ იყვნენ მისულნი, ლოთმა რომ გას-
 ძახა, დაგვიცადეთ, ჩვენც მოგვყებითო. ეტყობა
 მარიშა დათანხმდა, რახან დედამისის თვალებში
 სიხარულის ცეცხლი ვიზიგუნებდა, თორემ ამ ასაკ-
 ში რაიმე ცვლილების შეტანა ცხოვრებაში მორი-
 გი დაღლიობის მიზეზად მიაჩნდა. ისინი ურია-
 მულით მიადგნენ სასაფლაოს, რომლის შუაგულ-
 შივც ტაძარი იყო აღმართული. მხოლოდ პოეტი
 გადახდებოდა ხოლმე წარწერებიან დაფებს და
 გარდასულ ცხოვრებათა ეპიზოდების წარმოსახ-
 ვას ცდილობდა. როცა მღვდლის წინაშე წარდგნენ
 და მოხვლის მიზეზი აუხსნეს, მან გულითადად
 დალოცა.

- ქანცი გამწყვიტა პანაშვიდების გადახდამ,
 ქორნილს ვნატრობდი და აგერ, თქვენც გამოჩ-
 ნდით!

სარკმლიდან ჩიტების ჭიკჭიკი გაისმა.

- ზემი ბუნებრივი მდგომარეობაა! - ალტა-
 ცებით აღნიშნა მღვდელმა, მერე კი პოეტს მი-
 მართა, -ხელისმომკიდე ალბათ შენ ხარ!

თანხმობის შემდეგ მესანთელს გასძახა, გულ-
 მოდგინე რომ ზელავდა ცვილს, პატარაძალს შენ
 დაუდექიო მოგვარედ. მერე ერთი საწინაო დაგ-
 რინა და ლოთს ბეჭდის ნაცვლად მიანოდა.

- სანამ ნამდვილს შეიძინდე! - ჩასჩურჩულა
 მან.

- რას იტყვი? როგორი წყვილია? - პოეტი მო-
 ნონების ნიშნად გამოელაპარაკა მარიშას დედას.

- თვალბს არ ვუჯერებ, - უპასუხა მან - ეს რა
 ბედნიერი დღე გაითიენდა!

როცა ჯვრისწერის რიტუალი დასრულდა,
 მღვდელმა იქადაგა, მორწმუნეობა იმას ნიშნავს,
 ცხოვრება გმირობად აქციოო. მერე დაიშალნენ.
 ქალები შინ წავიდნენ სუფრის გასანწყობად, კა-
 ცებმა კი მარკეტისკენ გაემართნენ. იქიდან ცე-
 ლოფნის სასვე პარკები გამოიტანეს. მთელი ხარ-
 ჯი ლოთს გაეღო.

- ჯეროვნად მომზადებულხარ! - შეაქო პოეტ-
 მს.

- ამისთვის ვაგროვებდი! - თვალი ჩაუჭრ-
 ლოთმა, - ფულს ჯიბე უყვარს, ჯიბეს კი ხელს
 გაკვრა!

იმ დღეს მართლაც ისეთი მდიდრული სუფრს
 გაიშალა, მთელი ცხოვრება რომ ემახსოვრებო-
 დათ...

4.

ამ ამბებიდან კარგა ხნის შემდეგ, პოეტი ბიბ-
 ლიოთეკიდან რომ გამოდიოდა, სადაც ისტორიო-
 ლი დეტალის დასაზუსტებლად იყო მისული, ქუ-
 ჩაში ლოთს გადაეყარა.

- აბა, როგორ მოეწყეთ? - ჰკითხა მან.

- რა გვიშავს! იქ ვარჩიეთ ცხოვრება. ჩემი ბო-
 ნა ვაყვიდე და იმ ფულით ის ქოხი გამოვისციდე-
 ქირას აღარ ვინდით და ფული გვეზოგება. პრა-
 ლაში მინდა ვიმოგზაუროთ. მეცამეტე ქარხნის
 ერთ-ერთ საამქროში სამკერვალო გახსნეს, სა-
 დაც მარიშა გადმოვიდა სამუშაოდ. მეც იქ მო-
 ვწყე დარაჯად, სასმელების მაზარს კი შევეშვი.
 ოთხ დღეში ერთხელ მინვეს მორიგეობა. ქვეყნის
 დრო მრჩება. ჰოდა ნაკვეთში ვსაქმიანობ. ნარკა-
 ვებს ვრწყავ, მეურნეობა მინდა ავლორძინო. ახ-
 ლაც შაბიამისი საყიდად ჩამოვედი, შესანამლად
 მჭირდება.

- მოკლედ, ბედს არ უჩივი!

- პირიქით, ტორტის საუკეთესო ნაჭერი ამ სი-
 ბერეში შემხვდა!

- მოხარული ვარ შენ გამო, ძმობილო!

- შემოგვიარე, როცა შეძლებ!


- რაღაცას ვწერ. როცა მოვრჩები, შემოგივი-
 ლიო!

- ხელისმომკიდეც ასეთი უნდა, - დაიჩილა
 ლოთმა - კალამს ვერ გააშუბინებ ხელიდან. ისე
 იქნებ ჩვენი ამბავიც გამოგადგეს სიუჟეტად!

- არა მგონია, სხვა თემას ვუტრიალებ!

ერთმანეთს რომ დაემშვიდობნენ, პოეტმა გა-
 იფიქრა, ადამიანმა თავის ადვილს თუ ვერ მიაგ-
 ნო, დედამინა გალიად ექცევაო. მორჩა ბავშვო-
 ბის ოქროს ხანა, ბრჭყვიალა ნამცეციც კი მზეუ-
 ვით რომ ახარებდათ. თუმცა ლოთმა მაინც შეე-
 მოძირკოდა ანარეგლის შენარჩუნება, ხლო
 პოეტის შიშგრძნებში ვაჩხილ ტყეს დაემტკიცა.
 რაღაც დიადის ძიებაში დაკარგა ის, რაც ეკუთ-
 ვნოდა. სჯეროდა, თუკი მინა სურდა, ზეცაში უნ-
 და ეომა, ხლო თუკი ზეცა - მინაზე. მან ჯერ ზე-
 მით აიხედა, თითქოს თვალწინ კაბაღონი განე-
 ვნაო, მერე კი ასფალტს დააშტერდა, გეგონებ
 ქვესკნელის ხმები გაეგონოს. მან ზედმიწევნით
 იცოდა, რომ შინ მიბრუნებული სარკმელს გამო-
 ხურავდა სიმყუდროვის შესაქმნელად და ლამაზს-
 თან მოკალათდებოდა. ერთს კი გაიფიქრებდა,
 ლობე-ყორეს ვედებიო, მაგრამ სიმხნევეს მოი-
 რებდა და სათვალეს შეისწორებდა. ის ხომ კა-
 ლამთან რჩებოდა და მეფეების ცხოვრებაზე წერ-
 და პოემებს.

თემურ ჩხეტიანი



გაავლე სწორი ხაზი

გაავლე სწორი ხაზი
 ზედა ნაწილში ფურცლის;
 გაავლე სწორი ხაზი
 ქვედა ნაწილში ფურცლის.
 მერე:
 დაუშვი სწორი ხაზი
 ზემოდან ქვემოთ - მარცხნივ;
 მერე:
 დაუშვი სწორი ხაზი
 ზემოდან ქვემოთ - მარჯვნივ.
 და მერე:
 გაავლე სწორი ხაზი
 სულ პირველ ხაზიდან ქვემოთ;
 და მერე:
 დაუშვი სწორი ხაზი

ჰო,
 შუანერტილიდან...
 მგონი, სარკმელი დაიხატა...
 ჰო, სარკმელია!..
 ესხედვართ ან ვდგავართ:
 ვუყურებთ,
 ვუყურებთ...
 შიგნით ვართ და გარეთ ვიყურებით?
 თუ გარეთ ვართ
 და გვინდა დავინახოთ,
 რა ხდება შიგნით?..
 ვდგავართ ან ესხედვართ:
 ვუყურებთ,
 ვუყურებთ...

დრო კი მიდის და ბინდდება,
 ბინდდება...
 და დროა, გავწიოთ ფარდა,
 დროა, ავანთოთ შუქი!..

ერთხელ, დედამინაზე

როცა აქედან წავალ,
 არ წავალ ძალიან შორს -
 მილიონობით და მილიარდობით სინათლის წლის იქით,
 უბრალოდ, დინჯად გაუყვებო შარას უსასრულოს -
 ისევ მარტო და ხელჯობით მავალი.
 იმ გზაზეც ბევრი ჩამიქროლებს
 და იქაც ალბათ ვერავინ შემამჩნევს -
 სად ეცლებათ გალაქტიკებს მიღმა მიმფრინავებს?-
 იქაც ხომ ყველას უნდა გადაასწრონ,
 იქაც ხომ თავისი უნდა გაისწორონ...
 იმ გზაზეც ბევრი ჩამიქროლებს,
 მაგრამ იქნება ვინმე,
 ვინც მგზავრს მგზავრად ნამომენევა;
 შეჩერდება და მომაჩერდება:
 - შენ ხარო? - მკითხავს.



მე თავს დაუქენევ...
მერე ერთმანეთს გადავხვევით.
მერე ცოტას ნავისაუბრებთ
და სევდიანი ღიმილით გავიხსენებთ:
ერთხელ, დედამინაზე...

პინგვინები

მსოფლიოს ყველა კონტინენტზე იწერება ლექსები,
ყველა კონტინენტზე არიან პოეტები - უამრავნი, მრავალნაირნი
და წერენ, ამბობენ ლექსებს...
ერთადერთი, ანტარქტიდა დუმს!..
მაგრამ შეუძლებელია, იქაც არ იყოს პოეზია,
რომ იქაც არ ბინადრობდნენ პოეტები.
შეხედეთ ამ ულამაზეს პინგვინებს:
როგორ დაგოვამანებენ,
როგორ ეგურგურებიან ერთმანეთს,
ანუ როგორ უყვართ მათ ერთმანეთი!..
და, სადაც ასეთი სიყვარულია,
განა შეიძლება, იქ პოეზია არ იყოს?
განა შეიძლება, იქ ლექსები არ იწერებოდეს?
განა შეიძლება, მათაც არ ჰყავდეთ თავიანთი პოეტები?..
მოგვიტყვეთ, ძმებო პინგვინებო,
რომ ჯერ კიდევ არ გვესმის თქვენი,
რომ ჯერ კიდევ არ ვიცნობთ თქვენს პოეზიას.
რა გქნათ?
დანარჩენ სამყაროში ისევ დიდი განამანიაა,
ისევ დიდი პრობლემებია,
ისევ დიდი ტკივილებია,
ისევ ბევრი სიმწარე...
თანაც, ზაფხულია და ცხელია!..

შიშშილი

მერამდენაა ეს დაბრუნება?
მერამდენად: ეს მარტოსახლი,
ეს სიჩუმე, ეს ნესტის სუნი
და ძვირფასი აჩრდილები
მაგიდასთან თუ კარადებთან?..
თვალს გაუსწორებ
და უსიტყვო საყვედურად ჩანს მტკერი და აბლაბუდები,
ცხადია, ესეც -
ხვიფლშემოჭმული ასანთის კოლოფი
ფანჯრის რაფაზე.

მარიამობა

ია ჯინჭარაძეს

ნუ გეშინიათ სიკვდილისა:
მე მარადმწვანედ დავიწახე,
სხვამ მზესავით ააკაშკაშა...
და მისი წასვლა-მიძინებაც
დიდი ხნის წინათ,
ისევ სინათლედ გვეფიქნება
მხრებზე და სულში.



შემოდგომის ბუნიობა

დღეები, ღამეები - ტოლნი,
ერთხანს მხარდამხარ ივლიან
ფოთოლცვენაში.

როგორ გვეუხმრები, ღმერთო:
ამ უზარმაზარ ვარსკვლავებს
ნამცეცებად რომ გვაყრი თავზე.

სულ ვცდილობდი, რომ
ჩუმი ვყოფილიყავ,
ჩემი გვარი კი
მაინც ჭახანით გაისმოდა.

ლოდი

რა გქნა, სიზიფე?-
შენზე ძლიერი მექაჩება
ქვემოთ... ნახვამდის!



თაკო შუკაკიძე

* * *

ეს ქალაქი ყოველთვის იყო ადგილი, სადაც რალაც უხილავი გაბრუნებდა. ხან რა მიზეზი იჩენდა თავს, ხან რა, შენც იკრავდი გულა-ნაბადს და ბრუნდებოდი, როგორც მრავალჯერ დაშორებულ შეყვარებულთან, კაცთან, რომელიც ამოუხსნელი და გამოუცნობი დარჩა შენთვის, სევდის მკრთალი ნისლით შებურული, ყველაზე უცხო და ყველაზე ახლობელი, მათგან, ვინც ოდესმე მოსულა გულთან. ახლაც ხელგაშლილები ჩაეხუტეთ ერთმანეთს, გული ყურებში ამოგივიდა, ფეხისგულები დაგიბუჟდა სიხარულისგან, თვალბები ვერ უყურებ, ვერ იჯერებ, რომ ისევ დაბრუნდი, რომ ის ისევ გელოდა ცხელ ქარში, ზაფხულის მდუმარე შუადღეში მოტივტივე.




* * *


მე მინდოდა ვყოფილიყავი ყველაზე წარმატებული, ძალიან წარმატებული. მინდოდა ჩემს დანახვაზე წამოეყვირათ - შეხედეთ რა წარმატებულია. მინდოდა დედაჩემს და მამაჩემს ეამაყათ ჩემი წარმატებულობით. მინდოდა ჩემს შეყვარებულს ყველაზე წარმატებული გოგო ჰყოლოდა. მინდოდა ჩემს მეგობრებს ეთქვათ - ის ჩვენი ყველაზე წარმატებული მეგობარია. მინდოდა ყველას, ვინც არ ელოდა, ჩემი წარმატების ამბავი გაეყო. მინდოდა ინსტაგრამზე სამოტივაციო ვიდეოები ამეტვირთა - როგორ გავხდეთ წარმატებული და გავხდეთ საკუთარი თავის საუკეთესო ვერსია. მინდოდა ყველაზე წარმატებული ლექსები მენერა. მინდოდა თეატრში, როგორც ყველაზე წარმატებული დრამატურგი, ისე მივეწვიე რეჟისორებს. მინდოდა ყველაზე წარმატებული ნიგნები მქონოდა. საბოლოოდ, ყველაზე წარუმატებელი შვილი გამოვედი. ყველაზე წარუმატებელი შეყვარებული. ყველაზე წარუმატებელი მეგობარი. და საერთოდ, წურავინ შემეჯიბრება წარუმატებლობაში. არ ვაპირებ ვინმეს დაუთმო კუთვნილი სტატუსი. და მეტიც არ მინდა, ვინმე შემეცილოს. მე ვარ ის, მე ყველაზე წარუმატებელი, ათასგვარი აშლილობით, მუდმივი დებრესიით და ჭარბი ნონით და ჭარბი ემოციებით სავსე, და რაც მაქვს, იმას ნუ დამიკარგავთ, ვამაყობ ჩემი ყველაზე წარუმატებლობით, მახარებს ჩემი ყველაზე წარუმატებლობა, ვცხოვრობ ჩემი ყველაზე წარუმატებლობით, ვგიჟდები ჩემს არასტაბილურ ხასიათზე, რასაც ვინდომებ, ყველაფერი ბოლომდე მიმყავს. მე ვარ შემშარბილად ყველაზე წარუმატებელი. იმდენი ვიბრძოლე, რომ ყველაზე წარუმატებელი ვყოფილიყავი. იმდენი შრომა ჩავედ დღე და ღამე ვათენე, დროა დავტკბე, მოვეშვა, დავლიო, ვიცეკვო და ვიზეიმო.

* * *

საქმეს აკეთებენ კაცები, ყველაფერ დანარჩენს სამოყვარულო შემსრულებლები ჰყავს. სახლებს ანგრევენ კაცები, ყველაფერ დანარჩენს სამოყვარულო შემსრულებლები ჰყავს. სიგნებს წერენ კაცები,



ყველაფერ დანარჩენს სამოყვარულო შემსრულებლები ჰყავს. სიყვარულს ამტკიცებენ კაცები, ყველაფერ დანარჩენს სამოყვარულო შემსრულებლები ჰყავს. ომებს იწყებენ კაცები, ყველაფერ დანარჩენს სამოყვარულო შემსრულებლები ჰყავს. გადანყვეტილებებს იღებენ კაცები, ყველაფერ დანარჩენს სამოყვარულო შემსრულებლები ჰყავს. იდეოლოგიას ქმნიან კაცები ყველაფერ დანარჩენს სამოყვარულო შემსრულებლები ჰყავს. ტერიტორიებს იპყრობენ კაცები, ყველაფერ დანარჩენს სამოყვარულო შემსრულებლები ჰყავს. პოლიტიკას აკეთებენ კაცები, ყველაფერ დანარჩენს სამოყვარულო შემსრულებლები ჰყავს. ისტორიას განაგებენ კაცები, ყველაფერ დანარჩენს სამოყვარულო შემსრულებლები ჰყავს. ნადირს იმორჩილებენ კაცები, ყველაფერ დანარჩენს სამოყვარულო შემსრულებლები ჰყავს. კინოს ქმნიან კაცები. ყველაფერ დანარჩენს სამოყვარულო შემსრულებლები ჰყავს სიმართლეს ამბობენ კაცები, ყველაფერ დანარჩენს სამოყვარულო შემსრულებლები ჰყავს. ზღვებს აბინძურებენ კაცები, ყველაფერ დანარჩენს სამოყვარულო შემსრულებლები ჰყავს. თავს კარგავენ კაცები, ყველაფერ დანარჩენს სამოყვარულო შემსრულებლები ჰყავს. შვილებს ზრდიან კაცები, ყველაფერ დანარჩენს სამოყვარულო შემსრულებლები ჰყავს.



საკუთარი ოთახი

და აი, მე მაქვს საკუთარი ოთახი, სადაც შევიკეტები და ყველაფერს, ყველაფერს თავდაყირა დავაყენებ. კარადებიდან გადმოყვრი ტანსაცმელს, პარფიუმერიას, წიგნებს, მეგობრის ნაჩუქარ, პლასტმასის, ვარდი? ვერ გაზქურას, ფრთამომტრეულ ანგელოზს, პატარა პრინციის ორცხობოლას, ჩაიდანს წარწერით "ლიტერატურა სოლიდარობისთვის", ფუმფულა სათამაშოებს, რომლებსაც მთელი ბავშვობა ვაგროვებდი, ისინი ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან, ზუსტად ესმით როდის, რა მემართება და არასოდეს მსაყვედურობენ წარუმატებლობის გამო, მთელი ცხოვრება მინდოდა მქონოდა საკუთარი ოთახი, ხან სად ვეძებე, ხან სად, ხან რომელი მეგობრის მხარზე მივაშენე, ხან რომლის. თავზე ხუზულასავით დამემხო, განა რა იყო, იმედები მოლოდინები, თითქოს არც წონა აქვს, არც ფორმა, მაგრამ საკმარისად მძიმე აღმოჩნდა, რომ ნელში ვერ გამემართა, თვალი ვერ მომეხუჭა ბოლომდე, თითქო ვერ გამეშალა, თავი ვერ ამენია, საკმარისად აუტანელი აღმოჩნდა, და მე დავეცი. უიმედოდ დავეცი და ვეგდე ქვიშაში, უიმედოდ და სასაცილოდ დავეცი, უიმედოდ და შესაბრალისად დავეცი, უიმედოდ და ცრემლებამდე დავეცი და არავის არასოდეს ეგონა, თუ მე კიდევ შევიჩხვოდი, თუ ჩემი ლანიდ ისევ გაკრთებოდა მათ თვალწინ. მაგრამ რაღაც უხილავემა სინათლის წერტილმა მკლავზე გადამინვინა და პატარა ბავშვივით დამარწია, მიმღერა რაღაც შეუცნობელი, არქაული, ზღაპრის ქვეყნიდან, ფერიების ენაზე, და მე დავბრუნდი, მოულოდნელად, და მთელი სიცხადით დავინახე, რა მშვენიერია გადარჩენა, როცა ვიღაცას თავდავიწყებით ენატრები.

* * *

ყველა ნასულს მონატრებული სალამი,
 ცხოვრება გრძელდება.

ჩვილი ტირის, დედა იხრება, ერთმანეთს უყურებენ.
 დიდი ხანია, ჩვენ დავტოვეთ მშობლიური სახლი,
 დავგეტოვა სახლმა, რაღაც სითბო, მუდმივი ქარი,
 გაყინული თითები და უმისამართოდ გაქცევა.
 ყოველთვის, როცა სახეს შენკენ ვაბრუნებ,
 ბედნიერი ვარ.

ყოველთვის, როცა დროში გავდივართ და მარადისობა გვიდგას თვალწინ, ბედნიერი ვარ.

მე მიყვარდი დასაწყისის და დასასრულის გარეშე.

მე მიყვარდი ყველა ტკივილის მიღმა.

და შორიდან მერცხლების გუნდი მოფრინდა,

და ბავშვები ტყეში შევარდნენ,

და ჩვენი ქალაქი იწვოდა.

იქ აღარაფერია.

აღარასოდეს დაბრუნდე.

ვერასოდეს გაპატიებ.

აღარასოდეს შემხვედე სადმე.

ხელში ტრაფარეტი ვდგავარ და შენი მოახლოების სუნი სახეს მინვაგს,

გაქცევა ჩემი ძლიერი მხარეა და ზღვაში მთელი ძალით ვეფლობი.

მწვიდობით, ჩემო მარადიულო ქალაქო.

ქარში ფერფლი უკვალოდ ქრება, თითქოს არასოდეს ვყოფილვართ ერთად.

დასასრული - ვთქვი და ტანი დამიმძიმდა.

მერე სადღაცაიდან გამოჩნდა მზე,

თითქოს მინაში ჰქონდა თავი ჩარგული და გაეღვიძა.

ჩვილი ტიროდა, დედა დაიხარა, ერთმანეთს შეხედეს.

და განათდა ბავშვის თვალებში.

ქალაქი იქცეოდა, მე ვინგრეოდი, ბავშვი იღიმოდა.

* * *

მარცხენა, მარცხენა ფეხის მომეცით - ითხოვდა მამა.

ბაზრობის უკან, სადაც შარდის და ტარხუნის სუნი იდგა

ვიდექით და ვეძებდით, რბილძირიან ფეხსაცმელს

მამა რამდენ ნაბიჯზე ვაგვიძღვებს ეს ძირი?..

ნეტაუ შენი სახლის საძირკვლამდე თუ მიგყვება?..

შენს საოცნებო მანდარინის და ლიმონის ბალებს თუ მოგატარებს?..

მარცხენა, მარცხენა ისმოდა ჰაერში და მე ვიდექი გაყინულად.

ჩვენ დავეკარგეთ დრო ან დავიკარგეთ დროში.

უფეხოდ და უენოდ დავდივართ, და ფეხსაცმელებს და სიტყვებს ვეძებთ .

მაგრამ ყოველთვის ერთი ზომით დიდი, ან ერთი ზომით პატარა აღმოჩნდა ცხოვრება.

და ჩვენი ყველა შეკავებული ცრემლი გაერთიანდა

სიტყვაში - მარცხენა, მარცხენა.

ჩვენ მუდმივად ვდგავართ მარცხნივ, ჩვენი მდგომარეობა გაუგებარია ადამიანებისთვის.

ჩვენ მოგვჭრეს ძირებიდან, ჩვენ ვიარეთ გაყინულ გზებზე,

რომ ერთმანეთი გვეპოვა ბაზრის უკან შარდისა და ტარხუნის სუნში,

შენ ყვიროდი - მარცხენა, მარცხენა


მარჯვენა ფეხი დიდი ხანია გამოვიტირე,

და მიხვდი ვინ ვიყავი, რა იყო ჩემი მთელი მუსიკა.

მერე დიდხანს ვიდექით გზაზე,

და არასდროს აღარ დამთავრდა დღე

რომელშიც ყველა ჩვენი შეკავებული ცრემლი დაგროვდა.



“პოეტი ირჩევს საგნების აღნიშვნის გარკვეულ ფორმებს ან გადაჭრით უარყოფს საგნობრივ სამყაროს” ინტერვიუ მერიენ მურთან

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძე



შესანიშნავმა ამერიკულმა პოეზიამ სიმნიფეს მხოლოდ გასული სამოცდაათი წლის განმავლობაში მიაღწია (მეცხრამეტე საუკუნის გენიალური პოეტები - უოლტ უიტმენი და ემილი დიკინსონი შემოქმედებით მუშაობას მტრულ გარემოცვაში ეწეოდნენ). ერთი ათწლეულის განმავლობაში ამერიკაში დაიბადნენ უდიდესი თანამედროვე პოეტები: უოლეს სტივენსი - 1879 წელს, ხოლო ტომას ელიოტი - 1888 წელს. იმ პერიოდის განმავლობაში, რომელსაც ეს თარიღები მოიცავს, დაიბადნენ ჰილდა დულითლი, რობინსონ ჯუფერსი, ჯონ კროუ რენსომი, უილიამ კარლოს უილიამსი, ეზრა პაუნდი და მერიენ მური.

მერიენ მურმა თავისი ნაწარმოებების გამოქვეყნება დაიწყო პირველი მსოფლიო ომის დროს. მათ ქება-დიდებას ასხამდნენ ევროპაში ემიგრირებული ტ.ს. ელიოტი და ეზრა პაუნდი. ჩიკაგოში ჰარიეტ მონროს ჟურნალი Poetry, რომელიც გამუდმებით აქვეყნებდა ახალგაზრდა პოეტების ლექსებს, ბეჭდავდა მერიენ მურის ნაწარმოებებსაც, მაგრამ მური, ძირითადად, გრინვიჩ-ვილიჯის ჯგუფის პოეტი გახლდათ - ჯგუფისა, რომელიც გამოსცემდა ჟურნალებს Others და Broom.

იმისთვის, რათა მოინახულოთ მერიენ მური მის სახლში (ბრუკლინში), უნდა გადაჭრათ ბრუკლინის ხიდი, გახვიდეთ მირტლ-ავენიუზე, გაიაროთ ერთი თუ ორი მილი ესტაკადაზე, შემდეგ კი მარჯვნივ შეუხვიეთ. სახლის გარშემო რამდენიმე ხეა, ის მარჯვნივ და განლაგებული საბავალო მალაზიასა და პრესტიჟიანულ ეკლესიას შორის, რომელსაც პოეტი დროდადრო ეწვევა ხოლმე.

მერიენ მურს ინტერვიუ ჩამოვართვი 1960 წლის ნოემბერში, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი დღით ადრე. მის ბინაში გრძელი ვინრო დერეფნის მარჯვენა მხარეს ოთახებია, ხოლო ბოლოს - ვრცელი სასტუმრო ოთახი, რომელიც ქუჩას გადაჰყურებს. დერეფანში დგას წიგნის უზარმაზარი კარდა, რომლის ერთ-ერთ თაროზე თვალი მოვკარი სამკერდე ნიშანს ნიქსონის პორტრეტით.

მის მური და მე სასტუმრო ოთახში დავსხედით. შუაში მიკროფონი დავდგი. ოთახში ყველგან წიგნები ეწყ. კედლებზე ეკიდა მასიური, მოყავისფრო ზეთის საღებავებით დახატული სურათები (ერთ-ერთი მათგანი მექსიკიდან ძღვნად გამოუგზავნა მეიბლ დიჯმა), რომლებითაც ამერიკელები ამშვენებდნენ თავიანთ ბინებს 1914 წლამდე. ავეჯი მუქი და ძველებური ყაიდისა იყო.

მის მური საუბრობდა მისთვის დამახასიათებელი სიღინჯითა და იუმორით. განსაკუთრებით ენამახვილური გამოთქმის ჩართვისას სწრაფად შემავლებდა ხოლმე თვალს, რათა ჩემი რეაქცია შეემონებინა, შემდეგ კი წყნარად ილიმებოდა. მოგვიანებით მის მურმა სადილად მიმიწვია მეზობელ რესტორანში, მაგრამ ნიქსონისგამოსახულებიანი სამკერდე ნიშანი არ მიუბნევია, რადგან ის არ უხდებოდა მის პალტოსა და ქუდას.

დონალდ პოლი

- მის მურ, რამდენადაც ვიცო, სენტ-ლუისში დაიბადეთ, ტ.ს. ელიოტის დაბადებამდე ათი თვით ადრე. თქვენი ოჯახები იცნობდნენ ერთმანეთს?

- არა, ჩვენ არ ვიცნობდით ელიოტებს. მისურის შტატში, ქირქველში ვცხოვრობდით, სადაც ბაბუა-ჩემი პირველი პრესვიტერიანული ეკლესიის პასტორი იყო. ტ.ს. ელიოტის ბაბუა - უილიამ ელიოტი - უნიტარიანული გახლდათ. როდესაც ქირქველი დაეკეთეთ, დაახლოებით შვიდი წლისა ვიყავი. ბაბუაჩემი 1894 წლის 20 თებერვალს გარდაიცვალა.

- რა ასაკში დაინწყეთ ლექსის წერა?

- დაიკადეთ, გავიხსენო... ბრინ-მორის კოლეჯში სწავლის დროს დაინწყე. თერამეტი წლისა ვიყავი, როდესაც ბრინ-მორის კოლეჯის სტუდენტი გავხდი. 1887 წელს დავიბადე, კოლეჯში კი 1906 წელს შევედი. მაშ, რამდენი წლისა ვყოფილავრ მაშინ? შეგიძლიათ, ჩემი იმდროინდელი ასაკი განსაზღვროთ?

- თერამეტი თუ ცხრაშეტი წლისა იქნებოდით.

- იმხანად ლიტერატურული გემგები არ მქონდა, მაგრამ სტუდენტურმა ყოფილთიურმა ჟურნალმა დამაინტერესა და, ჩემდა გასაკვირად (მისთვის ორიო-ღ სტატია დაგწერე), გამოცემლებმა რედაქციის წერა დაიბრძოეს. ეს მეორე კურსზე მოხდა. როდესაც კოლეჯი დაავითარე, თანამშრომლობა შევთავაზე კურსდამთავრებულთა ჟურნალ Lantern-ს, მაგრამ არ ვფიქრობდი, რომ ჩემი პოეზია მთელ მსოფლიოში გაითქვამდა სახელს.

- როდის გაითქვა სახელი თქვენმა პოეზიამ მთელ მსოფლიოში?

- არასოდეს გაუთქვამს! იმხანად ფერწერით ვიყავი გატაცებული, ყოველ შემთხვევაში, ასე მეგონა. მახსოვს, როგორ მკითხა მისის ოთის სქინერმა გამოსაშვებ საღამოზე, რა პროფესიას აირჩევდით.

- მხატვარი მინდა გავხდე, - მიუგოე მე.

- ზო-ო? არ მიკვირს. - მიბასუხა მისის სქინერმა. იმ საღამოს მეცვა საზაფხულო კაბა, რომელიც მას ძალზე მეგონა და შეაქო. დაიხ, სულაც არ მიკვირსო, თქვა.

მიყვარს მხატვრული პროზა, მაგრამ - რაც საკმაოდ უჩვეულოდ უღერს - ვფიქრობ, რომ, შესაძლოა, ჩემთვის პოეტური შემოქმედება უფრო უპრიანია. განა ერთხელ არ დაგწერე "Part of a Poem, Part of a Novel, Part of a Play"? ვფიქრობ, საკმაოდ გულწრფელი ვიყავი, შემეძლო წარმომედგინა სხვადასხვაგვარი სცენები და მშურდა, როგორ ბრწყინვალედ ახორციელებდა ამას ჰენრი ჯეიმსი. ლექსების წერა რომ არ შემეძლოს, პიესების თხზვას ვამჯობინებდი. ჩემთვის თეატრი - დასვენების ყველაზე სასიამოვნო, ყველაზე საყვარელი ფორმაა.

- ხშირად დადიხართ თეატრში?

- არა. არასოდეს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საგანგებოდ მიმიწვივენ. ლილიან ჰელმანმა მიმიწვია სპექტაკლზე Toys in the Attic, რამაც ძალზე გამახარა. ეს სპექტაკლი რომ არ მენახა, წარმოადგე-

ნა არ მექნებოდა ამ შესანიშნავი ნაწარმოებისა და ჰელმანის, როგორც დრამატურგის, ოსტატობაზე; მას კიდევ ერთხელ სიამოვნებით ენახავდი. როგორი ზუსტი ენა აქვს ჰელმანს! სწორედ ამისკენ მივიწრაფვი. ყოველთვის ვინერ ადგილობრივ, კუთხურ გამოთქმებს და კილოკავეს. კარგი იქნებოდა, რომელიმე ფილოლოგიურ კვლევა-ძიებაში მიმელო მიწანილობა. მაგრამ საგანგებოდ არასოდეს გამომიყენებია კუთხური გამოთქმები ჩემს ეგრეთ წოდებულ ლექსებში.

- საინტერესოა, რას ნიშნავდა ბრინ-მორის კოლეჯი თქვენთვის, როგორც პოეტისთვის. ბრინ-მორში სწავლისას დროს უმეტეს ნაწილს ბოლოლოგიურ ლაბორატორიაში ატარებდით. ნუთუ ლიტერატურაზე მეტად მოგწონდათ ბიოლოგია, როგორც სასწავლო საგანი? ბიოლოგის შესწავლამ რაიმე ზეგავლენა მოახდინა თქვენს პოეზიაზე?

- ზოგადად, მინდოდა, ფრანგული და ინგლისური ენები ჩემი ძირითადი სასწავლო საგნები ყოფილიყო და გავიარე ინგლისური ენის აუცილებელი ორწლიანი კურსი -ხუთი საათი კვირაში. პირველი კურსის ბოლოს დაეგაროვე აუცილებელი ოთხმოცი ქულა და შემდეგ შევარჩიე მეწვიმდე საუკუნის ლიტერატურა - ფულერი, ჟუქერი, ნეკონი, ეპისოპოსი ენდროუსი და სხვები. ფრანგული ენის ლექციები ფრანგულად იკითხებოდა. ფრანგულ ზეპირ-მეტყველებას სათანადოდ ვერ დავეფუძე.

მოახდინა თუ არა ზეგავლენა ლაბორატორიულმა კვლევებმა ჩემს პოეზიაზე? რა თქმა უნდა, მოახდინა. მიტაცებდა ბიოლოგიის სასწავლო საგნები. არსებობდა, მედიცინის შესწავლას ვაპირებდი. ასე მეგონა, მეცნიერებისთვის დამახასიათებელ სიზუსტეს, ლაკონიურ ფორმულირებებს, ლოგიკას, გარკვეული მიმართება აქვს წარმოსახვასთან.

- იცნობდით თუ არა ლიტერატურებს, მაგალითად, ბრაიერს და ჰილდა დულითოს, სანამ ნიუ-იორკში ჩამოხვიდოდით?

- ძალზე ძნელია ამ მოგონებების თანმიმდევრულად გადმოცემა. ბრაიერი 1921 წელს გავიცანი ნიუ-იორკში; ჰილდა დულითოთან ერთად ბრინ-მორში ვსწავლობდი. იქ, მაგონ, ორი წელი გაატარა. არ გიციოდი, რომ ლიტერატურულ შემოქმედებას ეწეოდა.

- ეზრა პაუნდი და უილიამ კარლოს უილიამსი ჰილდამ გავაცნოთ? მათ პენსილვანიის უნივერსიტეტიდან იცნობდა, ხომ ასეა?

- დიას. ისინი იქ ვაიცნო. 1916 წელს, სანამ ნიუ-იორკში ჩავიდოდი (ერთმა კარლიალელმა მეგობარმა მთხოვა, თან წავყოლოდი), არცერთ მწერალს არ ვიცნობდი.

- მათ შორის, თანამედროვე პოეტებსაც?

- დიას.

- ეს იყო თქვენს პირველი მოგზაურობა ნიუ-იორკში? და იქ გატარებული ექვსი დღის შემდეგ გადაწყვიტეთ, რომ ამ ქალაქში უნდა დასახლებუ-



ლიყავით?

- არა. დედას მე და ჩემი ძმა ხშირად დაეყავით ნიუ-იორკში ღირსშესანიშნაობათა დასათვლიერებლად. 1909 წელს, კოლეჯის ბოლო კურსზე სწავლისას, საადგომოდ, ნიუ-იორკში სტუმრად ვენციე ჩარლზ სპრეგსმიტის ქალიშვილს, ჰილდას. მოვისმინე ლუი ანსაბერის ძალზე საინტერესო ლექციები Cooper Union-ში.

- როგორ გადაწყვიტეთ, რომ ნიუ-იორკში დასახლებულიყავით?

- ეს მოხდა მაშინ, როდესაც მის კაუდრიმ (კარლილიანი) შემთავაზა, მასთან ერთად ნიუ-იორკს ერთი კვირით ვნვეოდ. სწორედ ამ ვიზიტის დროს (1916 წელს) მომინდა იქ დასახლება. არ ვიცი, რატომ წამოყვანა. შესაძლოა, ჩემ გარეშე გაცილებით უკეთ გაატყობდა დროს. მის კაუდრი ძალზე სკეპტიკურად ეკიდებოდა ჩემს სიყვარულს ბოჰემური წრეებისადმი, მაგრამ ეს არ მაშინებდა. ვფიქრობდი, რომ იქ ზიანს არაფერ მომაცენებდა. რომც ეცადათ, არაფერი გამაოვიდოდათ. არასოდეს მიფიქრია, მცველი მჭირდებოდა-მეთქი.

- თქვენი აზრით, ნიუ-იორკში დასახლებამ და იმას, რომ ნიუ-იორკელ მწერლებს მოსწონდათ თქვენი ნაწარმოებები, გიბიძგათ ინტენსიური პოეტური შემოქმედებისადმი?

- დარწმუნებული ვარ, ასეც იყო. ჩემზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენდა ისიც, რომ ლიტერატორთა გარემოცვაში ვიმყოფებოდი. საერთოდ კი, მანამდე არასოდეს მიფიქრია ლექსების წერა. ახლაც, როდესაც ვწერ, ყოველთვის ვფიქრობ, რომ ეს უკანასკნელი მდგელობაა. მაგრამ შემდეგ რაღაც განცდა ან იდეა მიძილებს, ვწერო. რაც კი დავწერე, ლიტერატურის კითხვის ან ადამიანებისადმი ინტერესის შედეგია. ამაში დარწმუნებული ვარ. მწერლობა ჩემთვის თვითმიზანი არასოდეს ყოფილა.

- ბრინ-მორის კოლეჯის დამთავრების შემდეგ თქვენ ასწავლიდით კარლილის ინდიელთა სკოლაში, შემდეგ დასახლდით ნიუ-იორკში, სადაც 1918 წლიდან კერძო სკოლაში ასწავლიდით და ბიბლიოთეკაში მუშაობდით. რაიმე კავშირი აქვს თუ არა ამ საქმიანობას თქვენთან, როგორც მწერალთან?

- ვფიქრობ, მათ მნიშვნელოვნად გაამყარეს ჩემი ინტელექტუალური პოტენციალი. ბიბლიოთეკაში მუშაობამ უდღესი დახმარება გამიწია. ყველაფერი ასე დაიწყო: ერთ დღეს ჩემთან მოვიდა მის ლეონარდი ნიუ-იორკის (ჰადსონ-პარკის) საჯარო ბიბლიოთეკიდან, რომელიც ჩვენი სახლის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა. შინ არ ვახლდით და მის ლეონარდმა ჰკითხა დედაჩემს, ხომ არ დავთანხმდებოდი ბიბლიოთეკაში მუშაობაზე, რადგან ასე მიყვარდა ნიგნეტი და მათ შესახებ საუბარი მკითხველებთან. დედაჩემმა უარით უპასუხა. ეგონა, რომ თუკი ვიმუშავებდი, კითხვისთვის დრო აღარ დამრჩებოდა. როდესაც შინ დავბრუნდი, დედამ ყველაფერი მიაშობ. ფუთხარი: "ძალიან კარგია. შესანიშნავია. მაგრამ მხოლოდ ნახევარ განაკვეთზე ვიმუშავებ". მთელი დღის განმავლობაში (და შესაძლოა, საღამოობით და ზეგანაკვეთით) რომ მემუშავა, ეს "შესანიშნავი" აღარ იქნებოდა.

მომზონდა, რომ ბიბლიოთეკაში ნიგნეტს სარეცენზიოდ გვაძლევდნენ. საზღაურს არ გვიხდოდნენ, მაგრამ კრიტიკული განხილვის საშუალება გვეძლეოდა. მგონი, ამ რეცენზიების ასლები სადღაც შენახული მაქვს. ყოველთვის ბანტირერებსება, რატომ არ მაძლევდნენ სარეცენზიოდ ნაშრომებს, რომლებიც ეძლეობდა ხელმძღვანელს, ან მედიცინას, ან ისტორიას და თუნდაც კრიტიკას. არა, რეცენზიებს მუშეჯი კინოს შესახებ ვწერია.

- იმ დროს მოგზაურობდით? საერთოდ, ევროპაში გიმოგზაურიათ?

- 1911 წელს დედასთან ერთად ინგლისში ორი თვე (მგონი, ივლისი და აგვისტო) გავატარე. შემდეგ გავეგზავრეთ პარიზში და დავასახლდით სენის მარცხენა სანაპიროზე, პანსიონში ვალერის ქუჩაზე, სადაც კალვინმა დანერა თავისი "დარკნობები". მას-ლობლად იყო პანთეონი და ლუქსემბურგის ბაღი. ძალზე დამაინტერესა სილია ბირის ნიგნეტი ზრა პუნდისა და პარიზში მისი ცხოვრების შესახებ. ერთ საღამოს გასეირნება მომინდა - 1911 წლის ზაფხული ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცხელი იყო - და მივედით ოდონის ქუჩაზე, რათა გვენახა სილია ბირის მალახოა. აზრად არ მომხდია მეტეჟა, მწერალი ვარ და გამესაუბრეთ-მეთქი. საერთოდ, ამგვარი სურვილი არ გამჩენია. მინდოდა დამეთვალთვლებინა იქაურობა. პარიზის თითქმის ყველა მუზეუმი დავთვალთვრეთ, ორის გარდა.

- ევროპაში კიდევ დაბრუნდით?

- პარიზში არ დაბრუნებულვარ, მხოლოდ ინგლისში - 1935 თუ 1936 წელს. მიყვარს ინგლისი.

- 1929 წლის შემდეგ, ძირითადად, ბრუკლინში ცხოვრობდით, ხო?

- გარდა იმ დროისა, როდესაც ოთხჯერ ვიმოგზაურე ამერიკის დასავლეთში: ლოს ანჯელესში, სან ფრანცისკოში, პოუჯეთ საუნდსა და ბრიტანეთის კოლუმბიაში.

- გენატრებოდით თუ არა დოჯერებ, მას შემდეგ, რაც დასავლეთში გადასახლდით?

- ძალიან მენატრებოდნენ და მეუბნებოდნენ, რომ მათაც ვენატრებოდნენ.

- ძალზე მინტერესებს თქვენი ახალგაზრდობის დროინდელი წლები ნიუ-იორკში. უილიამ კარლოს უილიამსი თავის "ავტობიოგრაფიაში" საუბრობს გრინვიჩ-ვილიჯის მწერალთა დაჯგუფების შესახებ და წერს, რომ თქვენ ჩვენი პოეზიის ხერხემალი იყავით. ამ დაჯგუფების წარმომადგენლებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს Others-ში.

- არასოდეს არაფრის ხერხემალი არ ყოფილვარ! უილიამსის ავტობიოგრაფია ნაწიკითხე და გავკრიტიკე იმის გამო, რომ მასში მოყვანილია არასწორი ცნობები რობერტ მაკელმონისა და ბრაიერის შესახებ. ისეთი აღმთვლებული ვიყავი, რომ გამოძრჩა სხვა ხარეგებებიც, რომლებიც უნდა შემემჩნია.

- როგორ ჩამოყალიბდა ეს დაჯგუფება?

- ალფრედ კრეიმბორგის ინიციატივით. იმხანად მისი მეუღლე იყო გერტრუდ დლორდი - ულამაზესი ქალი. მათ ჰქონდათ პატარა ბინა ვილიჯში. ჯგუფის წევრებს საერთო მიზანდასახულება აღერიანებდათ.

- ერთხელ ალფრედ კრეიმბორგს თქვენი აღმომჩენი უწოდეს. მართლაც ასეა?



- შესაძლოა, ასეც იყო. ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა ჩემთვის გზა გაეკვალა. მის მონრომ და ოლდინგტონმა ერთდროულად შემომთავაზეს, ჩემი ლექსები გამოქვეყნებინა Poetry-სა და Egoist-ში 1915 წელს. აღფრედ კრეიმბორგი წინააღმდეგი არ ყოფილა. მე რამდენადმე განესხვავებოდი სხვებისგან. ალბათ, ფიქრობდა, რომ რაღაც სიახლეს შევითქვანიდ ამერიკულ პოეზიაში.

- როგორი რეაქცია გქონდათ, როდესაც ჰილდა დულითლმა და ბრაიერმა 1921 წელს თქვენ დაუკითხავად გამოაქვეყნეს თქვენივე ლექსების პირველი კრებული, Poems? თვითონ რატომ არ გამოიციტეს ეს ნაწარმოებები?

- ჩემი უმნიშვარი პროდუქციის გამოქვეყნება ნაადრევად მეჩვენებოდა. ვფიქრობდი, რომ ტერმინი "პოეზია" მიემართება მხოლოდ შერისი, შექსპირის ან დანტეს თხზულებებს. ახლა სხვაგვარად ვფიქრობ - ესაა ხელსაყრელი, თითქმის აუცილებელი ტერმინი (თუმცა არ მიესადაგება ჩემს ექსპერიმენტებს რიტმის ან კომპოზიციის სფეროში). როგორც უკვე ვთქვი, იმას, რასაც ვწერ, შეიძლება პოეზია დაერქვას მხოლოდ იმის გამო, რომ არ არსებობს სხვა კატეგორია, რომელსაც ჩემი ნაწარმები შეიძლება მივაკუთვნოთ. მაგრამ მაღლიერი ვარ ამ კეთილშობილური ინიციატივის - 1921 წელს ჩემი ლექსების გამოქვეყნების გამო, რომლებშიც უფრო მნიშვნელოვანია ფორმა, ვიდრე შინაარსი. ასევე, მაღლიერი ვარ, რომ 1935 წელს ფიბერისა და მაკმილანის კომპანიებმა ერთდროულად შემთავაზეს ჩემი "რეჟული ლექსების" გამოქვეყნება. თუმცა, სავსებით მაკმაყოფილებდა ის, რომ ჟურნალები დროდადრო ბეჭდადნენ ჩემს ლექსებს.

- გზავნიდით თუ არა ჟურნალებში ლექსებს მანამ, სანამ Egoist თქვენს პირველ ლექსს გამოაქვეყნებდა?

- დიახ. პატარა ბლოკნოტში სისტემატურად ვიწერდი ყველა შემთხვევას, როდესაც ჩემს ლექსებს იღებდნენ ან უკან მიბრუნებდნენ. ეს, მაგონი, ერთი

წლის განმავლობაში გრძელდებოდა. ახლა ასე აღარ ვიქცევი. საერთოდ, ძალზე მიჭირს აზრის სიტყვიერად გამოხატვა. და ძალზე იშვიათად ვწერ ისე, როგორც მინდა.

- ბოლოს როდის დაწერეთ ლექსი?
- აგვისტოში გამოვაქვეყნე. რაზე იყო? კარნევი-ჰოლზე.

- როგორ იწყებთ ხოლმე ლექსის წერას?
- გონებაში ამომიტივტივდება ხოლმე სიტყვა ან, შესაძლოა, ორი სიტყვა, რომლებიც ჩვეულებრივ, მიემართება რაიმე აზრს ან საგანს, და ვწერ: "მზის სხივებში ლაპლაპებდა კალიების ფრთები." ლექსებში ვიყენებ როგორც მსუბუქ, შეუმჩნეველ რითმებს, ასევე - მკვეთრ რითმებსაც:

and yet, when someone's near,
we manage to appear
as impervious to fear
as anybody here.

ჩემი ინტერესი ლაფონტინისადმი მნიშვნელოვანწილად განაპირობა მისი ლექსების ვირტუოზულმა ფორმამ, რომელიც შეძლებისდაგვარად ადეკვატურად გადმოვიტანე:

I fear that appearances are worshipped throughout France

Whereas pre-eminence perchance
Merely means a pushing person.
ხშირად ვიყენებ მახვილიან ნახევარრიტმას:
By Love and his blindness
Possibly a service was done,
Let lovers say. A lonely man has no criterion.

- რა სახის ლიტერატურულმა გამოცდილებამ გაიძულათ, რომ ამგვარი მანერით გვეწერათ? რა დახმარება გაგინათ იმაჟინმა?

- არავითარი დახმარება არ გაუწევია. მიკვირს, რატომ ახსენებენ ამ მიმდინარეობას ჩემთან მიმართებაში.

- თქვენი ლექსების აღწერითობა აქ არავითარ როლს არ ასრულებს?

- არა მაგონია. ვწუხვარ, რომ პარიად ვიქცი, რომ არცერთ დაჯგუფებასთან ან მიმდინარეობასთან არ მაქვს არავითარი კავშირი. მაგრამ მაღლიერებას განვიციდი Others-ის მიმართ.

- საიდან მომდინარეობს თქვენი ლიტერატურული სტილი? აქვს თუ არა მას გარკვეული ლიტერატურული ფესვები?

- რამდენადაც ვიცი, არავითარი ფესვები არა აქვს. ეზრა პაუნდმა თქვა, რომ ჩემს სტილში თავს იჩენს ლაფორგისა და სხვა ფრანგი ავტორების ზეგავლენა. სამწუხაროდ, ბოლო ხანებამდე არცერთი მათგანი არ ნამიკითხავს. ახლა ვხვდები, რომ ფრენის ვეიშის ლექსების სათაურები და პოეტური ხედვა მნიშვნელოვნად ნაავგავს ჩემსას. ამიტომ ერთგვარი პლაგიატიორი შეიძლება მენდოს.

- თქვენს ლექსებში ციტატების ხშირ გამოყენება რას იტყვი?

- თუკი რამე სრულყოფილადაა ნათქვამი, უკეთ ხომ ვერაფერს იტყვი? თუკი ჩემს სათქმელს სხვა იდეალად გამოხატავს, ამით მხოლოდ ჩემს პატივისცემას დამისახურებს.

- რომელიმე პროზაიკოსის სტილი ხომ დაგხმართ საკუთარი პოეტური სტილის შემუშავებაში? ელიზაბეტ ბიშოპი თქვენს შემოქმედებასთან დაკავშირებით ასხენებს ედგარ პოს პროზას. ასევე, თქვენს მკითხველებს ასოციაცია უჩნდებათ ჰენრი ჯეიმის ნაწარმოებებთან.

- ძალიან მომწონს ძველი მწერლები. დოქტორი ჯონსონი წერდა რიჩარდ სევიჯის შესახებ: "ის... დაგმომ პარალმენტმა, უარყო დედად, და ყველაგან დაინიყებულს, სილატაკემი ამოხად სულ. ცხოვრების ოკეანეში მხოლოდ იმისთვის იქნა გადასროლილი, რომ შთაბრძნა მოძრავ ქვიშებს ან კლდეებს მიხეთქებოდა... საბედნიეროდ, არ შეხვედრია უცხო ადამიანი, რომელიც მისი მეგობარი არ გამხდარიყო. თუმცა, არ ჰყოლია მეგობარი, რომელიც მისთვის უცხო ადამიანად არ ქცეულიყო". ედმუნდ ბერტი კოლონიების შესახებ წერდა: "შეიძლება გაკრიტიკებულ იქნას, მაგრამ განა ამით მას მოაშინაურებთ?" სერ ტომას ბრაუნი ფუტკარს "შრომისმოყვარე ბუზს" უწოდებდა, ხოლო თავის სამშობლოს - "სკას"-ს. სერ ფრენსის ბეკონი: "სამოქალაქო ომი ნაავგავს ციებ-ციხელებას, ხოლო სხვა სახელმწიფოთა ომი - სამხედრო წვრთნას". ჩელინი: "ჩემი ძაღლი თუთასავით შავი იყო". შესანიშნავია იულიუს კეისრის "კომენტარები გალიის ომის შესახებ" და ქსენოფონტის "კინეგეტისუსი" - თითოეული დეტალისადმი მძაფრი ინტერესით! ჰენრი ჯეიმის შემოქმედებაში განსაკუთრებით მომწონს ესეტი და სერიულები. ეზრა პაუნდი მიზიდავს რომანტიკული ნურისკეთებით, სპეციფიკური კილითი. ჩარლზ ნორმანი ეზრა პაუნდის ბიოგრაფიაში წერს, რომ ეზრამ გაიხსნა შექსპირი და დაბეჭდა შენიშვნა: "ვერ ვიტყვით, რომელი ჯობია; თითოეული მათგანის ვისთვის უნდა ვთქვათ: "ის სწორუპოვარია".

- არის თუ არა თქვენს ნაწარმოებებს შორის საყვარელი და არც ისე საყვარელი ნაწარმოებები?

- რა თქმა უნდა, არის. ჩემთვის ყველაზე უფრო რთულია საკმარისი სიცხადის მიღწევა, ისე, რომ

ლექსის სახრისი მაკმაყოფილებდეს. ეს ძნელია. არ მომწონს ჩემი "ენიგმები". ერთხელ დედაჩემს ვუსაყვედურე: "რატომ მომეცი უფლება, რომ ეს დამებეჭდა?". მან კი მიპასუხა, ჩემთვის რჩევა არ გიკითხავსო.

- ერთხელ გისმენდით, როგორ კითხულობდი საკუთარ ლექსებს. მაშინ თქვით, რომ არ მოეწონინ "In Distrust of Merits," რომელიც თქვენი ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული ლექსია.

- მომწონს. გულწრფელად გეუბნებით. მაგრამ მას ლექსად არ მივიჩნევ. ის მეტყველებს მხოლოდ იმის შესახებ, რომ ომი ამაზრზენი და უსამართლოა.

- რატომ არ მიიჩნევთ ამ ნაწარმოებს ლექსად? რის საფუძველზე?

- უსიტყვო ტექსტია. უფრომოდ. ესაა მარტორდენ უორტესტი - აბნეული, ხმაურიანი. მისი წერისას ძალზე ალგზნებული ვიყავი.

- დედათქვენმა თქვა, რომ მისთვის რჩევა არ გიკითხავთ. ოდესმე გიკითხავთ თუ არა რჩევა თქვენი ოჯახის წევრებისა ან მეგობრებისთვის?

- მეგობრებისთვის არა, მაგრამ, როდესაც ამის შესაძლებლობა მაქვს, მძას ვაკითხავთ ხოლმე ჩემს ლექსებს. ჩემთვის რჩევა არ გიკითხავს, დედაჩემმა მრავალი წლის წინ მითხრა. იმხანად მან დამიწუნა "A Face"-ის თავდაპირველი ვარიანტი. ეს ლექსი სირლად კონლოს თხოვნით დავწერე "Horizon"-ისთვის. ესაა ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანი ლექსებიდან, რომლებიც იოლად, ძალდაუტანებლად დედაწერე. დედაჩემმა მითხრა, მომწონსო. ეს კარგად მახსოვს. დედა წინთ ადრე დავწერე "The Buffalo". გაციფიქრე, თუკი ლექსი არ ვარგა, მაშინ მძა ამის შესახებ მეტყვი-მეთუ. მან ლექსი მომიწონა. ძალიან ბედნიერი ვიყავი.

- ოჯახის წევრების გამო ოდესმე უარი გითქვამთ რომელიმე ნაწარმოების გამოქვეყნებაზე?

- დიახ. ეს იყო "The Adder and the Child with a Bowl of Porridge". მისი გადაკეთებაც არა მომიწონებოდა. სეინტსბერი ამბობს, რომ ენდრიუ ლენგმა დაიწუნა ედგარ პოს ნაწარმოებები. სეინტსბერის თქმით, "მას შემდეგ, რაც ნაწარმოები დაწუნებულ იქნა, მას ვერ შევთავაზებდი სხვა რედაქტორს". მკი ოცდათხუთმეტი რედაქტორისთვის შემითავაზებია ჩემი ერთი და იგივე ნაწარმოები, რა თქმა უნდა, სხვადასხვა დროს.

- ეს ლექსი იყო?

- ჰო. ძალზე ჯიუტი ვარ.

- ოდესმე ვინმეს უთხოვია, რომ მისთვის ლექსი დაგეგმილი?

- გამუდმებით მთხოვენ დავწერო ლექსი ამა თუ იმ თემაზე, დანყებობი ძაღლის სიკვდილით და დამთავრებელი სააღბომო მცირე ზომის ლექსებით.

- და თქვენ მათ წერთ?

- ზოგჯერ ვწერ, მაგრამ, ჩვეულებრივ, სხვისი ლექსების ციტირებით ვიფარვლები. ერთხელ, როდესაც ბიბლიოთეკაში ვმუშაობდი, მის ლეონარდისთვის წვეულება მოგვარევეთ. ჩემ მიერ დანერგილი ორიოდ სტრიქონი ვუძღვენით მას, იების თაიგულთან ერთად. ჩანადიქირ კარგი იყო, მაგრამ ლექსი არ ვარგოდა. კოლეჯშიც დამავალეს სონეტის დანერა.

მდარე ლექსი იყო.

- **მაინტერესებს თქვენი პოეტური შემოქმედების პრინციპები და მეთოდები. რაში მდგომარეობს სილაბური ლექსის არსი? რით განსხვავდება ის თავისუფალი ლექსისგან, რომელშიც სტრიქონის სიგრძე განისაზღვრება ვიზუალურად და არა არითმეტიკულად?**

- არასოდეს მიფიქრია, რომ იმას, რასაც ვწერ, შეიძლება რაიმენაირი განსაზღვრება მიეუსადაგოთ. წინადადება დაჭიმული უნდა იყოს, ისევე, როგორც იჭიმება ქსოვილი გრავიტაციის ზეგავლენით. მომწონს სტრიქონი, რომლის დასასრულიც ემთხვევა წინადადების დასასრულს და არ მომწონს სიტყვების ინტერსოული წყობა; მომწონს სიმეტრია.

- **როგორ განსაზღვრავთ სტროფების ფორმას? ვგულისხმობ სილაბურ ლექსებს. რომლებშიც გაითიხებება განმეორებადი ფორმის სტროფები. ოფსზე გიცდათ ექსპერიმენტირება სტროფის ფორმის გრაფიკულად მონიშნის მეშვეობით?**

- წინასწარ არასოდეს "განვსაზღვრავ" სტროფს. სიტყვები ერთმანეთს ქრომოსომების მსგავსად უკავშირდებიან. არასოდეს "არაფერს მოგონებინებ გრაფიკულად". რითმებს ვაფერადებ ხოლმე წითელი, ლურჯი ან სხვა ფერის ფანქრით - იმდენი ფერის ფანქრებით, რამდენი განსხვავებული რითმაცაა ლექსში. მაგრამ თუკი ფრაზების არქიტექტურა ძალზე არამწყობარია, თუ ვაძინებ, რომ სიტყვების მგლოდია შეუსაბამოდ აჟღერს, შეიძლება გადავავადო მისი დასრულება ერთი ან რამდენიმე წლის განმავლობაში. მომჭირნე ვარ. ვინაზავ ყველაფერს, რაც შეიძლება ლექსად იქცეს, და ვინერ პატარა ბლოკნოტში.

- **დაგეხმართ თუ არა თქვენს, როგორც პოეტს, ლაფონტენის იგავ-არაკების თარგმნა?**

- ნამდვილად დამეხმარა. შესანიშნავი სამსახური გამოიწია. ისე მოხდა, რომ გამომცემელმა, რომელმაც "იგავ-არაკების" თარგმნა შეიკეთა, გარდაიცვალა. ვიფიქრე, გამომცემლობას ხელშეკრულების გაუქმება ხომ არ უნდა-მეთქი. ასეთ შემთხვევაში შემძღობ იგავ-არაკების შეთავაზება სხვა გამომცემლობისთვის, მაგალითად, მაკმილანისთვის, რომელსაც ეს თარგმანი შეიძლება მოსწონებოდა. შეიძლება. ნათარგმნი ლიტერატურის რედაქტორმა მაკმილანის გამომცემლობაში მითხრა: "იცი, მე ვსწავლობდი ფრანგულ ენას კორნელის უნივერსიტეტში, შესაბამისი სამეცნიერო ხარისხიც მაქვს. მიყვარს ფრანგული ენა და... ალბათ, უმჯობესია, თქვენი თარგმანების გამოქვეყნება გარკვეული ხნით გადავდოთ". "რამდენი ხნით?" - ვკითხე მე. "დაახლოებით ათი წლით. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, თარგმნა ხელს შეუშლის თქვენს საკუთარ შემოქმედებას.". "ოჰ, - ვუთხარი მე. - ეს ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ამ საქმეს ხელი მოვკიდებ, ისაა, რომ გამოცემლების შექმნა მინდოდა... მაინც, რა არ მოგწონს? ცხად ფორმა ან მინარსი არასწორად გადამოვიტანე?" რედაქტორი კი განუწყვეტილ მიმეორებდა, ტექსტებში შეუსაბამობები არისო. არ ვიცი, რა სახის შეუსაბამობები იყო.

უფროსი, "ნუ ვაგომობენ" შინაით თავაზიან წერლის. გთხოვთ, უბრალოდ, დამიბრუნოთ მასალა". მასალა იანვარში გაგვზავნე, ახლა კი მაისი იყო. ვშფოთავ-

დი და ვიმედოვნებდი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა. მაგრამ ულტიმატუმი გამანადგურებელი იყო.

იმავე დროს მონრო ნეგელმა Viking Press-დან მომწერა და მირჩია ლაფონტენის იგავ-არაკები მისი გამომცემლობისთვის გადაემეცა ვაშლაპეყენებლად. მის მიმართ მარად მაღლონი ვიყავი და ვიქნები, მაგრამ ვუთხარი, რომ ვერ შევთავაზებდი იმას, რაც სხვა დაიწინა. ტექსტს რედაქტირება სჭირდებოდა.

მისტერ ნეგელმა მკითხა: "როგორ ფიქრობთ, ვინ ითავებს ამ საქმეს? ვის კანდიდატურას დამისახელებთ?"

ჰარი ლევინი-მეთქი, ვუთხარი, რადგან ლევინმა შესანიშნავი ესე მიუძღვნა ედნა სენტ-ვისენტ მილენისა და ჯორჯ დილონის მიერ ნათარგმნ ბოდლერის სონეტებს. მისტერ ნეგელმა მითხრა: "ვკითხავ ლევინს, მაგრამ დიდხანს უნდა ველოდოთ. ძალიან დაკავებულია. თქვენი აზრით, როგორი ანაზღაურება უნდა შევთავაზოთ?"

- არავითარი სტიმული არ ექნება, თუკი ოც დოლარზე ნაკლებს შევთავაზებთ.

- ასეთ შემთხვევაში, თქვენი ავანსი მნიშვნელოვნად შემცირდება.

- არ დავცემბა ავანსს, არც კი მიფიქრია ამის შესახებ. - ვუთხარი მე.

შემდეგ ჰარი ლევინიმა საკამოდ მალე გვითხრა, რომ სიათრევის შეუდგებობა საქმეს, მაგრამ არავითარ ანაზღაურებაზე არ დათანხმდებოდა.

- **აქამდე ლექსებზე ვსაუბრობდით და ეს თემა, რასაკვირველია, ყველაზე უტყდა მაინტერესებს, მაგრამ თქვენ, ასევე, The Dial-ის რედაქტორი იყავით და ამასთან დაკავშირებით რამდენიმე შეკითხვა უნდა დავსვით. 1925-1929 წლებში ვამოსცემდით ამ ჟურნალს, ხშირ პირველად როგორ დაუკავშირდით მას?**

- დაიცადეთ, გავიხსენო... ინიციატივა მე გამოვიჩინე. რედაქტორებს გაუგზავნე რამდენიმე ლექსი, რომლებიც უკან დაიმორუნეს. სწორედ იმხანად ლოლა რიჯმა ნეველები მოაწყო - საკამოდ დიდი ბინა ჰქონდა. მონეულოთა შორის იყვნენ ჯონ რიდი, მარლენ პარტილი (ძალიან კარგი მხატვარი) და სკოფილდ თაიერი (The Dial-ის რედაქტორი. მოსოვეს, ნამეკითხა ჩემი რომელიმე ლექსი. სკოფილდ თაიერმა შემომთავაზა, ჩემი ნაწარმოები The Dial-ში გამეზავნა.

- უკვე გამოგზავნეთ - ვუთხარი მე.

- კიდევ ერთხელ გამოგზავნეთ, - მითხრა მან. ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა.

ერთხელ თაიერმა მითხრა: "მინდა, რომ გაგაცნოთ ჩემი მეგობარი, სიბლი უოტსონი". მან ჩაიხე დაპატიჟა თავის ბინაში. ძალიან მომეწონა. ექვმი ჯვიმს სიბლი უოტსონი უჩვეულო პიროვნება გახლდათ. ბევრი არაფერი უოქმანს, მაგრამ ის, რაც თქვა, გასაოცარი და მოულოდნელი იყო. მათ მთხრავს, The Dial-თან მეთანამშრომლობა.

- **ახლანს გადავხედე ჟურნალის იმ ნომრებს, რომელთა რედაქტორიც იყავით. არაჩვეულებრივი ჟურნალია.**

- The Dial? მართლა მოგეწონათ?

- დიას. ერთსა და იმავე ნომერში გამოქვეყნებულია როგორც ჯორჯ სეინსტსბერის, ისე ეზრა პაუნდის თხზულებები. როგორ ახსნით ამას?

- ჯერ ერთი, არაფრისა მეშინოდა. არაფრად გვეწინაღობდა, თუ რას იტყოდნენ ჩვენ შესახებ სხვა ადამიანები. არცერთი სხვა ჟურნალი არ იყო ასეთი დამოუკიდებელი. თითოეული ჩვენგანი აკეთებდა იმას, რაც სურდა და როგორც სურდა. როდესაც უხებ შეცდომებს ვუშვებდით, ვნუხდით, მაგრამ გვეცინებოდა კიდევ.

- ლუიზ ბოვენმა თქვა, რომ The Dial-მა გამოავლინა ამერიკულ ავანგარდსა და ამერიკულ ტრადიციულ ლიტერატურას შორის არსებული ზეგარი. როგორ ფიქრობთ, ასეთი გამიჯვნა დღესაც აქტუალურია? ხომ არ იყო ეს ერთგვარი წინასწარგანზრახული ჩანაფიქრის შედეგი?

- ვფიქრობ, ინდივიდუალბა ძალზე ფასეული რამაა. ამ მხრივ ყველასგან განსხვავდებოდით. რა თქმა უნდა, არავითარი წინასწარი ჩანაფიქრი არ გვექონია, გარდა იმისა, რომ ძალზე ხშირად მცნობდა სიტყვა "ინტენსიობა". ნაწარმოები "ინტენსიური" უნდა ყოფილიყო. ეს თავისებური კრიტერიუმი გახლდათ, რომელიც შეეხებოდა ჩვენს საკუთარ ლიტერატურულ მანერასაც. ლიტერატურული ქმნილებები საკუთარი გამოვლების მიხედვით უნდა შეგვექმნა, ვფიქრობ, ამას ვახერხებდით და სულაც არ გვაინტერესებდა, რომ ისინი სხვადასხვაგვარი იყო. არისტოტელსმ თქვა, რომ პოეტის დაზახასათებელი თვისებაა მსგავსების გამოვლენა განსხვავებულ საგნებს შორის. ეს ძალზე გვიზიზიდავდა.

- დღეს, როდესაც ამერიკული ლიტერატურა ესოდენ შეიცვალა, როგორ იქნებოდა The Dial, იგივე რედაქტორები რომ ჰყოლოდა? გამოირჩეოდა თუ არა ოციან წლებში ამერიკული ლიტერატურა განსაკუთრებული თავისებურებებით?

- ვფიქრობ, ყოველთვის გამოირჩეოდა.

- საინტერესოა, The Dial-ს ოცდაათიან წლებამდე რომ ეარსება, ამ უღიმღამო ლიტერატურულ ათწლეულს ხომ არ გამოაცოცხლებდა?

- ალბათ, გამოაცოცხლებდა.

- ჟურნალის გამოცემა ფინანსური პრობლემების გამო შეწყდა?

- არა, დეპრესიის გამო არ შემწყდარა. უბრალოდ, გარემოებები შეიცვალა. სკოფილდ თავიერს ნერვული აშლილობა დაემართა და მუშაობა აღარ შეეძლო. უოტსონი ფოტოგრაფიამ გაიტაცა - და მედციინას შეისწავლიდა. როჩესტერში ცხოვრობდა. მარტო დავრჩი. რედაქციამში მუშაობის დაწყებისას განვაცხადე, რომ არ დავწერდი სტატიებს და ავტორებსაც არ შევხვდებოდი, მაგრამ შემდეგ სტატიებსაც ვწერდი და ავტორებსაც ვხვდებოდი. ვფიქრობ, ჟურნალის გამოცემის შეწყვეტამ გარკვეული სარგებლობა მომიტანა, რადგან საკუთარი შემოქმედებისთვის ახლა უკვე მეტი დრო მრჩებოდა.

- ჰარტ კრეინი ჩიოდა, რომ თქვენ გადააკეთეთ მისი "The Wine Menagerie"-ს ტექსტიც და სათაურიც. როგორ ფიქრობთ, მართებულად მოიქეცით? ბევრ პოეტს სთხოვდით მათი ნაწარმოებების გადაკეთებას?

- არა. ჩვენ გვეკონდა ურყევი კანონი: პუნქტუა-

ციაც კი არ შეგვეცვალა, იმისდა მიუხედავად, სწორი იყო ის თუ არა. მაგრამ ჰარტ კრეინის შემთხვევაში ვიგრძენი, რომ ამ კანონისთვის უნდა მეღალატა. ის უკმაყოფილო იყო? მეც არანაკლებ უკმაყოფილო გახლდით მისით. მატერიალურად ძალზე უჭირდა ვკითხე, ოდნავ ხომ არ შევცვლიდა ტექსტებს. უზომოდ მაღლიერი იყო, მაგრამ მოგვიანებით ასევე გადჭირი უგულბელყო მესწორებები. ძალიან უნდა და, რომ მიგველოდო მისი ლექსები და საოცრად გაუხარდა, რომ გამოქვეყნებაზე დაეთანხმებოდა. "ცოტაოდენი ცვლილებები რომ შეგეტანათ, - ვუთხარი მე, - უფრო მოგვეწონებოდა". ჩემი მხრივ ტექსტის შეცვლის მოთხოვნა უკანონობა იყო. რედაქციის დაუნერელი კანონი დავარღვიე.

- ვთავაზობდნენ თუ არა რედაქტორები თქვენს ლექსებში ცვლილებების შეტანას?

- არა, მაგრამ ყოველთვის საამოვნებით ვთანხმდები ყოველგვარ დახმარებაზე. Times, Herald Tribune, The New Yorker არაერთხელ მისწორებდნენ ტექსტებს. თუკი შეგებდებოთ ისეთი გენიალური რედაქტორები, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, ტ.ს. ელიოტი, ეზრა პაუნდი, ჰარი ლევინი, ირიტა ვან დორნი, ბელ როზენბაუმი, ბედი კლინიათ.

სასარგებლოა თუ არა "დახმარება"? ჩემი აზრით, ნამდვილად სასარგებლოა; როდესაც The Dial-ში ვმუშაობდი, ჰერმან გეორჯ შეფაუერს შევთავაზებ, შეეცვალა ერთი თუ ორი წინადადება თამას მანის Unordnung und fruhes Leid-ს მიესულ თარგმანში. შეფაუერმა კრიტიკა საამოვნებით მიიღო. გილბერტ სელდესმა შემაქო იმის გამო, რომ შევცვლე მისი "ჯონათან ედვარდსი" (The Dial-ში გამოქვეყნებულად); მარკ ვან დორენსაც ამგვარივე რეაქცია ჰქონდა, როდესაც დავტოვე რამდენიმე სტროქონი მის ლექსში, რომელიც გამოტოვებდა მსურველთა თვადამოვლად (და ეს სონეტი არ გახლდათ).

ჩვენ უნდა განვსაჯოთ სხვა მწერალთა შემოქმედება იმისდა მიხედვით, თუ როგორია მისი უმეტესი ნაწილი, ხლო ჩვენი თხზულებები დავტალურად უნდა შევუვალთ. უნდა შევცვდეთ, ლაფორტენის მკაცრი კრიტიკოსის მსგავსად, ვუთხრათ ავტორს: "თქვენი წინადადებები ზედმეტად გრძელია, შინაარსი კი უხერო. დაამხსრეთ საბეჭდი მანქანა და ჩამოახსნით ახალი შრიფტი". კენეთ ბერკი ამბობს "Counter-Statement-ში": "დიდი ხელოვნები შესაძლებლობად მიიჩნევენ იმას, რაც სხვებს საშიშროებად წარმოუდგებათ. ვფიქრობ,... ამის საფუძველია ხელოვნის პროფესიული ინტერესი სირთულეების დაძლევისადმი".

- The Dial-ის რედაქტირებისას, ალბათ, ვაიცანით ბვერი იმდროინდელი მწერალი. ჰარტ კრეინს მანამდე იცნობდით?

- დიას ვიცნობდი. ვასოვთ "Broom"-ს როდესაც 1921 წელს დაიწყო ამ ჟურნალის გამოცემა, ძალზე სტუმართმოყვარე ლობა რიჯმა წვეულებაზე დავავატიე (სანამ The Dial-ში მუშაობას დაიწყებდი); კეი ბოლი და მისი ქმარი - ფრანკი სამხედრო პირი; ასევე - ჰარტ კრეინი, ელინორ უაილი და ზოგერთი სხვა ლიტერატორი. ჰარტ კრეინი ძალზე მომეწონა. მოკრძალებული იყო და ნამდვილი ბიბლიოფილი გახლდათ, ამიტომ განსაკუთრებით დამაინტერესა. უოტ-



სონი და სკოფილდ თაიერი ფიქრობდნენ, რომ კრეინი ჩვენი ერთ-ერთი საუკეთესო ავტორი გახლდათ; კრეინს უჭირდა საარსებო სახსრების მოპოვება და ამიტომ ვაქვეყნებდით ყველაფერს, რასაც კი წერდა.

ვიცნობ მის ბიძაშვილს, ჯო ნოვაკს, რომელიც ამჟამად კრეინით. ის ახლა ბრუკლინში ცხოვრობს, ბანკში მუშაობს და ანტიკვარიატის შეგროვებითაა გატაცებული.

- რას იტყვით "Others"-ის შესახებ?

- "Others" ქრონოლოგიურად წინ უძღოდა "Broom"-ს და აერთიანებდა ალფრედ კრეიმბორგსა და სიბტვით ჩანელს, ასევე - უოლეს სტივენსს და უილიამ კარლოს უილიამს. უოლეს სტივენსი გავიციანი 1943 წელს, Entretiens de Pontigny-ს კოლეჯში (მაუნტ ჰოლიოკზე), რომელსაც სათავეში ედვა პროფესორი გუსტავე კოენი. უოლეს სტივენსი ჰენრი ჩერჩის საყვარელი პოეტი გახლდათ. ჩერჩი აქვეყნებდა სტივენსის, ზოგიერთი სხვა ამერიკელი მწერლის და ჩემს ნაწარმოებებს Mesures-ში, პარიზში. მათ რაიმონ კენო თარგმნიდა.

იმ საღამოს მაუნტ ჰოლიოკზე უოლეს სტივენსი გამოვიდა სიტყვით გოეთეს შესახებ. იმ წვეულებას დედაჩემი და მე ვესწრებოდით და საჯაროდ გამოვთქვი ჩემი აზრი ამ სიტყვის შესახებ. ჰენრი ჩერჩს საოცრად ლამაზი ფარფლებიანი ქული ეხურა და ყელზე ჭრელი შარფი ჰქონდა შემოხვეული. ეს ლექ-

ცია მდელიზე ჩატარდა.

გრძელ სასადილო მაგიდასთან დაგვსხეს და ვილაც ქალიშვილმა ჰკითხა სტივენსს: "მისტერ სტივენს, "ოთხი კვარტეტი" ნაიკითხეთ?"

"რა თქმა უნდა, ნავიკითხე, მაგრამ ელიოტს ხშირად არ ვკითხულობ, სხვა შემთხვევაში ჩემი, როგორც პოეტის ინდივიდუალობას ვერ შევინარჩუნებ" - იყო პასუხი.

- ახალგაზრდა პოეტების ლექსებს კითხულობთ? ცდილობთ თუ არა, რომ დროს ფეხი აუნყოთ?

- ახალგაზრდა პოეტების ლექსებს ყოველდღე მიგზავნიან, მაგრამ ეს ხელს მიშლის მუშაობაში. ამ ლექსების კითხვას ბევრ დროს ვერ ვუთმობ. და მანც, სინდისი უფლებას არ მაძლევს, უგულუბელყო ისინი. ბევრ წერილსა და ლია ბარათს ვუგზავნი ახალგაზრდა ავტორებს.

არასწორი ციტირების შემთხვევები არც ისე იშვიათია, მაგრამ ჩემი თხზულებებისა და გამონათქვამების ციტირებისას, მგონი, ყველაზე უფრო ხშირად უშვებენ შეცდომებს. რა საშინელებაა! თავის ნიგნში "ეზრა პაუნდი" ჩარლზ ნორმანი ზედმინეწით ზუსტად იმონებს სხვადასხვა ადამიანის გამონათქვამებს. მახსოვს, პირველად, როდესაც ეზრა პაუნდი აქ ჩამოვიდა ჩემი და დედაჩემის მოსანახულებლად, ვუთხარი, ჰენრი ელიოტი, როგორც მხატვარი, ჩემთვის უფრო ახლოა, ვიდრე ნებისმიერი სხვა,

ვისაც კი შევხვედრივარ-მეთქი. "ფრთხილად იყავით", - მითხრა ეზრამ. შესაძლოა, ზუსტად ეს სიტყვენი არ უთქვამს, მაგრამ ნორმანი ზუსტად იმონებს ჩემს სიტყვებს, ანუ იმას, თუ როგორ ვუამბე ეს ეპიზოდი.

- ტომას ელიოტის ქმას, ჰენრი უფარ ელიოტს გულისხმობთ?

- დიას. როდესაც ელიოტები ჩიკაგოდან ნიუ-იორკში გადასახლდნენ (მგონი, სამოცდამეორე ქუჩაზე, სადაც პანტერ-კოლეჯია), სადილად დამპატიჟეს (ალბათ, ტ.ს. ელიოტის ინიციატივით) და მამინვე შემიყვარდა ეს ოჯახი. ასე მეგონა, თითქოს მათ დიდი ხნის განმავლობაში ვიცნობდი. გარკვეული ხნის შემდეგ ასეთივე გრძნობით გავიმსჯელებე ტ.ს. ელიოტის მიმართ.

მასხოვს, როდესაც ეზრა პაუნდის სანახავად სენტ-ელიზაბეტის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მივიდი, ამ საავადმყოფოს თანამშრომელმა მითხრა: "რა კარგია, რომ მის სანახავად მოხვედით". "კარგია?" - შევეპასუხე მე. - ვერ წარმოიდგენთ, რამდენი სიკეთე დათესა ეზრამ?". ეს მოხდა პირველი (და არა ბოლო) ვიზიტის დროს.

არ მჩვეოდა დახმარების თხოვნა ექსპერტებისთვის ან სხვა ადამიანებისთვის. გამოხატვის წარმოადგენდნენ მხოლოდ ბიბლიოთეკარები ან პედაგოგები. მაგრამ ძალიან შევწუხდი, როდესაც მაკმილანმა უარი თქვა ჩემი "იგავ-არაკების" გამოქვეყნებაზე, ოთხი წლის განმავლობაში ვმუშაობდი მათზე და რამდენიმე მათგანი გავუზღავე ეზრა პაუნდს, თუმცა მისი შეწუხება არ მსურდა, ამის გარეშეც უამრავი საქმე ჰქონდა. მაგრამ ბოლოს ვკითხე: "იქნებ მითხრათ, რა ნაკლი აქვს ჩემს ლექსებს?"

- დას ვიპასუხათ?

- მიხს, მითხრა: "იმ ნაძირალებს კარგი ნაწარმოებები ეყვარებათ!"

- 1916 წელს, როდესაც პირველად ნაიკითხეთ პაუნდის თხზულებები, სათანადოდ შეაფასეთ თუ არა ისინი?

- რა თქმა უნდა. The Spirit of Romance. მე მგონი, ყველა მკითხველი მიხედება ამ ნივნის ღირსებებს.

- რას იტყვით პაუნდის ადრეულ ლექსებზე?

- რამდენადმე დიდაქტიური ხასიათისაა, მაგრამ მაინც მომწონს.

- თავისი "რჩეული ლექსების" შესავალში ელიოტი საუბრობს თქვენი, როგორც პოეტის დამოკიდებულებაზე ცოცხალი ენის მიმართ. როგორ ხეშემქმედებს პოეზია ცოცხალ ენაზე? როგორია ამ ზემოქმედების მექანიზმი?

- პოეტი ირჩევს საგნების აღნიშვნის გარკვეულ ფორმებს ან გადაჭრით უარყოფს საგნობრივ სამყაროს, შეაქვს ენაში რაღაც ახალი, იჯნება ვარიანტს ან ადადგენს ძირეულ, პირველსაწყის მნიშვნელობას.

- მინდა ვკითხოთ Ford Motor Company-სთან თქვენი მინერ-მონერის შესახებ - იმ წერილების შესახებ, რომლებიც The New Yorker-ში გამოქვეყნეთ. ისინი ეძებდნენ სახელს ავტომანქანისთვის და გათხოვეს მოვეგონებინათ სახელწოდება, რომელიც ადამიანებს ამ მანქანას მოაწონებდა...

- მიმზიდველი და დახვეწილი უნდა იყოს...

- მოკლედ, სახელწოდება, რომელიც ადამიანების ცნობიერებაში ძალზე მიმზიდველ ხატს წარმოქმნიდა... ასე ეწერა მათ პირველ წერილში, რომელიც თქვენ გამოგავიხატეს. საინტერესო... გახსოვთ, რას ამბობდა პაუნდი ენობრივი გამოხატულებისა და საზრისის ურთიერთმიმართების შესახებ? როდესაც ენობრივი გამოხატულება და საზრისი ერთმანეთს არ შეესაბამება, მაშინ კულტურა სავეალალო მდგომარეობაშია. მაინტერესებს, ხომ არ გულისხმობდა Ford Motor Company-ს შეთავაზება იმას, რომ გამოხატულება რამდენადმე დავემორებინათ საზრისისგან.

- არ მგონია. თუნდაც იმის გამო, რომ არ დანრდილულიყო ავტომანქანის ღირსებები. ძრავები, ტურბინები და ბორბლები შევისწავლე. ძალზე დამაინტერესა მექანიკამ. მაინტერესებს მექანიზმები და, ზოგადად, მექანიკა. მომეწონა დავალებაც, თუმცა, სამწუხაროდ, აქედან არაფერი გამოვიდა.

- კიდევ ერთი რამ; კრიტიკულ წერილებში ხშირად ერთმანეთს ადარებთ პოეტსა და მეცნიერს. როგორ ფიქრობთ, მისადადება თუ არა ეს ანალოგია თანამედროვე პოეტს? ადამიანთა უმრავლესობა ამგვარ შედარებას პარადოქსად ჩათვლიდა ივარაუდებდა, რომ პოეტი და მეცნიერი მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

- განა პოეტსა და მეცნიერის საქმიანობა ერთმანეთს არ ნაავსებს? ორივე დიდ ძალისხმევას ახარჯავს თავის საქმიანობას; ორივენი მომიხიზენი არიან საკუთარი თავის მიმართ; თითოეული მათგანს ძიების პროცესშია, თითოეული წინაშე არჩევანია, თითოეული სიზუსტისკენ მიისწრაფვის. განა ასე არაა? ჯეკობ ბრონოვსკი წერს The Saturday Evening Post-ში, რომ მეცნიერება არაა აღმოჩენების უბრალო ერთობლიობა, მეცნიერება აღმოჩენის უწყვეტი პროცესია. ყველა შემთხვევაში, ის ერთხელ და სამუდამოდ არაა ჩამოყალიბებული. ის ვითარდება.

- და უკანასკნელი კითხვა: დამაინტერესებს თქვენმა აზრმა, რომ "უოლეს სტივენსის სახით ამერიკას ჰყავს ხელოვანი, რომელსაც ვერ გაანადგურებს პროფესიონალიზმი". რა სახის ლიტერატურულ პროფესიონალიზმს გულისხმობთ? როგორ ფიქრობთ, ეს ჯერ კიდევ დამახასიათებელია ამერიკისთვის?


- დიას, დამახასიათებელია. არადა, მწერლისთვის აუცილებელია სახალისების ძიება, ნორმების წგრევისადმი მიხსრაფება. უოლეს სტივენსს ძალზე აღიზანებდა ის, რომ ხელოვანი მისი შემოქმედების კატალოგიზება, კლასიფიცირება, მეცნიერული კვლევა, რათა ის გასაცნოდ ყოფილიყო სკოლის მასწავლებლებისთვის; იგივე მოხდა უილიამ კარლოს უილიამსის შემთხვევაში. ვფიქრობ, უილიამსი ესოდენ დიდ წვლილს ვერ შეიტანდა დიდ ამერიკულ ლიტერატურაში, უფრო კონფორმისტულად განწყობილი რომ ყოფილიყო. და სწორედ ესაა კარგი. უილიამსი არღვევდა ყოველგვარ ტრადიციებსა და ნორმებს. თუ ასეთი არ ხარ, ის აზრი აქვს ლიტერატურას?

The Art of Poetry No. 4, The Paris Review, 1961, No. 26

ჩეზარე პავეზე

პირველი სიყვარული

იტალიურიდან თარგმნა ნათია აბრამიშვილმა




ნინოს გაცნობამდე ვერ ვამჩნევდი, რომ ბიჭები, რომლებთან ერთადაც ქუჩაში დავრბოდი და ვგინასობდი, ბინძურები და ცუდად ჩაცმულები იყვნენ. უფრო მეტიც, მათი მშურდა, რადგან სულ ფეხშიშველები დადიოდნენ და შიშველი ქუსლებით ნამკალზეც კი შეეძლოთ გაველა. მე კი, როგორც ქალაქში გაზრდილს, ფერმკრთალი ფეხები ქვაფენილზე დადგმის დროსაც კი მტკიოდა.

იმისგან, რაც ამ ბიჭებთან ყოფნის დროს ვისწავლე, ნინოს მხოლოდ ზოგიერთი ბილწი სიტყვა აინტერესებდა. ნინო პატარა სახლში ცხოვრობდა სოფლის გასასვლელში და ბევრი უფროსი და ჰყავდა, რომლებიც მაფრთხობდნენ. ჩვეულებრივ, ლობესთან ვჩერდებოდი, ლობეში ვიჭვრიტებოდი და ვიმეფოვნებდი, რომ ნინოს უკვე კიბეზე ჩამომავალს დავინახავდი. თუ შეყოვნებოდა, გველივით სტვენას ვინყებდი და ხმას იქამდე ვუმატებდი, სანამ ძალი არ აყეფდებოდა. ნინო ამ დროს სწრაფად გამოიქცეოდა ხოლმე, რადგან ძალის მასაც ეშინოდა.

ნინოსთვის ფეხსაცმელების გახდის და სხვებთან თამაშის შეთავაზებას აზრი არ ჰქონდა. ჩემს ძველ მეგობრებზე მას არასდროს ველაპარაკებოდი და რამდენიმე შეხვედრის შემდეგ იმასაც მივხვდი, რომ ნინოსთან მათი მრცხვენოდა. ყველაზე საოცარი კი ისაა, რომ, როგორც სასხვათაშორისოდ იტყოდა ხოლმე, იგი მშვენივრად იცნობდა ამ ბიჭებს, მათ თამაშებსა თუ საუბრებს. მოკლედ, გამოდიოდა, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი იყო, ოღონდ ჩვენზე სუფთა პერანგი და შორტი ეცვა. მას მიყვარებულ ქუჩებში ჯიბეებში ხელგაჩანჩქოვლის უყვარდა სიარული, ამ დროს ბალახს ან ფანჯრებს უჭვრეტდა ან გამვლელებს ათვალიერებდა და შიგადაშიგ სახეს მანჭავდა.

იმ ზაფხულს 13 ან 14 წლის ვიქნებოდი. მოულოდნელად ვიგრძენი, რომ იმ მანანალებით მონიბულა აღარ ვიყავი. ჩვენი ასაკისანი სუსტები და ჩერჩეტები იყვნენ, ჩვენსავით ძლიერები და საზრიანები კი 18 წლისანი მაინც იქნებოდნენ და მათთან საერთო აღარაფერი გვქონდა.



არ მაგონდება, პირველ ხანებში რაზე ვლაპარაკობდით ხოლმე მე და ნინო. მახსოვს, ერთხელ ვკითხე, რამდენი და ვყავს-მეთქი.

- რცერეთი. - მიპასუხა.

- კი მაგრამ, აბა, ის ამდენი ქალი ვინაა? შენი დები არ არიან?

- ყველა დედასავითაა. - თქვა და სახე ჩვეულენისამებრ გვერდზე გაატრიალა. - და, როგორც ასეთი, არ მყავს.

ერთხელ მოვუყევი, როგორ წავედი ჩვენს სოფელში მივლინებაში მყოფ ჯარისკაცთან ერთად სანადიროდ. მის მერე ეს ამბავი იმდენჯერ და ისე დაწვრილმანებით მოვუყევი, რომ ერთ დღესაც მითხრა:

- საკმარისია.

- რა მოხდა?

- მეც მინდა სანადიროდ წასვლა. რა, არ შეიძლება?

მაშინ იგი კაშხალთან წაეყვანე, სადაც განუწული და ტალახში ამოსვრილი ჩემი ძველი მეგობრები კალათით თევზს იჭერდნენ. ნინო ჩვენგან მოშორებით იდგა და გულგრილად იღიმებოდა, მე კი წყალში, მისი სახის ანარეკლები კმაყოფილების ნიშანწყალად ვეძებდი. უცებ მჭედლის შვილმა მას სივლი კალათა ესროლა და დაუყვირა, დაიჭიროე, ნინო კი გვერდზე გადავა და კალათას თითქმის არ დააკარა. ამ ამბის მერე მას "ცოცხალმკვდარი" შეარქვეს, მე კი მის გამართლებას იმით ვცდილობდი, რომ ახალი პერანგი ეცვა. ნინო ბიჭების ლანძღვას მოჰყვა და როცა მათ საპასუხოდ ტალახის სროლა დაუწყეს, დამეუქრა, ყველას თქვენ-თქვენ ადგილებზე მოვსვამთო.

ნინო ყოველ დილას ოთახებში აქეთ-იქით სიარულში ატარებდა. პირველად რომ მივაკითხე და კისრნაგრძობულმა ფანჯარაში შევიხედე, ოთახში მაღალი და ლამაზი ქალი დავინახე. ის ეზოში იყურებოდა და რომ დამინახა, მანიშნა, მომიახლოვდითო. თავი ისე მოვაჩვენე, ვითომ ვერაფერი შევნიშნე და მაშინვე გავქედი. მეშინოდა, რომ ნინო ამ ამბავზე რამეს მეტყობა, თუმცა სიტყვაც არ დაუძრავს.

იმ დღიდან მოყოლებული დრო შემდეგნაირად გავანაწილე: თითქმის ყოველ დილას ჩემს ძველ მეგობრებთან ერთად თხებს ვმწყემსავდი. მათ ტრამვანისა და ლიფტში მოხდარი საოცარი ქალაქური თავგადასავლების მოყოლით ვაცვიფრებდი, დროდადრო კი მოყოლას ვწყვეტიდი, რათა თხას ვაკვირებოდი, ტოტისთვის ქერქი შემომეცალა ან კუტკალა მომეკლა. შუადღეს, როცა ძალიან ცხელოდა, ბელელში ან თავლაში ყოფნის ნაცვლად ნინოსთან ერთად ვატარებდი დროს. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს დროს ტყუილად ვკარავდი მოწყენილობაში, არადა ყოველ შუადღეს მაინც მასთან ვიყავი. როცა ეკლესიის აღმართზე ან მინდვრებში მორიგ დამღლელ ხეტიალს მოვრჩებოდი, სურვილი მიჩნდებოდა, მის ეზოში შევსულიყავი, ტირიფის მონწულ სავარძელში ჩაემჯდარიყავი და მისი დების სახალგაოთხი სირცხვილით დავმწვარიყავი. თუმცა, როცა პირველად მიმიპატიჟა ნინომ შინ, გამბედავლა არ მყეო, შევსულიყავი.

კაშხლიდან რომ ვბრუნდებოდი, ვურჩიე, ჩვენს საქმეებში ახვანას ნევრები არ გარო-მეთქი. გაიცინა და კბილებში გამოცრა, რომ შემეძრა მიზეზად ვყოფილიყავი: მისი ოჯახი ჩემი მანანალა მეგობრების შესახებ ვერ მოიტყობდა. ესეც არ იყოს, მას ასეთი საქმეებისთვის ერთი მსგავსი მყავდა.

მისი სიცილი ერთ შუადღეს სასუქის საწყობის წინ გავლისას ვავიგონე. იქვე გაჩერებულიყო დაბალი მანქანა, რომელიც ადრე სადაღაც მენახა. საწყობის ნახევარზე შეღებული კარიდან მოვუდული ხმები აღწევდა, რომლებიც უცებ რიხიანმა სიცილმა გადაფარა. შემდეგ ვიღაცის ხრინწიანი სიცილიც მოგვესმა. იქაურობა გოგირდისა და სასუქის სუნად ყარდა. ნინომ ყველაფერი წინასწარ ამიხსნა:

- ახლა გარეთ გამოვა.

გარეთ მოხუცი მუშა გამოვიდა, რომელმაც გვეცინო და თვალი მეგობრულად ჩავვიტრა. შემდეგ მანქანის კარი გააღო და დაიყვირა: - ისროლე!

კარიდან გამოფრინდა გატენილი ტომარა, რომელიც მოხუცმა ჰაერში დაიჭირა და მანქანაში ჩადო. შემდეგ იმ ტომარას სხვა ტომარებიც მოჰყვა.

- დაგვეხმარე, ახლაგაზრდავ. - თქვა მუშამ და ისე გაიცინა, ღრძილები გამოუჩნდა. ნინო საწყობში შევიდა და გაუჩინარდა. მე მანქანასთან ვიდექებ და შიგნით მოძრავ ჩრდილებს ვაკვირდებოდი.

როცა მანქანა ტომრებით გაიგოს, მოხუცს მათ გასწორებაში მივეხმარე. ამ დროს პარმაღზე გამოჩნდნენ ნინო და ხუჭუჭი კაცი, რომელსაც ყელზე ცხვირსახოცი ეკეთა, ხოლო ნელზე - ნიოთი ქამარი. ფეხზე ჩექმები ეცვა, სახელოები აკეცილი ჰქონდა და ისეთი ბრვე იყო, მთელ კარს ფარავდა. ნინო იდაყვამდე სხვდებოდა.

იღიმებოდა და თან მე და ნინოს გვეხუმრებოდა:

- დამეგობრდით, არა?

შემდეგ თვალი ჩამიკრა და ხელი ჩამკიდა. მე თავისუფლებას ვცდილობდი, მან კი რამდენიმეჯერ ხელი გადამიწარა და ნინოს მიმართა:

- ნინო, ამას არ ნაერხუბო, შენზე ძლიერია.

მერე ნელში გასწორდა, ირგვლივ მიმოიხედა და თქვა:

- მორჩით?

სიგარეტი ამოიღო და გაუკიდა. მერე მანქანაში ჩაჯდა და დაგვემშვიდობა:

- კარგად იყავით.

თქვა და გაუჩინარდა.

იმ საღამოს ნინო განსაკუთრებული აღფრთოვანებით მელაპარაკებოდა. ჯებირზე რომ ვისხებიდი, სულ ცმუკავდა, მიუხედავად იმისა, რომ თვალები უჩვეულოდ მშვიდი ჰქონდა. ჩემს კითხვებს გულანთებული პასუხობდა.

ბრუნო მძლოლად მუშაობდა და მისი ნამდვილი მეგობარი იყო. სოფელში რომ ჩამოვიდნენ, მათ სადგურზე დახვდა და მთელი გზა მხოლოდ ნინოს ელაპარაკებოდა, ყველაფერს უხსნიდა, დედამისს და მის დებს კი ნაძალადევად სცემდა პასუხებს. შემდეგაც, მხოლოდ სასხვათაშორისად თუ ჰკითხავდა ხოლმე, შენი ხბოსავით დები როგორ არიანო, ხბოში კი "ხბოსავით ჩერჩეტს" გულისხმობდა. ბრუნოს მის დებში ერთადერთი რამ მოსწონდა - მათი

ამერიკული სივარტეები. ნინოს სთხოვდა, როცა სა-
შუალება ექნებოდა, მისთვის სივარტი ყუთით წა-
მოეღო ხოლმე, რადგან მთელი ხიბლი სწორედ ყუთ-
ში იყო.

იმ საღამოს ნინო ყველაფერზე მელაპარაკებო-
და: მიყვებოდა თავის აბაზანაზე, სადაც ისეთი სუ-
ნი იდგა, მდგლოს სურნელსაც კი სჯობდა. უნდოდა
იქ ბრუნო მიეყვანა, რათა ის სიმყარულ მოემორე-
ბინა, რომელიც ზრდასრულ, თუნდაც მოწესრიგე-
ბულ კაცს ახასიათებს. მაგრამ განსაკუთრებით ის
უნდოდა, რომ ჩემთან და ბრუნოსთან ერთად მან-
ქანით ესეირნა მახლობელ გორაკებიან სოფლებში -
თან დრო გაეტარებინა და თან მანქანის მართვა
ესწავლა.

ბრუნო შეპიკირდა, რომ მანქანით ნაიყვანად, მაგ-
რამ ამის საშუალება არა და არ მიეცათ. ბრუნოს
ყველას გაჯავრება მოსწონდა და დიდად ერთობო-
და, როცა ნინოს ახელებდა, ყველა შუნზე ძლიე-
რიყო. ერთხელაც ნინომ ისე მიქმობა, ლამის ხორ-
ცი ამომგლიჯა და უცებ უკან გადახტა.

- ვნახოთ, აბა, თუ ჩემზე ძლიერი ხარ.

დაიყვირა გამწარებულად და ხელში ქვა აიღო.

მამინეუმი რომ ვმდგარიყავით ნინოს ჭიშკარ-
თან, გვიხანკელი, თუ რატომ ჩადიდა ამას. მაგრამ,
ჭიშკართანაც რომ ვმდგარიყავით, ალბათ მაინც
ვერ შეძლებდა თავისი საქციელის ახსნას. ვერ ვხვდე-
ბოდი, რაში სჭირდებოდა სასიამოვნო საუბრის
განყვეტა ამ სისაძაცლებების სათქმელად. მასავით
ლამაზ აბაზანაში ვერ ვიბანდი, მაგრამ რალაცნაი-
რად მანუხებდა, რომ მასზე ძლიერი ვიყავი.

- ყველას ეუბნება, რომ ჩემზე ძლიერიები არიან.

- თქვა ნინომ. შემდეგ ქვა გადააგდო და ღვარძლი-
ნი ღიმილით მომიბახლოვდა.

ვერ გაგებდე, მეც ღიმილითვე მეპასუხა.

- ბრუნო შენც მოგწონს, არა? - ავრძელებდა
ნინო. - იცოდე, რომ მას ის ხბოები მოსწონს. ჩემი
დები.

- ყველა? - განვეცივორდი.

- ყველა. - თქვა ნინომ.

- კი მაგრამ, კაცები ერთ ქალს ირჩევენ ხოლმე.

- თქვი მე.

- რა შტერი ხარ. - თქვა ნინომ. - მათზე დაქორ-
წინებას კი არ აპირებს.

- კი მაგრამ, არ თქვი, მხოლოდ მე მელაპარაკე-
ბოდა?

- ეგ იმიტომ, რომ ისინი ხმას არ სცემდნენ. შტე-
რები არიან.

სახლში საშინელ ხასიათზე დავბრუნდი. მრცხვე-
ნოდა მამაჩემის უღვაწეობის და იმ გასანთლული,
ღვინით დასვრილი გადასაფარებლის, რომელზეც
საჭმელს ვჭამდით. ჩემი პატარა და კი გამუდმებით
გაკვიოდა. მანქანაში არასდროს ვმჯდარიყავი და
ნარმყოფივდნდი, რა კარგი იქნებოდა ნინოსთან და
ბრუნოსთან ერთად გასეირნება. თუმცა, ის ფაქტი,
